წლიწადი მეექვსე

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
და სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა, 10—11 ს.
ტელეფონები: რედაქტორის 14—76, მდივანის 10—58
ღამის მორიგეს 13—80

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 34; ტელეფონი № 10—49
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის 90 კ., დანარჩენებისათვის—1 მან. და 20 კაპ., განცხადებები: ნონპარელის სტრიქონი—40 კაპ., ტექსტში—ორჯერ მეტი, სამგლოვიარო—10—15—20 მან. დოკუმენტების დაკარგვა—1 მ., განცხადებების მიღება სწარმოებს შუადღის 4 საათამდე.
სტამბის ტელეფონი 13—80
ექსპედიციის 5—48.

დ ღ ი უ რ ი

— შეერთებულ შტატებში ინტერესი საბჭ. კავშირისადმი დღითი დღე იზრდება.
— ჰამბურგში გაფიცვა გრძელდება.
— პარიზში მოხდა ჩემბერლენ-ბრიანის შეხვედრა.
— ჩინეთში მოელიან დიდ ბრძოლებს.
— საფრანგეთის კომპარტიის გავლენის ზრდა დიდ შიშს იწვევს ბურჟუაზიულ წრეებში.
— ესპანეთში მოელიან ახალ გამოსვლებს პრიმა-დე-რივიერას წინააღმდეგ.
— პოლონეთის სეიმმა შესწყვიტა მუშაობა.
— იტალიაში შემოიღეს სიკვდილით დასჯა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამშაბათი, 5 ოქტომბერი 1926 წ. — ყოველდღიური გაზეთი — ფასი 5 კაპ. № 226 (1771)

პილსუდსკის მთავრობა

პოლონეთის მსხვილი აგრარიების (მიწათმფლობელების) ლიდერი სტრომსკი წერს: დღემდი საყოველთაო ყურადღებას იქცევდა არანორმალური მდგომარეობა მთავრობაში, სადაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა არა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს, არამედ სამხედრო მინისტრს; ეხლა ქვეყნისა და უცხოეთის წინაშე პილსუდსკის მთავრობა წარსდგაო. მართლაც, ფაქტიურად პილსუდსკი იყო მთელი ძალა-უფლების მატარებელი და მთავრობა მისი თავმჯდომარითურთ პილსუდსკის ბრმა იარაღს წარმოადგენდა, მისი კარნახით მოქმედებდა. სხვას რომ თავი დავანებოთ, საკმარისია შემდეგი ფაქტი დავასახელოთ: სეიმის მიერ მთავრობისადმი უნდობლობის გამოცხადების წინ, ბარტელი გაემგზავრა დრუსკენიკში, სადაც პილსუდსკი „ისვენებდა", მისგან ინსტრუქციების მისაღებად; მას შემდეგაც ბარტელი ხელმეორედ მიემგზავრება მარშალთან მოხსენების გასაკეთებლად და აგრეთვე შესაფერ ბრძანების მოსასმენად, თუ რა პოზიციას დასდგომოდა სეიმის მიმართ. ამგვარად აშკარაა, რომ პილსუდსკი იყო ყველაფერი, ხოლო მთავრობის თავმჯდომარეს და კაბინეტის სხვა წევრებს უბრალო, მორჩილ მოხელეების როლი ჰქონდათ მიკუთნებული. დღეს ასეთი მდგომარეობა ფორმალურად ჩამოყალიბდა მთავრობის სათავეში ნომინალურადაც პილსუდსკის ჩადგომით.

მაგრამ სტრომსკის სიტყვები მხოლოდ ნახევარ სიმართლეს შეიცავენ. პილსუდსკის არა მარტო მთავრობის მთელი ძალა-უფლება ეპყრა ხელთ, არამედ ის ქვეყნის ბედ-იღბლის ერთად-ერთი ბატონ-პატრონია და სრული დიქტატორია: არა მარტო პრეზიდენტი მოსციცკი წარმოადგენს მის სათამაშო ტიკინას, არამედ ის „სახალხო წარმომადგენლობის", სეიმის უფლებებს ფეხქვეშ თელავს; როგორც პრეზიდენტი, ისე მთავრობა მან არსებითად თვითონ დანიშნა სეიმის ნებისყოფის გარეშე. სეიმის აბუჩად აგდების დემონსტრაცია, პილსუდსკიმ ამ დღეებშიც მოახდინა, როცა პრეზიდენტმა კვლავ ბარტელის შემადგენლობის კაბინეტი დანიშნა, ძველი შინაგან საქმეთა და განათლების მინისტრების შეყვანით, რომელთაც სეიმმა უნდობლობა გამოუცხადა.

მაისის სამხედრო გადატრიალების შემდეგ პარლამენტარიზმი პოლონეთში არსებითად არ არსებობს და ამ მხრივ იქ დაახლოვებით ისეთივე მდგომარეობაა, როგორც ფაშისტურ იტალიაში. ეპყრობა რა პარლამენტს უაღრესი უპატივცემლობით, პილსუდსკი დრომდე ითმენს მას, რამდენადაც მისი ფორმალური დასტურით აახორციელებს თავის დიქტატორულ ზრახვებს. პარლამენტარიზმის, დემოკრატიის მოჩვენებითი ფორმა მას კიდევ ესაჭიროება მოსახლეობის გულუბრყვილო წრეების მოსატყუებლად, ერთი მხრით, საერთაშორისო პოლიტიკის მოსაზრებებით—მეორე მხრივ: პილსუდსკის დიქტატურის სიმტკიცე არ ესე სწამთ უცხოელ ბანკირებს, რომელთაგან პოლონეთის დიქტატორი სესხს გამოელის: ამ სესხის მისაღებად „სახალხო წარმომადგენლობის" შენარჩუნება საჭიროდაა მიჩნეული. ამავე დროს სეიმის არსებობის გახანგრძლივებას ის აზრი აქვს პილსუდსკისათვის, რომ ამით გამოაშკარავებულ იქნეს პარლამენტარიზმის არარაობა და გაკოტრება, საპარლამენტო პარტიების სრული გახრწნილობა, რომ შემდეგ ფორმალურადაც იქნეს გამოცხადებული ფაშისტური დიქტატურა. განა ეს გახრწნილება არ გამოჩნდა სამხედრო გადატრიალების უმალვე, როცა იმ კაპიტალისტურმა სამეურნეო ორგანიზაციებმა, რომელთა წარმომადგენილი პარტიები ამ გადატრიალების წინააღმდეგ ილაშქრებდნენ, სრული ნდობა გამოუცხადეს პილსუდსკის და ყოველმხრივი დახმარება აღუთქვეს; მათ მალე ამ პარტიათა უმრავლესობა გაყვა.

და როცა ყველა ამის შემდეგ ე. წ. ქრისტიანულ დემოკრატიის ორგანო „რეჩ პოსპოლიტა" ამბობს, რომ მთავრობასა და სეიმს შორის ჩამოვარდნილი კონფლიქტი უკანასკნელის გამარჯვებით გათავდაო, ეს სრული გაუგებრობაა ან თვალთმაქცობა. მართლაც, რაში გამოიხატა სეიმის „გამარჯვება"? ნუ თუ იმაში, რომ პილსუდსკიმ რამოდენიმე ახალი კაცი, თავისი ხელქვეითები შეიყვანა სამინისტროში! ამით შეიცვლება პოლიტიკა, რომელსაც პილსუდსკი დღემდე ადგა? არსებითად არა, რა თქმა უნდა. პილსუდსკის დღემდე მაგარი კურსი ჰქონდა აღებული მუშების, გლეხების და ეროვნულ უმცირესობათა წინააღმდეგ; ის იცავდა მსხვილ მიწათმფლობელთა და კაპიტალისტების ინტერესებს; ამ გზით ივლის იგი შემდეგშიაც.

ყოველ შემთხვევაში ცხადია, რომ პილსუდსკის ახალი მთავრობა უფრო გაუცრუებს იმედებს მშრომელ მასებს. ამას მოწმობს, სხვათა შორის, მიწათმოქმედების და აგრარულ რეფორმების მინისტრებად პირწავარდნილ რეაქციონერების და მემამულეების დანიშვნა, ასე რომ პილსუდსკისაგან მიწის რეფორმის მიღებაზე ფიქრს გლეხობამ საბოლოოდ უნდა დაანებოს თავი. მაგრამ ეს სეიმის გავლენით კი არ მომხდარა ნამდვილად, არამედ იმიტომ, რომ პილსუდსკი იმ თავითვე დაადგა ასეთ პოლიტიკას, რომელიც, რასაკვირველია, თავის ლოღიკურ დასასრულამდე უნდა მისულიყო.

რაც შეეხება მუშათა კლასს, მისი მდგომარეობა კიდევ უფრო უარესია. ცხოვრების გაძვირება და 250.000 უმუშევარი, რომელთა რიცხვი იზრდება—ასეთია სურათი. მოსალოდნელია ფართე გაფიცვები ხელფასის ნიადაგზე და უმუშევართა არმიის მოძრაობის გაძლიერება. აქედან კი მასსიური რეპრესიების უფრო მეტი გაძლიერება აუცილებელია.

ნაციონალურ უმცირესობათ, რომელნიც პოლონეთის მოსახლეობის ნახევარს შეადგენენ, ხომ მძიმე უღელი ადგიათ კისერზე. პილსუდსკი მათ არსებითად არაფერს უთმობს, ნამცეცებით მათი დაშოშმინება, როგორც ამას ფიქრობს პოლონელი დიქტატორი, რა თქმა უნდა, შეუძლებელია.

ამავე დროს მძიმეა პოლონეთის ეკონომიურ - ფინანსიური მდგომარეობა. კონიუქტურის რამდენიმედ გამოსწორება, რაც უმთავრესად გამოწვეულია ნახშირის გაზიდვით ინგლისში, დროებითი და წარმავალი მოვლენაა. საქმეს უფრო ართულებს გაძლიერებული სამხედრო ხარჯები და მეზობელ ქვეყნებთან გამწვავებული მდგომარეობა.

ყველაფერ ამის შემდეგ ხაზგასასმელია ის ფაქტი, რომ პილსუდსკის მთავრობაში შევიდა პეპესოველი მორაჩევსკი. თუმცა პეპესოველების ცეკა აცხადებს, რომ მორაჩევსკის ნაბიჯი მოხდა პარტიასთან შეუთანხმებლადო, მაგრამ ამას არ აქვს დიდი მნიშვნელობა. ეს მხოლოდ მოწმობს პოლონეთის „სოციალისტურ" პარტიის შინაგან დაშლას. სიმართლესთან უფრო ახლოს დგას პილსუდსკის მახლობელ გაზ. „გლოს პოდზემნი"-ს განცხადება, რომ მორაჩევსკიმ მინისტრის პორტფელი მიიღო თავისი პარტიის ჩუმი დასტურით და რომ ამის შესახებ პარტიამ წინასწარ იცოდაო. პეპესოველებს ეხლა მშრომელ მასების შიშით მოქალაქეობრივი გამბედაობა არ ყოფნით საჯაროდ მხარი დაუჭირონ პილსუდსკის. მაგრამ ისე კი მასთან თანამშრომლობენ და სავსებით პასუხისმგებელნი არიან მთელი მისი პოლიტიკისათვის.

ეს გარემოებაც ხელს შეუწყობს მასების გამოფხიზლებას და პეპესოველების გავლენისაგან განთავისუფლებას. ამავე დროს ის კომედია, რომელიც გაითამაშეს სეიმის და მთავრობის კონფლიქტის და პილსუდსკის მთავრობის შედგენის სახით, მშრომელ ხალხს გაკვეთილს აძლევს, რომ შეიგნოს ბურჟუაზიულ პარლამენტარიზმის არარაობა და დრომოჭმულობა.

ქვედა-სასამართლო აპარატის მუშაობა

რევოლიუციურ კანონიერების გატარებისა და ხელისუფლების გავლენის განმტკიცებისათვის სასამართლოს საზოგადოთ და განსაკუთრებით ქვედა-სასამართლო აპარატის უმტკივნეულო მუშაობას უაღრესი მნიშვნელობა აქვს. როცა ასეთი საზომით ვაფასებთ ჩვენი სასამართლო აპარატის მუშაობას, იძულებული ვართ ვაღიაროთ, რომ ამ დარგში ჩვენ ჯერ კიდევ ბევრი რამ გვაქვს გასაკეთებელი.

რა აფერხებს სასამართლოს ნორმალურ მუშაობას, რატომაა, რომ საბჭოთა მართლმსაჯულების ორგანოები ზოგჯერ ასე საგრძნობლად მოიკოჭლებენ? მიზეზები აქ მრავალნაირია: როგორც ობიექტიური, ისე სუბიექტიური.

პირველყოვლისა სასამართლოს ორგანოების პირად შემადგენლობაზე. არ კმარა, რომ სახალხო მოსამართლეების შერჩევის დროს მხედველობაში მიღებულ იქნას მათი სოციალური შთამომავლობა. დღემდი ამას ხშირად ჰქონდა ადგილი. რომ მშრომელთა კლასიური მართლმსაჯულება სისწორით იქნას დაცული, რომ სასამართლომ გაიგოს საბჭოთა კანონის სული და მისწრაფება, საჭიროა მოსამართლეთა შემადგენლობა მუშური და გლეხური იყვეს. თუ დღემდე ჩვენ მოკლებული ვიყავით ასეთ საშუალებას, ეხლა მდგომარეობა გაცილებით უფრო ხელსაყრელია. სხვადასხვა საფეხურების პარტიულ და საბჭოთა სკოლამ, მუშათა ფაკულტეტებმა, კომუნისტურმა უნივერსიტეტებმა და სხვა უმაღლეს სასწავლებლებმა უკვე მოგვცა მომზადებულ მუშათა და გლეხთა, თუმცა არა საკმაო, მაგრამ მაინც მნიშვნელოვანი რიცხვი. საჭიროა ეს ძალები გამოყენებულ იქნას ჩვენი სასამართლოს ორგანოების მშრომელი ელემენტების გასაძლიერებლად. ეს მიუცილებელ პირობას წარმოადგენს კლასიურ მართლმსაჯულების მეტი სიმტკიცით გატარებისათვის. ამიტომ, ვიმეორებთ, სასამართლოს მუშური ელემენტებით შევსებას უნდა განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრან ჩვენმა იუსტიციის ორგანოებმა.

მეორე მნიშვნელოვანი ნაკლი, რომელიც შემჩნეულია სასამართლოს ქვედა ქსელის მუშაობაში, მდგომარეობს სასამართლოსა და მშრომელი ფართე მასის შორის მჭიდრო კავშირის უქონლობაში. ამ კავშირის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფორმას წარმოადგენს გამსვლელი სესიები. ჩვენი ქვედა სასამართლო ორგანოები ხშირად მოკლებულნი არიან საშუალებას აწარმოონ გასვლა დანაშაულის ჩადენის ადგილას და იქ მოაწყონ გასამართლება.

თუ რატომ ხდება ეს, ადვილი გასაგებია ყველა ადგილობრივად მომუშავე სასამართლოს მუშაკისათვის. გამსვლელი სესიის მთავარი დამაბრკოლებელი მიზეზია უსახსრობა. მოსამართლეს არ აქვს სამოგზაურო საშუალება, მოსამართლე შტატის სიმცირის გამო, რაიც უმთავრესად იმავე უსახსრობას მიეწერება, უზომოდ დატვირთულია ყოველდღიურ მუშაობით და ვერ იცლის გამსვლელი სესიის მოწყობისათვის.

გარდა ამისა, გამსვლელი სესიის მუშაობას და საზოგადოთ სასამართლოს მოსახლეობასთან დაახლოებას მეტად აფერხებს სასამართლო-საგამომძიებლო უბნების არა მიზანშეწონილად დანაწილება. აქ მრავალ გაუგებრობას აქვს ადგილი. ამიტომ სასამართლო-საგამომძიებლო დარაიონება რაციონალურად უნდა მოხდეს: მოსახლეობა და ტერიტორია იმდენად უნდა იყვეს შეზომილი, რომ სახალხო მოსამართლეს ფიზიკური შესაძლებლობა ექნეს მთელ რაიონს გასწვდეს.

არანაკლებ აფერხებს სასამართლოების მუშაობას სათანადო ბინის უქონლობა. ამ მხრივ მდგომარეობა მეტად მძიმეა. ჩვენი სასამართლოები მოთავსებული არიან არა მარტო ვიწრო და თავიანთ მუშაობისათვის შეუფერებელ შენობებში, არამედ ხშირად იმდენად ძველ და მოუვლელ სახლებში, რომ ასეთ ბინაში ნორმალურ მუშაობაზე ლაპარაკი, განსაკუთრებით ზამთრის თვეებში, შეუძლებელია. აქედან ცხადია, რომ სასამართლოს ქვედა ქსელის მუშაობის წარმატებისათვის განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ბინის საკითხის მოწესრიგებასაც.

ამასთან ერთად, სასამართლოს მუშაობას მნიშვნელოვნად აბრკოლებს გლეხ სახალხო მსაჯულთათვის ფულადი ჯილდოს მიუცემლობა. გლეხს, განსაკუთრებით გაცხოველებულ სასოფლო სამეურნეო მუშაობის დროს (გაზაფხული, ზაფხული და შემოდგომა), თითო დღე თითო თვის და ზოგჯერ მეტი დროის სარჩოდაც უდრის. ასეთ პირობებში გასაკვირიც არაა, თუ სახალხო მსაჯულობაზე არც ისეთი ხალისით თანხმდება გლეხი. მით უფრო უარზე იქნება ის, თუ ეს მუშაობა უსასყიდლოა.

დაახლოებით ასეთივე მდგომარეობაში არიან თვით სახალხო მოსამართლენი. ჯამაგირების თავის დროზე მიუცემლობა, ხშირად რამდენიმე თვეებით დაგვიანება, ჩვეულებრივი მოვლენაა სახალხო მოსამართლისათვის. ასეთ პირობებში, ცხადია, არ შეიძლება ნორმალურ მუშაობაზე ლაპარაკი. ამიტომ ფულადი ჯილდოს საკითხი, როგორც სახალხო მოსამართლესათვის, ისე სახალხო მსაჯულისათვის, უთუოდ უნდა იქნას მოგვარებული. უამისოდ ჩვენ ვერ შევქმნით ცოცხალსა და მოძრავ სასამართლოს ქსელს.

სასამართლოს მუშაობის შემაფერხებელ გარემოებათ უნდა ჩაითვალოს აგრეთვე ჩვენი წიგნის ბაზრის სიღარიბე სადღეისო იურიდიულ ლიტერატურაზე. თუ ეს ნაკლი საგრძნობია ქალაქად, ის განსაკუთრებით მწვავედ იჩენს თავს სოფლად. ამას თან დაუმატეთ ქვედა-სასამართლო ქსელის სუსტი კავშირი უმაღლეს ორგანოებთან და აშკარა გახდება ის ზოგჯერ მიუტევებელი დეფექტები, რომელსაც ადგილი აქვს ჩვენი სასამართლოების მუშაობაში იურიდიულ უცოდინარობის ნიადაგზე.

ჩამოთვლილ დაბრკოლებათა შემდეგ საჭირო აღარ არის იმის განმარტება, თუ რატომაა, რომ ჩვენი სასამართლოები აჭიანურებენ საქმეების გარჩევას და, რომ ამ ორგანოებში ბიუროკრატიზმმა განსაკუთრებით თბილი ბუდე გაიჩინა. აქეთ-იქიდან ხშირად გაისმის საყვედური, და ბევრჯერ სამართლიანი საყვედურიც, ჩვენი სასამართლოების ბიუროკრატიზმზე, საქმეების დაუსრულებლივ გაჭიანურებაზე, მომჩივან-მოპასუხისადმი უყურადღებობაზე და სხვა. ამ ბრალდებათა ახსნა უნდა ვეძებოთ ჩვენი ქვედა-სასამართლო აპარატის ზემოდმოყვანილ ტკივილებში.

საქ. კომპარტიის ამიერ-კავკასიის საოლქო საკ. კომისიის ახლად დასრულებული მესამე პლენუმი გულდასმით შეჩერდა ქვედა-სასამართლო აპარატის საჭირბოროტო საკითხებზე და საჭიროდ სცნო გადამჭრელ ღონისძიებათა მიღება ძირითად სასამართლო ქსელის მუშაობის გასაჯანსაღებლად. ეს ღონისძიებები უმთავრესად ითვალისწინებენ ყველა ზემოთ ჩამოთვლილ ნაკლულევანებებს. საოლქო საკ. კომისიის პლენუმი საჭიროდ აღიარებს ქვედა-სასამართლო ქსელის ფინანსიურ, ორგანიზაციულ და იდეურ ხასიათის დახმარების გაძლიერებას.

ჩვენ უკვე ჩამოვთვალეთ ზოგადათ საჭირო ღონისძიებანი. მათ ცხოვრებაში გატარებას უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება როგორც ცენტრიდან, ისე ადგილებზე.

გ. ლო—ძე.

ნატურალური ხელფასის შესახებ

ხშირათ სახელმწიფო წარმოება - დაწესებულებებში მუშა-მოსამსახურეებს ფულადი ხელფასის გარდა ეძლევათ ხელფასი ნატურით. ამ ნატურალურ ხელფასს სხვადასხვა ფორმები აქვს. მაგალითად, ზოგიერთ წარმოებებში მუშები იღებენ ე. წ. საწარმოვო ულუფას —ამ წარმოების პროდუქციის სახით. ზოგან მუშა - მოსამსახურეებს ეძლევათ წარმოების და დაწესებულების ხარჯზე უფასო ბინები, უფასო განათება, უფასო გათბობა. ზოგან წარმოება იღებს თავის თავზე მუშების საცხოვრებელი ბინიდან წარმოებამდე და უკან მისვლა-მოსვლის ხარჯებს.

აქ შეუძლებელია ნატურალური ხელფასის ყველა იმ სახეების ჩამოთვლა, რომელიც პრაქტიკაში არსებობს. უნდა აღინიშნოს, რომ ხელფასის ნატურით მიცემა შედარებით სხვა წლებთან საგრძნობლად შემცირდა. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებში ხელფასის უმეტესი ნაწილი ნატურალური იყო. ეს აიხსნებოდა მაშინ არსებული პირობებით.

წარსულში — რევოლიუციამდე ნატურით ხელფასის მიცემას ადგილი ქონდა კერძო წარმოებებში. კერძო მწარმოებელი დაინტერესებული იყო ფულადი ხელფასის მაგივრათ დაქირავებულისათვის მიეცა თავის წარმოებაში გაკეთებული საგნები. ამას გარდა, წარმოებასთან არსებულ სავაჭროში მუშების ხელფასის უმეტესი ნაწილი რჩებოდა. ნატურალური ხელფასი ყოველთვის წინააღმდეგობას იწვევდა მუშებში და მას, როგორც არასასურველ მოვლენას, ებრძოდენ მუშათა ორგანიზაციები.

ამჟამად სახელმწიფო წარმოება-დაწესებულებებში დარჩენილი ნატურალური ხელფასი ოდნავადაც არ ატარებს იმ ხასიათს, რომელიც მას უწინ ჰქონდა. ნატურალური ხელფასი მუშა-მოსამსახურეთ ეძლევათ არა დაწესებულ ფულად ხელფასის ანგარიშში, არამედ მის ზევით. მაგრამ ნატურალური ხელფასი იმ სახითაც, როგორც ეხლა არსებობს, არ შეიძლება ჩაითვალოს მიზანშეწონილად. მუშა-მოსამსახურის ყოველგვარი დაჯილდოვება უნდა ხდებოდეს მხოლოდ და მხოლოდ ფულად გამოხატულებაში. ეს მუშა-მოსამსახურეს მისცემს საშუალებას ხელფასი გამოიყენოს ისე, როგორც მას სურს. როცა მას აძლევენ ხელფასის ანგარიშში ან მის დამატებათ ნატურალურ გასამრჯელოს, მას აღარ შეუძლია ხელფასის ეს ნაწილი თავისუფლათ გამოიყენოს. ის იძულებულია მიიღოს ის საგნები და იმ რაოდენობით, რომელსაც აძლევენ. ხშირათ შეიძლება ება ის, შეიძლება ამ თვეში სხვა რამე სჭირია. ის იძულებულია ეძიოს მიღებულ საგნების მყიდველი და უფრო იაფათ მისცეს, ვიდრე საგნები ღირს.

ავიღოთ, მაგალითად, თამბაქოს ქარხანა, მუშებისათვის პაპიროსის—, როგორც საწარმოვო ულუფის მიცემა, არ არის მიზანშეწონილი. შეიძლება ზოგი ამ პაპიროსს არ სწევს და ამ ულუფის მაგივრათ მისთვის სასარგებლო იქნება მიიღოს ულუფის სათანადო ღირებულება. ასევე შეიძლება ვთქვათ სხვა წარმოებების შესახებ.

ფრიად მიზანშეწონილი იქნება, რომ იქ, სადაც ეს მოსახერხებელია, ნატურალური გასამრჯელო მოიხსნებოდეს. მაგრამ ამ ზომამ არ უნდა გამოიწვიოს მუშა-მოსამსახურეების მდგომარეობის გაუარესება. მოხსნილი ნატურალური გასამრჯელოს საფასური უნდა დაემატოს შრომის ხელფასს. მაგალითად, თუ მისაცემი საგნების ღირებულება თვიურათ სამ მანეთს უდრის, ეს სამი მანეთი დაემატება მუშის ხელფასს. ამრიგათ, სადაც შესაძლებელია ნატურალურ გასამრჯელოს მოსპობა, უნდა გატარდეს მისი ფულით შეცვლა. ამ წესით მუშა-მოსამსახურეების მდგომარეობა არ გაუარესდება, პირიქით, კიდეც გაუმჯობესდება, ვინაიდან საგნების მაგივრათ მიიღებენ ნაღდ ფულს.

რაც შეეხება უფასო ბინებს, ცხადია, აქ არ შეიძლება გატარებული იქნეს ბინების ჩამორთმევა. ასეთი წინადადება არავის თავში არ მოუვა. უფასო ბინები უნდა გადაყვანილ იქნენ ფასზე. ესეც ისე უნდა იქნეს გატარებული, რომ მუშის მდგომარეობა არ გაუარესდეს. მაგალითად, თუ უფასო ბინა ღირს ხუთი მანეთი, ამდენივე რაოდენობით უნდა გადიდებული იქნას ხელფასი და შემდეგში ყოველთვიურათ ბინის ქირა უნდა დაეკავოს ხელფასიდან.

სპეც-ტანსაცმელის მიცემამ პრაქტიკაში მიიღო უფასო მიცემის ხასიათი. შრომის კანონმდებლობით სპეც-ტანსაცმელი უნდა ეძლეოდეს მხოლოდ იმ მუშა - მოსამსახურეებს, რომელნიც ამას საჭიროებენ მუშაობის ხასიათის გამო. სინამდვილეში სპეც-ტანსაცმელის მიცემა მეტათ გაფართოვდა. მას დაეკარგა სპეციალური ტანსაცმელის ხასიათი და მისი მიცემა სწარმოებს იქაც, სადაც ამას მუშაობის პროცესი არ მოითხოვს. ამიტომ, სპეც-ტანსაცმელების ნორმების გაფართოვება უნდა უარვყოთ და კანონით დაწესებულის გაფართოვება, როგორც ხელფასის ნატურალური მიცემის ფორმა, გავაუქმოთ.

ყველა ეს საკითხები უნდა იქნეს გათვალისწინებული კოლექტიურ ხელშეკრულებების ამჟამათ წარმოებულ გადასინჯვის კამპანიის დროს. ახალ კოლექტიურ ხელშეკრულებებში არ უნდა იქნეს შეტანილი ნატურალური გასამრჯელო. იქ, სადაც ამას ადგილი ქონდა, ნატურალური გასამრჯელო უნდა შეიცვალოს ფულით. როგორც გამონაკლისი, ხელფასის ეს ფორმა შეიძლება დატოვებული იქნეს მხოლოდ იქ, სადაც ამას სპეციფიური პირობები მოითხოვენ.

ნ. ლ.

საბჭოთა პრესა

ჩვენი სამეურნეო პოლიტიკა

თავის დროზე ჩვენ შევეხეთ საკავშირო მთავრობის დადგენილებას, რომლითაც სახ. საგეგმო კომისიას მიეცა დირექტივები საკონტროლო ციფრებში ზოგიერთ ცვლილებათა შეტანის შესახებ. ცვლილებები საჭირო შეიქნა, ვინაიდან საკონტროლო ციფრებში მთლიანად არ იყო დაცული პარტიის და ხელისუფლების სამეურნეო პოლიტიკა. ამხ. ი. მიროშნიკოვი **„იზვესტია"**-ში იძლევა მთავრობის ამ სამეურნეო - პოლიტიკურ ხაზის საერთო დახასიათებას, რამდენათაც ის ხსენებულ დადგენილებაში იხატება:

„ეს დახასიათება შეიძლება გამოვხატოთ შემდეგ ძირითად დებულებებით: 1) სამეურნეო პოლიტიკის ცენტრალურ საკითხს წარმოადგენს ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ამოცანა; 2) სახელმწიფოებრივ რეზერვების დარგში აღებულია მიმართულება მათ ყოველმხრივ გადიდებაზე; 3) ფულის ტრიალის და კრედიტის დარგში—სიფრთხილე ემისიასა და საკრედიტო პოლიტიკაში ჩერვონეცის სყიდვითი უნარის განმტკიცების მიზნით; 4) ფასების დარგში — გაძლიერებული ბრძოლა მათი დაკლებისათვის უფრო გაღრმავებულ და გაუმჯობესებულ მეთოდებით, ვინემ ამას დღემდე ჰქონდა ადგილი; 5) სასოფლო მეურნეობის დარგში — ღარიბ გლეხობის დახმარება და ფასების ისეთი პოლიტიკა, რომელიც განამტკიცებს საშუალო გლეხობასთან კავშირს; 6) საგარეო ვაჭრობის დარგში — ექსპორტის გაძლიერება და ინდუსტრიალიზაციის ამოცანის შესაფერისი იმპორტი; 7) გადასახადების დარგში — კერძო კაპიტალის დაბეგვრის ყოველნაირი გაძლიერება და, ბოლოს, 8) ბიუჯეტის დარგში — ადმინისტრატიულ ხარჯების უკიდურესი შემცირება და ადგილობრივ ფინანსების შესახებ კანონის გატარება".

ასეთია ჩვენი სადღეისო სამეურნეო პოლიტიკის უმთავრესი მომენტები. ამ პოლიტიკის შეთვისება მშრომელ მასსებისა და სათანადო ორგანიზაციების მხრით და ყოველ კონკრეტულ ღონისძიების, ყოველდღიურ მუშაობის შეფარდება მასთან—ასეთია ჩვენი ამოცანა. ამ გზით უზრუნველყოფილი იქნება სოციალისტურ მშენებლობის წარმატება და პროლეტარიატის დიქტატურის სიმტკიცე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოლონეთის ახალი მთავრობა შეადგინა პილსუდსკიმ

იაპონია მხარს არ უჭერს ჩან-ძო-ლინს მის გამოსვლებში ს. ს. რ. კ.-ს წინააღმდეგ

ჩინეთის მთავრობამ გასცა განკარგულება რუს თეთრგვარდიელების გაძევების შესახებ შანხაიდან

პილსუდსკი პრემიერი



პილსუდსკი

პოლონეთის ახალი მთავრობა

ვარშავა, 4 ოქტომბერი. შედგენილია პოლონეთის ახალი კაბინეტი შემდეგი შემადგენლობით:

პრემიერი და სამხედრო მინისტრი—**პილსუდსკი**, მთავრ. თავმჯდ. მოადგილე—განათლების და სარწმუნოების მინისტრი — **ბარტელი**, შინაგან საქმეთა მინისტრი—გენერალი **სლადკოვსკი**, ფინანსთა მინისტრი—**ჩეხოვიჩი** („ლევიცა"), იუსტიციის მინისტრი—**მეიტოვიჩი**, (პილსუდსკის პირადი მეგობარი, მონარქისტი, კონსერვატიული მოღვაწე ვილნოში), ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი—კვიატკოვსკი (სოციალ-დემოკრატი), მიწათმოქმედებისა და სახელმწიფო ქონების მინისტრი—**ნეზაბიტოვსკი** (მონარქისტი, კონსერვატიული მოღვაწე ვილნოში), საადგილმამულო რეფორმების მინისტრი—სტანევიჩი (მემარჯვენე), შრომის მინისტრი—**იურკევიჩი**, საზოგადოებრივ სამუშაოთა მინისტრი—**მორაჩევსკი** (პეპესოველი, სეიმის დეპუტატი). გზათა მიმოსვლის მინისტრი—**რომოცკი**.

საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტი ჯერ-ჯერობით თავისუფალია.

გამოქვეყნებულია პოლონეთის **სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ცნობა პილსუდსკის კაბინეტში მორაჩევსკის შესვლის შესახებ პარტიის თანხმობის გარეშე.**

სეიმის მუშაობის „დამთავრება"

ვარშავა, 3 ოქტომბერი. 2 ოქტომბერს დამთავრდა სეიმის ჩვეულებრივი სესიის მუშაობა.

ზძიკოვსკის ცემის გარშემო

ვარშავა, 3 ოქტომბერი. ოფიცრების მიერ სოც.-დემოკრ. დეპუტატის ზძეხოვსკის ცემამ იმის გამო, რომ უკანასკნელმა მოითხოვა სამხედრო ბიუჯეტის შემცირება, ძალიან მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა ვარშავაში. მემარჯვენეთა მთელ რიგ ორგანიზაციებმა გამოაცხადეს პროტესტი.

პრესა ახალი მთავრობის შესახებ

ვარშავა, 4 ოქტომბერი. მემარცხენე გაზეთები ესალმებიან ახალ მთავრობას, და აცხადებენ, რომ უკანასკნელი წარმოადგენს შემდეგ ეტაპს პოლონეთის პოლიტიკური განვითარების გზაზე, რომელიც დასახა მაისის გადატრიალებამ. გაზეთების ნაწილი ყურადღებას მიაქცევს იმას, რომ წინააღმდეგ პილსუდსკის მომხრეების დაპირებებისა მარცხნივ გადახრის შესახებ, **პილსუდსკი მაინც სცდილობს თავის მთავრობაში გააერთიანოს უკიდურესი მიმართულების წარმომადგენლები.**

გაზეთების აზრით, **საეჭვოა კაბინეტის შეთანხმებული მუშაობა.**

პოლონეთის სოციალისტური პარტიის **ლიდერი ნეძიალკოვსკი „რაბოტნიკში"** სწერს:

„მიწათმოქმედების მინისტრად რეაქციონერისა და კონსერვატორის ნეზაბიტოვსკის დანიშვნა და, ამასთან ერთად, საადგილმამულო რეფორმების მინისტრად სტანევიჩის დანიშვნა ბევრ ვერაფერ სიკეთეს მოუტანს მიწის დამმუშავებელ პროლეტარიატსა და პოლონეთის გლეხურ მასას, რომლებიც მოელიან საადგილ-მამულო რეფორმას". ნეძიალკოვსკი ხაზს უსვამს იმას, რომ **„მორაჩევსკის გადაწყვეტილება მთავრობაში შესვლის შესახებ არავითარ ვალდებულებებს არ აკისრებს პოლონეთის სოციალისტურ პარტიას".**

პილსუდსკისთან დაახლოვებული **„გლოს პოდზემნი"** აცხადებს, რომ **პოლონეთის სოციალისტურმა პარტიამ მშვენივრად იცოდა მორაჩევსკის განზრახვა მთავრობაში შესვლის შესახებ. მორაჩევსკი დათანხმდა საზოგადოებრივ სამუშაოთა მინისტრის პორტფელის დაკავებაზე პოლონეთის სოციალისტური პარტიის ჩუმი თანხმობით.**

ქრისტიანული დემოკრატიის ორგანო **„რეჩ პოსპოლიტა"** აცხადებს, რომ მთავრობისა და სეიმის კონფლიქტი დასრულ და უკანასკნელის სრული გამარჯვებით.

მემამულეთა ქრისტიანული ნაციონალური პარტიის ლიდერი **სტრომსკი „ვარშავიანკა"**-ში სწერს: „დღემდე საერთო ყურადღებას იპყრობდა არანორმალური მდგომარეობა მთავრობაში, რომელშიც გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა არა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს, არამედ სამხედრო მინისტრს. პოლონეთის შიგნით და საზღვარგარეთ შექმნილ გართულებათა პირობებში, ეს ანორმალობა აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენდა. ეხლა ქვეყნისა და საზღვარგარეთის წინაში წარსდგა პილსუდსკის მთავრობა. მაგრამ განა აღარ არსებობს ის მიზეზები. რომლებითაც აიხსნებოდა ზემოაღნიშნული ანორმალობა?".

მდგომარეობა ჩინეთში

ბრძოლისთვის ემზადებიან

პეკინი, 3 ოქტომბ. მდგომარეობა ძზიან-სიში ისევ სერიოზულია. ორივე მხარე შეტაკებისთვის ემზადება.

ძზიან-სიდან მიღებული უკანასკნელი ცნობებით, კანტონის ჯარები იჭრებიან პროვინცია ხე-ბეისაკენ.

რუს თეთრგვარდიელების თარეში

პეკინი, 3 ოქტომბ. ელჩთა უბანში 4 რუსმა თეთრგვარდიელმა ჯარისკაცმა გაძარცვა ჩინელი ვაჭარი, რომელსაც წაართვეს 70.000 დოლარი. **საელჩო უბანში სადარაჯოზე მდგომი ჩინელი პოლიციელი, რომელიც შეეცადა მძარცველების დაჭერას, მოკლულ იქნა.** როცა მძარცველები აპირობდენ ქალაქის კარებში გავლას, ისინი დაპატიმრებულ იქნენ ჩინელი პოლიციის მიერ.

ამ ამბავმა დიდი უკმაყოფილება გამოიწვია პეკინის უცხოელთა წრეებში.

რუს - თეთრგვარდიელთა გაძევება

პეკინი, 4 ოქტომბ. **პეკინის მთავრობის განკარგულებით, შანხაიდან უნდა გაძევებულ იქნან ყველა რუსები, რომელთაც არ ექნებათ რეგულიარული მუშაობის მოწმობები.**

ეს განკარგულება შეეხება მხოლოდ და მხოლოდ რუს - თეთრგვარდიელებს, რომლებიც ახლა შანხაიში არიან თავმოყრილი და ემუქრებიან საზოგადოებრივ მყუდროებას ქალაქში.

რუსეთ - აზიის ბანკის დახურვის გარშემო

პეკინი, 3 ოქტომბ. რუსეთ - აზიის ბანკის დახურვის გამო შანხაის მთელ რიგ კომერციულმა და ფინანსიურმა ორგანიზაციებმა მოიწვიეს თათბირი. თათბირმა დაადგინა გაუგზავნოს მთავრობას დეპეშა საბაჟო შემოსავლიდან დაგროვილ თანხების ჩინეთის ბანკებში გადარიცხვის მოთხოვნით.

ბურჟუაზია აღშფოთებულია

პარიზი, 3 ოქტომბ. საფრანგეთის კომუნისტური პარტიის მიერ საგიტაციო კამპანიის წარმატებით ჩატარება დიდ აღშფოთებას იწვევს ბურჟუაზიულ წრეებში.

კლერიკალური - ნაციონალისტური ორგანო **„ეკო დე პარი"** ათეულ ქალაქებს ასახელებს, სადაც კომუნისტური პარტიის მიერ მოწყობილ იქნა მიტინგები და სწერს:

„ხალხით გავსებული დარბაზები ესალმებიან კომუნისტებს. ბევრი კომუნისტური პარტიის წევრათ ეწერება. მღელვარება კიდევ უფრო ძლიერდება 7 ნოემბრის დიდი დემონსტრაციის მოლოდინში".

გაზეთი მიუთითებს კომუჯრედების არსებობაზე საფრანგეთის სახელმწიფო დაწესებულებებში.

საფრანგეთი და გერმანია

ზაურვეინი საფრანგეთ - გერმანიის დაახლოების შესახებ

პარიზი, 3 ოქტომბ. ზაურვეინმა „მატენ"-ში გამოაქვეყნა წერილი, რომელშიაც იცავს საფრანგეთ - გერმანიის დაახლოების აუცილებლობას შემდეგი მოსაზრებებით: ინგლის - საფრანგეთის შეთანხმებას ვერ მოჰყვა სასურველი შედეგები, რადგან ორივე სახელმწიფომ ვერ მოახერხა შეთანხმების მიღწევა. გერმანიამ აღადგინა თავისი ფინანსები და ეკონომიკა; ამგვარათ მას არაფერი არ შეუშლის ხელს, ინგლისის და საფრანგეთის გვერდით დიდი როლი ითამაშოს ევროპის პოლიტიკურ საქმეებში. ევროპის რამდენიმე სახელმწიფოთა ბლოკის შეკვრა გერმანიაზე კონტროლის დასაწესებლად არ მოხერხდა, რადგან მასზე გავლენა იქონია, როგორც საფრანგეთის ფინანსიურ დასუსტებამ, ისე იმ ეჭვების გამო, რომელსაც იტალიის და საბჭოთა კავშირის პოზიციები იწვევს. ეხლანდელ დაწყებული საფრანგეთ - გერმანიის ეკონომიური დაახლოვება იმედს გვაძლევს, რომ საუკეთესო შედეგები იქნება მიღწეული.

გაფიცვა ჰამბურგში

რეფორმისტული ბელადები თავს იკატუნებენ

ბერლინი, 3 ოქტომბ. გრძელდება ნავთსადგურის მუშათა გაფიცვა ჰამბურგში. საგაფიცვო კომიტეტი შესდგება 10 სოციალ - დემოკრატისა და 6 კომუნისტისაგან.

ნავთსადგურის მუშათა კრებამ 1-ლ ოქტომბერს გამოიტანა რეზოლიუცია, რომელშიც აცხადებს, რომ სამედიატორო გადაწყვეტილებების სავალდებულოდ გამოცხადება ჰბორკავს კავშირების თავისუფლებას. რეზოლიუცია მოუწოდებს პროფკავშირებსა და მუშათა პარტიებს ყველა ზომები იხმარონ, რათა მუშებს დარჩეთ გაფიცვის გამოცხადების უფლება.

რეფორმისტები, იმის შემდეგ, როცა დაინახეს მუშების წინააღმდეგობა მათი პროფკავშირული ტაქტიკის მიმართ, სცდილობენ მთელი პასუხისმგებლობა დააკისრონ შრომის მინისტრს.

კომპარტიის მოწოდება

ბერლინი, 3 ოქტომბერი. ჰამბურგის ნავთსადგურის მუშების გაფიცვის მდგომარეობა უცვლელია.

გერმანიის კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მოწოდებით მიმართა მუშათა კლასს დაიწყოს ფულის მოგროვება წარმოებებში გაფიცულთა დასახმარებლად.

გერმანიის კომპარტიის ცენტრალური ორგანო „როტე ფანე" მოუწოდებს მთელი გერმანიის სატრანსპორტო მუშებს, რომ იმ საქონლის დატვირთვა, რომელიც წინად იგზავნებოდა ჰამბურგში, მაგრამ ეხლა, გაფიცვის გამო, მიდის ჩვეული გზებით, განიხილოს როგორც შტრეიკბრეხერული მუშაობა.

ინგლისელ მემაღაროების ბრძოლა

კუკის განცხადება

ლონდონი, 3 ოქტომბ. კუკმა განაცხადა, რომ მთავრობის წინადადება ნიშნავს 24 რაიონულ შეთანხმების დადებას, სამუშაო ხელფასის 24 სხვადასხვა განაკვეთისა და შეთანხმებათა 24 სხვადასხვა ვადის დაწესებას.

„მე ვაფრთხილებ სამთამადნო მუშებს,—განაცხადა კუკმა, — რომ მთავრობის წინადადების მიღება არსებითად უდრის მაღაროს მეპატრონეთა გამარჯვებას".

შეთანხმება — მხოლოდ სრულიად ინგლისის მასშტაბით

ლონდონი, 3 ოქტომბ. სამთამადნო მუშათა საბჭომ ნოტინგამშირში დაადგინა წინადადება მისცეს ქვე-კომიტეტებს მიიღონ მთავრობის წინადადებები.

სამთამადნო მუშათა საბჭომაც დერბიშირში ასეთივე დადგენილება მიიღო.

მნიშვნელოვან საქვანახშირო რაიონების სულიერ განწყობილებას ნამდვილად ახასიათებს პირველი კენჭის ყრა სამხრეთ-უელსის ქვედა - ორგანიზაციებში, სადაც **700 კომიტეტმა გაილაშქრა მთავრობის წინადადებების წინააღმდეგ**, ხოლო 61 დასთანხმდა ამ წინადადებებზე.

ბრისტოლის მემაღაროებმა მიიღეს რეზოლიუცია, რომლითაც უარს აცხადებენ დაუბრუნდნენ მუშაობას, თუ არ იქნება მიღწეული შეთანხმება სრულიად ინგლისის მასტაბით.

ცენტრალური ინგლისის რაიონებში გაფიცულთა სულიერი განწყობილება ძველებურია.

ამერიკამ მოიგო

ლონდონი, 4 ოქტომბერი. „დეილი მეილის" ნიუორკელი კორესპონდენტი იტყობინება, რომ ინგლისის მემაღაროეთა გაფიცვამ აურაცხელი მოგება მოუტანა ამერიკელ მაღაროს მეპატრონეებს.

ამერიკის სავაჭრო დეპარტამენტის ცნობებით, ქვანახშირის ნახევარი, რომელიც ინგლისი იძულებულია შეზიდოს ქვეყანაში, ამერიკისაა. გაფიცვამ, აგრეთვე, დიდი მოგება მისცა ამერიკის სანახშირო მრეწველობას უცხოეთის თითქმის ყველა ბაზრებზე.

ბრიან-ჩემბერლენის თათბირი

ლონდონი, 4 სექტემბერი. იტალიიდან დაბრუნების შემდეგ ჩემბერლენი პარიზში შეხვდა ბრიანს. შეხვედრის შემდეგ გამოქვეყნებულ იქნა პრესის ცნობა, რომელშიაც ნათქვამია, რომ ბრიანმა და ჩემბერლენმა გამოარკვიეს მათი შეხედულებების თანხმობა საერთაშორისო პრობლემების გადაწყვეტაში.

ჩემბერლენს ჟენევაში ეცნობა ბრიანის განზრახვა შტრეზემანთან შეხვედრის შესახებ, და გაემგზავრა შვეიცარიიდან ტუარში შეხვედრამდე. მან ორი კვირა გაატარა ხმელთა-შუა ზღვაში. ლონდონში დაბრუნების წინ და თავისი მოვალეობის შესრულების შედგომამდე, მან გამოსთქვა ბრიანთან შეხვედრის სურვილი.

ორივე სახელმწიფო მოღვაწემ განიხილეს მდგომარეობა და, კერძოთ, საფრანგეთ-გერმანიის დამოკიდებულების საკითხი, რომელსაც საერთო მიმართულება მისცა ლოკარნოს შეთანხმებამ და მოლაპარაკებამ ტუარში.

პრესა ჩემბერლენისა და ბრიანის შეხვედრის შესახებ

პარიზი, 4 ოქტომბერი. „ეკო დე პარი" ჩემბერლენის შეხვედრის გამო ბრიანთან სწერს, რომ საფრანგეთს გაუჭირდება გერმანიასთან დაახლოება ისე, რომ ამით არ შეაშფოთოს ინგლისი.

„ევრ" ვერ წარმოუდგენია, რომ ინგლის-იტალიის ბლოკი მიმართული იყოს საფრანგეთ-გერმანიის ბლოკის წინააღმდეგ.

„პტი პარიზიენი" ამბობს, რომ ბრიანისა და ჩემბერლენის შეხვედრა სპობს ყოველგვარი ოპოზიციის შესაძლებლობას.

ლიტვასთან შეთანხმების შემდეგ



მიკოლას სლიაჟევიჩი

პოლონეთი აბეზღებს

ვარშავა, 4 ოქტომბერი. პოლონეთის იურიდიულ ექსპერტებს დაევალა საბჭოთა კავშირისა და ლიტვის შორის თავდაუსხმელობისა და ნეიტრალიტეტის შესახებ დადებულ ხელშეკრულების შესწავლა. გაზეთ „ექსპრესს პორანნი"-ს ცნობით, პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო ფიქრობს, რომ ლიტვამ ამ ხელშეკრულებით დაარღვია თავისი ვალდებულება ერთა ლიგისადმი, რაც აღნიშნული იქნება იმ ნოტაში, რომელსაც პოლონეთის მთავრობა გაუგზავნის ერთა ლიგას.

პოლონეთი და საბჭოთა - ლიტვას ხელშეკრულება

ვარშავა, 3 ოქტომბ. როგორც გაზეთები იუწყებიან, მთავრობის კრიზისმა შეაფერხა პოლონეთის მთავრობის დიპლომატიური გამოსვლები საბჭოთა-ლიტვას ხელშეკრულებასთან დაკავშირებით ურთიერთ თავდაუსხმელობისა და ნეიტრალიტეტის შესახებ.

ვარშავაში ზალესსკის დაბრუნების შემდეგ მთავრობა განიხილავს დიპლომატიური გამოსვლის ფორმის საკითხს.

საბჭოთა კავშირი და უცხოეთი

ინტერესი საბჭ. კავშირისადმი ამერიკაში

ნიუ-იორკი, 3 ოქტომბ. ნიუ-იორკის „ჟორნალ ოფ კომერს"-მა გამოაქვეყნა მეორე სპეციალური 48 გვერდიანი დამატება, რომელიც შეეხება საბჭოთა კავშირთან ვაჭრობის საკითხს (პირველი 40 გვერდიანი დამატება გამოქვეყნებული იყო 1925 წლის აგვისტოს).

„ჟორნალ ოფ კომმერს"-ის წარმომადგენელმა განუცხადა საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელს, რომ სპეციალური დამატებები საბჭოთა კავშირის შესახებ დიდ ინტერესს იწვევენ. ძალიან გაიზარდა გაზეთის ტირაჟი მას შემდეგ, რაც გამოქვეყნებულ იქნა განცხადება სპეციალური დამატების გამოშვების შესახებ. დამატებას იწერენ ჩრ.-ამერიკის შეერთებული შტატების ყველა რაიონებიდან.

იაპონია — ჩან-ძო-ლინის წინააღმდეგ

ტოკიო, 3 ოქტომბ. ლიბერალური „ოსაკა ოსახი" იტყობინება, რომ მის მიერ სარწმუნო წყაროებიდან მიღებული ცნობებით, **იაპონიას არავითარ შემთხვევაში არა აქვს განზრახული მხარი დაუჭიროს ჩან-ძო-ლინის სამხედრო გამოსვლებს საბჭოთა კავშირის ინტერესების წინააღმდეგ აღმოსავლეთ - ჩინეთის რკინისგზაზე.**

ინდოეთი

საგანგებო წესები

ლონდონი, 3 ოქტომბ. კალკუტიდან იუწყებიან, რომ ბენგალიის გუბერნატორმა ლორდმა ლიტონმა საგანგებო წესები გამოაცხადა პროვინციაში, იმ საბაბით, რომ მოახლოებულ დღესასწაულების გამო, მოსალოდნელია მღელვარება.

საზოგადოებრივ წრეებში ეჭვი აქვთ, რომ საგანგებო მდგომარეობა გამოყენებულ იქნება იმ მიზნით, რათა მოკლე ხნის განმავლობაში მსჯავრი გამოუტანონ ინდოელ პოლიტიკურ მოღვაწე-ნაციონალისტებზე.

„ჯავშნოსანი პოტიომკინი"

ბერლინი, 3 ოქტომბ. კინო-ცენზურის მთავარ სამმართველომ ნება დართო „ჯავშნოსანი პოტიომკინის" ჩვენება მხოლოდ შემოკლებულად და იმ პირობით, რომ ამ სურათზე დაშვებული არ იქნება ახალგაზრდობა.

ფოლადის ტრესტი

ნიუ-იორკი, 3 ოქტომბ. ამერიკის ფოლადის მრეწველობის წრეებში ცნობამ ფოლადის ევროპიული კონტინენტალური ტრესტის დაარსების შესახებ არავითარი მღელვარება არ გამოუწვევია.

მღელვარება ესპანეთში

ლონდონი, 4 ოქტომბ. „დეილი-მეილის" კორესპონდენტი ბორიციდან იტყობინება, რომ მოსალოდნელია ახალი მღელვარება, მიმართული პრიმო-დე-რივიერის წინააღმდეგ.

სიკვდილით დასჯა

იტალიაში

რომი, 3 ოქტომბ. იტალიის მთავრობამ მიიღო კანონპროექტი სიკვდილით დასჯის შესახებ, მეფესა, დედოფალსა და მთავრობის მეთაურზე თავდასხმისათვის.

ჩემბერლენის მოგზაურობის შემდეგ

ლონდონი, 3 ოქტომბ. ჩემბერლენმა, რომელიც დაბრუნდა ლონდონში, ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, რომ მუსოლინთან შეხვედრის დროს განხილულ იქნა კითხვები, რომლებიც შეეხებოდენ იტალიას და ინგლისს და აგრეთვე ევროპის პოლიტიკის უფრო ფართო პრობლემის კითხვებსაც.

„როგორც მოველოდი, სთქვა ჩემბერლენმა, მე სიმოვნებით აღმოვაჩინე ჩვენს შორის საკმაო თანხმობა დიდ პოლიტიკურ საკითხებზე".

ჩემბერლენმა აღნიშნა, რომ ინგლისში უკან დაბრუნების დროს მას ქონდა მეტად მეგობრული საუბარი ბრიანთან, რომელშიაც შეეხენ ლივორნოში და ტუარში მომხდარ შეხვედრებს. ამ შეხვედრების დროს არ ქონია ადგილი რაიმე ახალ შეთანხმებას, არამედ მხოლოდ იმსჯელეს მეგობრულად იმ პრობლემებზე, რომელთაც აქვთ ინტერესი მთელი ქვეყნისთვის.

დღეს, სამშაბათს, 5 ოქტომბერს საღამოს სრულ 5 ს. რუსთაველის თეატრის შენობაში

შესდგება

თბილისის ორგანიზაციის ლენინური კომკავშირის აქტივის

კრება

დღის წესრიგშია:

ამხ. ლომინაძის მოხსენება

კომკავშირის ამიერ-კავკასიის საკონტროლო კომისიისა, ცეკას და საქ. ლენინური კომკავშირის თბილისის კომიტეტის წევრები სხდომაზე შევლენ თავიანთი მანდატებით, დანარჩენები კი რაიკომში მიღებული ბილეთებით

უკანასკნელი ცნობები

„წითელი საფრთხე“

ნიუ-იორკი, 4 ოქტომბერი. ამერიკის სოციალისტური პარტიის აღმასკომმა წინადადება მისცა პარტიის ყველა ადგილობრივ ორგანიზაციებს არ დაეხმარონ იმ გაფიცვებს, რომელშიაც კომუნისტები ხელმძღვანელობენ და საერთოდ არ მიიღონ მონაწილეობა ერთიანი ფრონტის შექმნაში, თუ მას კომუნისტები ხელმძღვანელობენ.

„არ დავთმობთ“

ლონდონი, 4 ოქტომბერი. მთავრობის წინადადებათა შესახებ კუკმა განაცხადა:

„უმჯობესია ვიყოთ იმ პირობებში, რომელშიც შიმშილმა თავზე მოგვახვია, ვიდრე დავთანხმდეთ მთავრობის წინადადებებზე“.

გლაზგოში გამოსვლის დროს, კუკმა განაცხადა:

„ჩვენ არ მივიღებთ მაღაროს მეპატრონეთა პირობებს“.

მთავრობის წინადადების უარყოფა

ლონდონი, 4 ოქტომბერი. იორკშირის სამთა-მადნო მუშების ფედერაციამ წინადადება მისცა პროფკავშირის კომიტეტებს უარყონ მთავრობის წინადადებანი. ლანკაშირის და ნორტუმბერლენდის ფედერაციებმა საკითხი განსახილველად გადასცეს ქვედა კომიტეტებს საკითხისადმი მათი დამოკიდებულების გამოსარკვევად. ქვედა უელსში მასიურმა მიტინგებმა უარყვეს მთავრობის წინადადებები.

ჰამბურგის მუშები და ინგლისის მემაღაროები

ჰამბურგი, 4 ოქტომბერი. კომპარტიის მიერ მოწყობილმა მუშათა მრავალრიცხოვანმა კრებამ, ინგლისის სამთამადნო მუშების ფედერაციის აღმასკომს შემდეგი შინაარსის დეპეშა გაუგზავნა:

„ჰამბურგის ნავთსადგურის მუშები შეუერთდნენ ინგლისის მემაღაროებს საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში. ინგლისის მემაღაროების საქმე—ჩვენი საქმეა. ჰამბურგის გაფიცვა დამბლას სცემს უდიდეს ნავთსადგურს, საიდანაც გადიოდა გერმანიის ქვანახშირი. საერთო გამარჯვებისათვის საჭიროა ყველა ძალების მობილიზაცია“.

„კეთილგანწყობილების ატმოსფერაში“

ლონდონი, 3 ოქტომბერი. ჩემბერლენისა და ბრიანის შეხვედრის შემდეგ პარიზში გამოქვეყნდა ცნობა, რომელშიაც ნათქვამია, რომ ორთავე სახელმწიფო მოღვაწემ გულდასმით განიხილეს საერთაშორისო მდგომარეობა, კერძოდ კი საფრანგეთ-გერმანიის ურთიერთობის საკითხი. ბრიანისა და ჩემბერლენის საუბრები კეთილგანწყობილების ატმოსფერაში ჩატარდა.

კონსერვატორების პარტიის თავმჯდომარის გადადგომა

ლონდონი, 4 ოქტომბერი. როგორც იუწყებიან, ხვალ კონსერვატორების პარტიის ყრილობაზე სკარბოროში, პარტიის თავმჯდომარე პოლკოვნიკი ჯაქსონი განცხადებას გააკეთებს თავისი თანამდებობის დატოვების შესახებ. კონსერვატიული გაზეთების ცნობებით, ჯაქსონი დაინიშნება ბენგალიის გუბერნატორად.

შტრეზემანის იმედები

ბერლინი, 4 ოქტომბერი. ვოლფის სააგენტო იუწყება, რომ შტრეზემანმა კელნში—გერმანიის სახალხო პარტიის ყრილობაზე განაცხადა:

„შეთანხმება საფრანგეთსა და გერმანიის შორის არის ევროპის მშვიდობიანობისა და თანხმობის ქვაკუთხედი. მე ღრმად ვწუხვარ, რომ ამ დღეებში ერთმა უცხო სახელმწიფოს მოღვაწეთაგანმა, რომელსაც დიდი საპასუხისმგებლო პოსტი უკავია, გამოთქვა ის აზრი, რომ ომის პასუხისმგებლობა განსაკუთრებით ცენტრალურ სახელმწიფოებს აწევსთ. მაგრამ ერების შეგნებამ იმდენად წინ წაიწია, რომ ახლა მტკიცების უარყოფა საჭიროც აღარაა“.

დასასრულ შტრეზემანმა გამოსთქვა იმედი, რომ გერმანიის ხალხი საბოლოოდ განთავისუფლდება.

სამგზავრო ჰაეროპლანის დაღუპვა

ლონდონი, 4 ოქტომბერი. 3 ოქტომბერს საფრანგეთის სამგზავრო ჰაეროპლანს, რომელიც ლონდონისკენ გამოფრინდა, ჰაერში გაუჩნდა ცეცხლი და ჩამოვარდა ტონბრიჯში. მფრინავი მექანიკი და 5 ინგლისელი მგზავრი დაიღუპა.

ამხ. ვოროშილოვის ბრძანება

მოსკოვი, 4 ოქტომბერი. სამხედრო-საზღვაო საქ. კომისრისა და სამხედრო-რევოლიუციონურ საბჭოს თავმჯდომარის ამხ. ვოროშილოვის ბრძანებაში ნათქვამია:

„ჩემის თანადასწრებით 19-დან 23 სექტემბრამდე ჩატარებულმა დასავლეთ და უკრაინის სამხედრო ოლქების ნაწილების მანევრებმა ბობრუისკისა და ბერდიჩევის რაიონებში გვიჩვენეს, რომ წარსულმა წელმა საუკეთესო შედეგები მოგვცეს ჯარის სამხედრო, პოლიტიკურ და სამეურნეო აღზრდის საქმეში. იმ რაიონების მოსახლეობა, სადაც მანევრები ხდებოდა, განსაკუთრებულის სიხარულით ხვდებოდნენ მანევრებზე მყოფ ნაწილებს. განსაკუთრებული სიამოვნებით უნდა აღინიშნოს ის მტკიცე განწყობილება და სამაგალითო წესრიგი, რომელიც ემჩნეოდა უკრაინის სამხედრო ოლქის ნაწილებს“.

აღნიშნავს რა შემჩნეულ ნაკლს, ბრძანება დასკვნაში ამბობს: „ჩვენ სწორ გზაზე ვსდგევართ, ვისწავლეთ ჯარის სწორი აღზრდა და ამიტომ არავითარი ეჭვი არაა, რომ ჩვენ ამ საქმეს წარმატებით შევასრულებთ“.

პარლამენტი და დიქტატურა

(„პრავდას“ მოწინავე წერილი)

პოლონელი აგრარიების ორგანო „დზენ პოლსკი“ უკეთებს რა კომენტარიებს მდგომარეობის მოულოდნელ შეცვლას სეიმისა და მთავრობის შორის მომხდარ კონფლიქტში, სწერს:

„პოლონეთში რომ ყველაფერი ხდებოდეს ლოღიკისა და დასავლეთის ზნეჩვეულებათა მიხედვით, მაშინ სეიმი დათხოვნილი უნდა ყოფილიყო. მაგრამ პოლონეთი განუსაზღვრელ შესაძლებლობათა ქვეყანაა, და ამიტომ აქ პოლიტიკური მოვლენები იშვიათად ვითარდებიან ლოღიკური გზით“.

მართლაც, პირველი შეხედვით კონფლიქტის შედეგი გვეჩვენება ისე, რომ ვითომც პარლამენტმა გაიმარჯვა აღმასრულებელ ხელისუფლებაზე, რომელიც პოლონეთში არსებულ სამხედრო დიქტატურას ანსახიერებს. მაგრამ ეს ლოღიკური შეუსაბამობა მხოლოდ მოჩვენებითია. ვინაიდან სწორედ მოვლენათა ლოღიკამ უკარნახა პილსუდსკის თავი დაეჭირა სეიმის დათხოვნისა და ახალი მთავრობის შედგენისაგან, რომლის მეთაურიც იგია თვითონ.

მთავრობამ, რომელმაც ხელისუფლება ჩაიგდო მაისის გადატრიალების შემდეგ მრავალი დამამტკიცებელი საბუთი გამოამჟღავნა იმისა, რომ მას სურს გულწრფელი თანამშრომლობა მემარჯვენე პარტიებთან, რომელნიც პარლამენტში სამრეწველო კაპიტალისა და აგრარიების ინტერესების წარმომადგენელნი არიან. მაგრამ პილსუდსკის დიქტატურამ ჯერ ვერ შესძლო მსხვილი ბურჟუაზიის სრული ნდობის მოპოვება, ბურჟუაზიის, რომელსაც არ სურს „ეროვნულ გმირში“ და მის ერთგულ სამხედრო წრეებში დაინახოს თავისი ხელმძღვანელობითი როლის მტკიცე გარანტია სახელმწიფო მმართველობაში.

მემარცხენე პარტიები და პეპესოველები მოსტყუვდნენ თავის ანგარიშში პილსუდსკის დიქტატურის შესახებ და ეხლა უკვე საჭიროდ აღარ სცნობენ დაფარონ პოლონელი მუშებისა და გლეხობის წინაშე, რომ „გაბედული რეფორმატორი“ არსებითად მსხვილი კაპიტალისა და მემამულეების მონა-მორჩილი გამოდგა. იმ მუშებმა, რომელნიც პეპესოველებს მისდევენ, ჯერ კიდევ მაისის გადატრიალების დღეებშივე იგრძნეს, რომ მათი დაცვა უფრო ჰბორკავს, ვიდრე ახარებს პილსუდსკის. ეს არყევს პილსუდსკის დიქტატურის სოციალური ბაზას. პილსუდსკიმ დაჰკარგა დასაყრდენი წვრილ - ბურჟუაზიის ფენებში, მსხვილი ბურჟუაზიის 100 პროც-იანი ცნობას კი ჯერ კიდევ ვერ მიაღწია.

როგორი პროგრამით შეეძლო პილსუდსკის მისულიყო ამომრჩევლებთან იმ შემთხვევაში, რომ სეიმი დაეშალა? არავითარი პროგრამით გარდა სამხედრო ავანტიურების პერსპექტივებისა და გადასახადების გადიდებისა სამხედრო საჭიროებათათვის. ეს იმ დროს, როცა მშრომელთა უდიდესი მასები, მათ შორის რკინისგზელები და სახელმწიფო მოსამსახურენი ღელავენ და გაფიცვით იმუქრებიან, თუ მათ საშინლად მცირე ხელფასს არ მოუმატებენ. პილსუდსკის რომ მოწინააღმდეგედ გაუხდნენ მემარჯვენენი და მემარცხენენი, მაშინ მძიმე დამარცხების საქმე უდავო ფაქტი იქნებოდა. თვით მისი მომხრე გაზეთებიც კი შიშით მოცული წინასწარმეტყველობდენ პარლამენტში კომპარტიისა და ეროვნულ უმცირესობის წარმომადგენელთა გაძლიერებას.

სეიმის შენარჩუნებას პილსუდსკის უკარნახებდა აგრეთვე ფინანსიური და საგარეო პოლიტიკის მოსაზრებანი. ამერიკის კაპიტალს ძალიან ნაკლებად სჯერა დიქტატურის რეჟიმის სიმტკიცე პოლონეთში და სესხის მიღება უპარლამენტოდ საეჭვოა. არ შეიძლება მეორეს მხრით იმის უარყოფა, რომ პოლონეთის საერთაშორისო მდგომარეობა უკანასკნელ ხანებში საგრძნობლად გაუარესდა პილსუდსკის მინისტრების იმ მებრძოლი და შეურიგებელი პოლიტიკის გამო, რომელსაც ისინი ადგანან მახლობელი მეზობლების მიმართ. თუმცა პოლონეთის თავმოყვარეობამ რამდენადმე ჰპოვა დაკმაყოფილება ერთა ლიგის საბჭოში მუდმივი ადგილის მიღებით, მაგრამ პოლონეთის სახელმწიფო მოღვაწეთათვის სავსებით ცხადია, რომ ერთა ლიგის უკანასკნელმა სესიამ პოლონეთის დიპლომატიის ძალიან ბევრი იმედები გაუცრუა. განსაკუთრებით მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა პოლონეთის დიდმპყრობელურ ელემენტებზე საფრანგეთ - გერმანიის დაახლოების პროექტმა. უეჭველია, რომ გერმანიასთან „მეგობრობის“ გულისათვის საფრანგეთი არ შეჩერდება, მსხვერპლად მიიტანოს პოლონეთის მონაპოვარნი, რომელთაც სანქცია მისცა ვერსალის ხელშეკრულებამ. ამავე დროს სავსებით ცხადია, რომ ლიტვა - საბჭოთა ხელშეკრულება ურთიერთ ნეიტრალიტეტისა და თავზე არდასხმის შესახებ არა შემთხვევაში არ შეიძლება პოლონეთის პოლიტიკის წარმატებად ჩაითვალოს.

საქმე ეხება, რასაკვირველია, არა ვითომდა საბჭოთა კავშირის „აგრესიულ გეგმებს“, რომლებშიაც საბჭოთა დიპლომატიამ თითქოს ჩაითრია ლიტვა. ყველაფერი ეს, რასაკვირველია, სისულელეა. მაგრამ უეჭველია, რომ ლიტვა - საბჭოთა ხელშეკრულებამ დიდი ზიანი მიაყენა პოლონეთის იმპერიალიზმის გეგმებს, რომლის მიზანია ბალტიის მხარეთა სახელმწიფოების ბლოკის შექმნა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ამ მხრივ, პილსუდსკის მინისტრების ლონდონის დირექტივებისადმი მორჩილების პოლიტიკამ მართლაც დიდი მარცხი განიცადა.

ასეთ პირობებში სეიმის შენარჩუნება პილსუდსკის უფრო ნაკლებ ბოროტებად უნდა ჩვენებოდა, ვიდრე საყოველთაო არჩევნები. პარლამენტების ფაქტიურ სამხედრო დიქტატურასთან თანაარსებობის ფაქტს აქვს ადგილი ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში. ასეთივე მდგომარეობის განმტკიცება პოლონეთში აუცილებელია პილსუდსკისათვის. რამდენადაც მას არ შეუძლია უპარლამენტოთ მოქმედება; ამისათვის მან საერთო ენა უნდა გამონახოს პარლამენტის უმრავლესობის პარტიებთან. რამდენადმე ამ მხრივ, პილსუდსკის დახმარებას გაუწევს ფართოდ გაშლილი დემაგოგიური აგიტაცია იმ საფრთხის გამო, რომელიც ვითომდა პოლონეთს მოელის აღმოსავლეთით. იმ შემთხვევაში, თუ მემარჯვენე პარტიები, რომლებსაც არ აქვთ მისწრაფება სამხედრო ავანტიურებისადმი, არ შეითვისებენ ამ დემაგოგიას, პილსუდსკის კიდევ აქვს საშუალება შეარიგოს ერთმანეთთან ნაციონალ - დემოკრატები, ქრისტიანული დემოკრატები, პიასტოველები და სხვ.

ეს საშუალებაა — საარჩევნო რეფორმა, რომელიც ხმის უფლებას წაართმევს მშრომელ მასებს და ეროვნულ უმცირესობებს. იმის შემდეგ, როცა ასეთი რეფორმა იქნება ჩატარებული, შესაძლო გახდება, რომ ყოველგვარი შიშის გარეშე იქმნას დათხოვნილი სეიმი და მოეწყოს ახალი არჩევნები. მშრომელთა მასების წინააღმდეგ ამ გალაშქრებაში პოლონეთის ბურჟუაზია, ალბად, ხალისით შემოიკრებს თავის ძალებს პილსუდსკის გარშემო, ვინაიდან არ შეიძლება მოლოდინი იმისა, რომ ასეთ პოლიტიკას არ შეხვდება სასტიკი წინააღმდეგობა მასების მხრივ.

გადმოცემულია ტელეგრაფით

მოსკოვი, 4 ოქტომბერი.

უცხოელთა დელეგაციები თბილისში

ინგლისის მემაღაროეთა დელეგაცია

ზაჰესში

კვირას ინგლისის სამთამადნო მუშების და გაფიცულ მემაღაროეთა ცოლების დელეგაცია ადგილობრივი ამხანაგების თანხლებით გაემგზავრა ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელექტრო სადგურის დასათვალიერებლად.

დელეგატებმა დაათვალიერეს სამუშაოთა ყველა უბნები. გზადაგზა ისინი ესაუბრებოდნენ მუშებს მათი შრომის პირობებისა და ხელფასის შესახებ.

ზაჰესის დათვალიერებამ მათზე ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა.

ზაჰესიდან დელეგატები გაემგზავრნენ მცხეთაში, სადაც დაათვალიერეს დასასვენებელი სახლები.

თბილისში დაბრუნებისას დელეგატები დაიყვნენ ჯგუფებად და დაათვალიერეს ქალაქის ღირსშესანიშნავი ადგილები.

პროფსაბჭოს პლენუმზე

საღამოს დელეგაცია მთელი შემადგენლობით დაესწრო პროფსაბჭოს მესამე პლენუმის სხდომაზე.

დელეგატებს მთელი დარბაზი მქუხარე ტაშით შეხვდა.

დელეგაციას მისასალმებელი სიტყვით მიმართა პროფსაბჭოს თავმჯდომარემ—ამხ. გ. ყურულაშვილმა.

ამხ. გ. ყურულაშვილის სიტყვა

— ამხანაგებო, დღეს ჩვენთან არიან ინგლისის სამთამადნო მუშების წარმომადგენლები. მათი ჩამოსვლის მიზანია, როგორც ჩვენში, ისე სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში მტკიცე მეგობრული კავშირის დამყარება ინგლისის და საბჭოთა კავშირის მუშებს შორის და დახმარების გაძლიერება ინგლისის გაფიცულ მუშებისათვის.

თქვენ იცით, რომ გაფიცვა გრძელდება ხუთ თვეზე მეტი. ასეთი დიდი და ხანგრძლივი გაფიცვა არასოდეს არ ყოფილა. თქვენ წარმოდგენილი გაქვთ, თუ რა სიძნელეს წარმოადგენს მუშისათვის გაფიცვის წარმოება 5 თვის განმავლობაში, სადაც არ უნდა იყვეს იგი.

ჩვენ რამოდენიმე კამპანია ჩავატარეთ გაფიცულ მუშების დასახმარებლად. საქართველოს მუშების მიერ გაღებული იქნა იმდენი, რამდენიც გაიღო ამსტერდამის ინტერნაციონალმა და სამთამადნო მუშების საერთაშორისო ფედერაციამ გაფიცულთა სასარგებლოდ.

ჩვენი სურვილია, რომ ინგლისის მუშების ბრძოლა მათი სრული გამარჯვებით დამთავრდეს. ჩვენთან არიან მათი წარმომადგენლები. უსურვოთ მათ გამარჯვება იმ მძიმე ბრძოლაში, რომელსაც ისინი აწარმოებენ კაპიტალისტებთან.



ჯონსონ, უოლდან, ბრინი, ემერი

ედი შოუს სიტყვა

დელეგაციის სახელით პირველად ლაპარაკობს ედი შოუ. იგი ამბობს:—როგორც სამთამადნო მუშის ცოლი, გადმოგცემთ გაფიცულ მუშების სალამს და მადლობას გიძღვნით დახმარებისათვის, ურომლისოდ ჩვენ ყველანი სიმშილით ამოვწყდებოდით.

ინგლისის პრემიერი ბოლდუინი სცდილობდა დაერწმუნებინა უცხო სახელმწიფოების საზოგადოებრივი აზრი, რომ გაფიცული მუშები კარგათ სცხოვრობენ, რომ ისინი არავითარ გაჭირვებას არ განიცდიანო; მე აქ თქვენს წინაშე უნდა განვაცხადო, რომ ეს აშკარა სიყალბეა. გაფიცული მუშები მეტად დიდ გაჭირვებას განიცდიან.

ჩვენ, ქალებმა, მოვაწყვეთ დახმარების კომიტეტები. გაჭირების გამოსარკვევად ჩვენ დავდიოდით მუშების ბინებში, სადაც საშინელ სურათებს ვხვდებოდით. იყო შემთხვევები, როდესაც მშობიარობის შემდეგ ქალს არ ჰქონდა საჭმელი. მეორე შემთხვევაში ოჯახს არ ჰქონდა ფული სანთლის საყიდლათ და მშობიარობა სიბნელეში ხდებოდა.

ჩვენ მათ ვუნაწილებდით თქვენგან მიღებულ თანხებს; ჩვენი მზრუნველობის მთავარ საგანს შეადგენდენ ბავშვები, რომლებიც ყველაზე უფრო მძიმეთ განიცდიან სიმშილის საშინელებას.

ჩვენ ყველანი მხარში უდგივართ ქმრებს და მათთან ერთად ვიბრძვით კაპიტალისტების წინააღმდეგ.

ჩვენ ვნახეთ თქვენი სავადმყოფოები და დასასვენებელი სახლები და დავრწმუნდით, რომ მუშათა ჯანმრთელობის დაცვის საქმე საბჭოთა კავშირში მეტად მაღალ დონეზე სდგას. განსაკუთრებით მოხარული ვართ ჩვენ, რომ თქვენ დიდი მზრუნველობით ეპყრობით დედობის და ბავშვობის დაცვას.

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის მუშათა კლასს, გაუმარჯოს პროფმოძრაობის მთლიანობას

ამხ. ხოგგის სიტყვა

— ორი კვირის შემდეგ შესრულდება 50 წელიწადი, რაც მე პირველად ჩავედი მაღაროში, მე უბრალო მუშა ვარ და დაკვირვებით შევისწავლე ინგლისის მთელი პროფმოძრაობა.

100 წლის წინად ჩვენ, მაღაროს მუშები, სრული მონები ვიყავით. როდესაც მაღაროს პატრონი ყიდულობდა მაღაროს, ის ყიდულობდა მაღაროს მუშებსაც. მისი იყო ყველაფერი, ჩვენი სახლები, ავეჯი, ცხენები და სხვა.

შემდეგში მემაღაროებმა დაიწყეს ბრძოლა და ნაწილობრივ განითავისუფლეს თავი. დაარსდა პროფესიონალური კავშირები და შემდეგ სამთამადნო მუშების სრულიად ინგლისის ფედერაცია.

ომის დროს ჩვენ მივაღწიეთ 7 საათის სამუშაო დღეს, ეხლა კი კაპიტალისტები სცდილობენ მის გადიდებას, მაგრამ ჩვენ მტკიცეთ ვდგევართ და არავითარ დათმობაზე არ მივდივართ.

ჩვენ ღრმას მადლობას გიძღვნით დახმარებისათვის. ამსტერდამის ინტერნაციონალი ჩვენ არ გვეხმარება. თქვენ კი, რომლებიც რამოდენიმე ათეული ათასი ვერსით ხართ დაშორებული ჩვენგან არ გვაკლებთ დახმარებას. თქვენ ხართ ჩვენი ერთადერთი ნამდვილი მეგობრები.

ამხ. ბერნსის სიტყვა

— ჩვენ აქ თავი მოვიყარეთ საქართველოს, რუსეთის, ინგლისის, შოტლანდიის და უელსის წარმომადგენლებმა, რომელთა შორის ნამდვილი ძმური კავშირია დამყარებული. ჩემი სურვილია, რომ ჩვენ ვლაპარაკობდეთ ერთ ენაზე, რომ უფრო ნათლად გავაცნოდ ერთმანეთს ჩვენი გრძნობები.

ჩვენი დელეგაცია განსხვავდება სხვა დელეგაციებისაგან, რომლებიც თქვენ არაერთხელ გინახავთ. ის 100 პროც. მუშური დელეგაციაა.

ინგლისში დაბრუნებისას ჩვენ პირნათლად შევასრულებთ მოვალეობას თქვენს წინაშე და გავაცნობთ იქაურ მუშათა კლასს სიმართლეს თქვენს შესახებ.

ჩვენს დასაცავად გამოვიდა მთელი ინგლისის მუშათა კლასი, მაგრამ გენერალური გაფიცვა 9 დღის შემდეგ შეწყდა, რადგან ბელადებმა შეაცდინეს მუშები და სამუშაოზე დააბრუნეს. ამაში დიდი დამსახურება მიუძღვის ტომასს, ბრომლეის და სხვებს.

მტკიცეთ ვართ, მხოლოდ ჩვენ, სამთამადნო მუშები, და ჩვენი ბელადები კუკი და სმიტი. მთავრობა სცდილობდა ხელი შეეშალა ჩვენი გაფიცვისათვის, მან აკრძალა დახმარების მიღება საბჭოთა კავშირიდან, მაგრამ ჩვენ მაინც მოვახერხეთ მისი მიღება საფრანგეთიდან, საიდანაც იგი ჩამოიტანა კუკმა.

ინგლისის კაპიტალისტები გვაიძულებენ ჩვენ მივმართოთ შეიარაღებულ ბრძოლას, ადრე თუ გვიან ეს ბრძოლა დაიწყება, მაგრამ მე მინდა, რომ იგი მოხდეს იმ დრომდე, სანამ მუშათა კლასი გაიღებდეს მძიმე მსხვერპლს.

გაუმარჯოს საერთაშორისო მუშათა კლასს, გაუმარჯოს კაცობრიობის განთავისუფლებას.

ამხ. ვილიამ ჰოლის სიტყვა

— თქვენ გაინტერესებთ, თუ რატომ არ დაეხმარა ინგლისის მუშათა მასსა მემაღაროებს. ჩვენი მთავრობა მეტად ეშმაკი, უხეში და სასტიკია. მან იცის, რომ გამარჯვებისათვის საჭიროა გათიშვის შეტანა მუშათა კლასში. ამ მხრივ მას ეხმარება კაპიტალისტური პრესა, რომელიც მეტად ძლიერია ინგლისში.

ბურჟუაზიული გაზეთების ყოველდღიური აგიტაცია ბოლოს და ბოლოს თავის გავლენას ახდენს მუშებზე და ერთგვარ წინასწარ აზრს ქმნის მემაღაროების გაფიცვის შესახებ.

კაპიტალისტური პრესა აგინებს სამთამადნო მუშების ნამდვილ ბელადებს—კუკს და სმიტს, სამაგიეროთ აქებს ტომასს, მაკდონალდს და სხვებს.

ინგლისში ძლიერია ნამდვილი მუშური პრესაც, რომელიც ინტერნაციონალური მარქსიზმის ნიადაგზე სდგას. ამ პრესის საშუალებით ჩვენ ვავრცელებთ ინგლისის პროლეტარიატში ლენინის იდეებს და შორს არ არის ის დრო, როდესაც ინგლისის მუშათა კლასი მუშაობის მეთოდათ გაიხდის შეიარაღებულ ბრძოლას.

თბილისის პროლეტარიატის სახელით დელეგატებს მიესალმენ ამხ. **ტურიაშვილი, ხვედელიძე** და **ვაშაკიძე**.

დასასრულ პლენუმის მიერ მიღებული იქნა რეზოლიუცია, რომელიც მოუწოდებს ინგლისის სამთამადნო მუშებს გმირული ბრძოლის გაგრძელებისაკენ და აღუთქვამს მათ მორალურ და მატერიალურ დახმარებას.

თბილისის დათვალიერება

გუშინ დელეგაცია დილიდანვე შეუდგა ქალაქის დათვალიერებას. დელეგატებმა დაათვალიერეს მაიდანი, სომხის ბაზარი და ქალაქის ცენტრალური რაიონი. მაიდანზე დელეგატებმა სახსოვრად შეიძინეს ზოგიერთი აღმოსავლური ნივთები.

მიღებული შთაბეჭდილებების შესახებ დელეგატებმა ჩვენს თანამშრომელს განუცხადეს, რომ თბილისმა მისი თავისებური სილამაზით მათზე ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა.

— ასეთი ქალაქი ჩვენთან არსად არ გვინახავს,—აღნიშნეს ინგლისელმა სტუმრებმა.

საღამოს დელეგაცია პროფსაბჭოს მიერ მიპატიჟებული იქნა ბანკეტზე მუშათა ახალ კლუბში.

დღეს, დილის 10 საათზე, დელეგაცია მთელი შემადგენლობით მიემგზავრება ბაქოში.

გერმანელ მუშა ქალთა დელეგაცია

დელეგაციის ჩამოსვლა

გუშინ, დილის 10 საათზე, თბილისში ჩამოვიდა გერმანელ მუშა-ქალთა დელეგაცია.

დელეგაცია შესდგება 12 ქალისაგან: **ჰომან** (სოც.-დემოკრატი, დელეგაციის თავმჯდომარე), **ბერკვაილერ** (დელეგაციის მეორე თავმჯდომარე, უპარტიო), **ჰანნა შულც** (დელეგაციის მდივანი, კომუნისტი) და უპარტიოები: **კომფროტ, ნიტშე, ხერლე, იუნმან**, სოც.-დემოკრატები: [illegible] **შურერ, შიულ**; კომუნისტები: **მარია გლიუმ** და **ევენტ** (ჰამბურგის პარლამენტის წევრი—კომუნისტი).

დელეგაციის წევრები (მარცხნიდან მარჯვენივ): **ალმა ევენტ, მარია გლუმ, იოჰანნა ბრეიფ, ბერტა ბიულ, ალმა შიურერ, ლუიზა ხერლე.**

დელეგაციას ახლავენ **საკავშირო პროფსაბჭოს** წარმომადგენლები—**გოიარსკაია** და **სერინა**.

დელეგატებში სამი დიასახლისია, ერთი ჰამბურგის პარლამენტის წევრი და დანარჩენი ფაბრიკა-ქარხნების მუშები.

ლენინგრადში დელეგაცია ჩამოვიდა სექტემბრის პირველ რიცხვებში, მოიარა მოსკოვი, ხარკოვი, ყირიმი და ნოვოროსიისკი; აქედან დელეგაცია ჩამოვიდა აფხაზეთში, საიდანაც ავტომობილებით ჩამოვიდენ ხენაკამდე.

დელეგაციამ ინახულა ისეთი ქალაქები, სადაც ჯერ არც ერთი უცხოელების დელეგაცია არ ყოფილა, როგორც, მაგალ., ანაპა, სოჩი, ტუაპსე, გაგრი, ხენაკი და სხ.

საუბარი დელეგაციის თავმჯდომარე ამხ. ჰომანთან

ჩვენს თანამშრომელთან საუბარში, დელეგაციის მოგზაურობის მიზნებისა და შთაბეჭდილებების შესახებ დელეგაციის თავმჯდომარე ამხ. ჰომანმა სთქვა:

— ჩვენ გამოგზავნილი ვართ გერმანიის მუშა-ქალებისაგან და ჩვენს უმთავრეს ამოცანას შეადგენს გავეცნოთ საბჭოთა კავშირში ქალის მდგომარეობას.

კერძოთ საქართველოში ჩვენი მიზანია ქართველი ქალის მდგომარეობის შესწავლა, რამდენადაც ამას შევძლებთ სამ დღეში და მუშათა კლასის მდგომარეობის გაცნობა.

აშკარათ უნდა განვაცხადოთ, რომ ქალთა საკითხი არსად არ არის ისე გადაჭრილი, როგორც საბჭოთა კავშირში. აქაური ქალები უფლებებით სრულიად გათანასწორებული არიან მამაკაცებთან. მარტო ის, რასაც თქვენი კანონმდებლობა ითვალისწინებს მშობიარე ქალების მიმართ, არც დაესიზმრებათ ბურჟუაზიულ სახელმწიფოების ქალებს. გერმანიაში ქალებსა და კაცებს შორის განსხვავებაა ხელფასში. ქალი, რაც საპასუხისმგებლო საქმეს არ აკეთებდეს, მაინც ვერ მიიღებს იმ ხელფასს, რასაც მის ადგილზე მიიღებდა მამაკაცი.

სახელმწიფოებრივ ცხოვრებაშიაც თქვენში ფართოდ არის ჩაბმული ქალები. ერთი სიტყვით იმან, რაც ჩვენ ვნახეთ საბჭოთა კავშირში, განცვიფრებაში მოგვიყვანა.

აფხაზეთში ჩვენ დავათვალიერეთ თამბაქოს წარმოებები, რამაც ჩვენზე ძლიერ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა.

საქართველოს შესახებ ჯერ გვაქვს მხოლოდ ზერელე შთაბეჭდილებები, რადგანაც აქ ჩვენ ჯერ ვერაფრის დათვალიერება მოვასწარით.

თქვენი ქვეყანა ულამაზესი ქვეყანა ყოფილა იმ ქვეყნებს შორის, რაც ჩვენ გვინახავს.

თბილისმა ჩვენზე მოახდინა დიდი ევროპიული ქალაქის შთაბეჭდილება. აქ სდუღს ცხოვრება და თქვენ ბედნიერები ხართ, რომ ასეთ ლამაზ და თავისუფალ ქვეყანაში სცხოვრობთ.

დელეგაციის მუშაობა

გუშინ საღამოს მუშა-ქალთა დელეგაციამ დაათვალიერა თბილისის მუშათა ცენტრალური კლუბი და შემდეგ ესტუმრა მუსლიმანთა კლუბს მოედანზე.

დღეს დელეგაცია დაათვალიერებს ბავშთა სახლებს, ქალთა ორგანიზაციებს, წარმოება-დაწესებულებებს და სხ.

დელეგაციას განზრახვა აქვს ოთხშაბათ საღამოს გაემგზავროს ბაქოში.

ზევით—დელეგაციის თავმჯდომარე **ანნა ჰომან**

ქვევით—დელეგაციის მდივანი **ჰანნა შულც**

თავისუფალ მოაზროვნეთა დელეგაცია

გუშინ, საღამოს 7 საათზე ბაქოდან თბილისში ჩამოვიდა გერმანელ თავისუფალ მოაზროვნეთა (ურწმუნოთა) დელეგაცია 21 კაცის შემადგენლობით; აქედან 4 ქალია. მათ შორის 8 კომუნისტია, დანარჩენი სოციალ-დემოკრატები, დელეგაციაში შედიან მუშები და მასწავლებლები.

დელეგაცია უკვე ერთი თვეა, რაც მოგზაურობს საბჭოთა კავშირში. მათი ჩამოსვლის მიზანია კულტურული აღმშენებლობის გაცნობა საბჭოთა რესპუბლიკებში, კერძოთ კი შესწავლა იმისა, თუ როგორ არის ჩვენში დაყენებული ახალი თაობის აღზრდის საქმე.

დელეგატებს, როგორც ურწმუნოებს, აინტერესებთ როგორ ხორციელდება ჩვენში ეკლესიის გამოყოფა სახელმწიფოსაგან.

დელეგატების უმრავლესობა წამოსულია პოტსდამიდან, ლეიპციგიდან, მიუნხენიდან, ტრეისტენიდან, ჰამბურგიდან და ესენიდან.

დელეგატებმა უკვე დაათვალიერეს ლენინგრადი, მოსკოვი, სარატოვი, გერმანელთა რესპუბლიკა ვოლგაზე და ბაქო.

მარცხნიდან მარჯვენით: **ანნა ლინდემან** (მასწავლებელი, კომუნისტი) **ჰერმან ჰეინიკე** (მასწავლებელი, ს. - დ. **იოჰანნა ვეისს**

დელეგაცია თბილისში დარჩება სამი დღე. აქედან დელეგატები საქართველოს სამხედრო გზით გაემგზავრებიან კავკავში, იქიდან სევასტოპოლში, ხარკოვში, ტულაში და მოსკოვში.

დელეგაციის შემადგენლობა

დელეგაციის თავმჯდომარე **ჰერმან ჰეინიკე**

მდივანი—**ფრიტც რეიდერ**.

წევრები: **ანნა ლინდემან, იოჰანა ვეის, ლუიზე შვარც, ჰელსე ჰაინიკე, ჰერმან მაკერ, ჰერმან კრამან, მაქს კლისს, ერიხ მეიდერ, ჰენცტ როტმან, ფრიც სიმონის, ლიუდვიგ ფიშერ, ალბერტ პარტ, პაულ რეინჰარდტ, კარლ ფოგელ, ჰუგო იაკობი, კარლ ტოლვენ, კარლ დიუქერ, ჰანც ბორსტმან** და **ჰენცტ კნეისნერ**.

საუბარი დელეგაციის წევრთან —ჰერმან მაკერთან

ჰერმან მაკერი მიუნხენის გიმნაზიის მასწავლებელია. ის კომუნისტია, დელეგატია პარლამენტში კომპარტიიდან.

ჩვენს თანამშრომელთან საუბარში ამხ. ჰერმან მაკერმა განაცხადა შემდეგი:

— ჩვენი ჩამოსვლის მიზანია თქვენი კულტურული მიღწევების გაცნობა და შესწავლა. განსაკუთრებით გვაინტერესებს ჩვენ თქვენი სკოლები, უნივერსიტეტები, მუშფაკები, მუზეუმები და სხვა კულტურული დაწესებულებები. ამასთანავე ჩვენ დიდი ინტერესით ვეპყრობით ფიზკულტურასაც, რომელიც საბჭოთა კავშირში სწრაფად ვითარდება.

საბჭოთა კავშირში მოგზაურობამ ჩვენ დაგვარწმუნა, რომ კულტურულ ფრონტზე თქვენ დიდ შედეგებს მიაღწიეთ. შექმნილია მრავალი ახალი დაწესებულება, რომელთაც კულტურა და განათლება შეაქვთ მასებში. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია მუშათა კლუბები და მუშფაკები, რომლის მსგავსი ჩვენ არ გვაქვს.

ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენზე თქვენმა სკოლებმა და პიონერთა ორგანიზაციებმა. საბჭოთა სკოლები ზრდიან ნამდვილ მოქალაქეებს, რომლებმაც უნდა იბრძოლონ ახალი საზოგადოების, ახალი ცხოვრების შესაქმნელად.

ჩვენ თავისუფალი მოაზროვნენი ვართ. ვეწევით ყველგან ურწმუნოების აგიტაცია-პროპაგანდას. ჩვენ ვფიქრობდით საბჭოთა კავშირშიც გაგვეწია ასეთი პროპაგანდა, მაგრამ დავრწმუნდით, რომ აქ ყველანი ურწმუნონი ყოფილან.

საქართველოში ჩვენ გვაინტერესებს აქაური კულტურული მიღწევების გაცნობა, უმთავრესად კი, უნივერსიტეტის დათვალიერება, რომელიც, რამდენადაც ვიცით, თბილისში წინეთ არ ყოფილა.

ამასთანავე ჩვენ გავეცნობით ბიბლიოთეკების, თეატრების, კლუბების და სხვა კულტურული დაწესებულებების მუშაობას.

გერმანიაში დაბრუნებისას ჩვენ თავს მოუყრით საბჭოთა კავშირში მიღებულ შთაბეჭდილებებს და გაუზიარებთ მათ გერმანიის მუშათა კლასს სპეციალური მოხსენებების ან ანგარიშის სახით.

პარტიული ცხოვრება

პარტიის მთლიანობის სადარაჯოზე

ოპოზიციის ფრაქციულ გამოსვლების წინააღმდეგ

საკავშირო კომპარტიის მოსკოვის კომიტეტის ბიუროს რეზოლუცია

მოსკოვი, 4 ოქტომბერი. საკავშირო კომპარტიის (ბ) მოსკოვის კომიტეტის ბიუროს 2 ოქტომბრის სხდომაზე მიღებულ რეზოლიუციაში ოპოზიციის ფრაქციული გამოსვლების საკითხის შესახებ, ნათქვამია: მოსკოვის კომიტეტის ბიურო აღნიშნავს, რომ უკანასკნელ ხანებში ადგილი აქვს ოპოზიციონურ ჯგუფებს გამთიშავი პოლიტიკის აღმაშფოთებელ ფაქტებს; ეს ჯგუფები თავს იყრიან გაკოტრებულ პოლიტიკური ბელადების გარშემო. არალეგალურ ლიტერატურის გავრცელების ფაქტი, ისეთი ლიტერატურის, რომელიც ძნელი განსასხვავებელია მენშევიკური ლიტერატურიდან, არალეგალურ კრებებისა და არალეგალურ საწევრო გადასახადების აკრეფის ფაქტი, მოწმობს იმას, რომ ოპოზიციონური ბელადები შორდებიან პარტიულად დასაშვების ბრძოლის მეთოდების ყოველგვარ საზღვრებს.

1 ოქტომბერს ოპოზიციონური ჯგუფი **საპრონოვის** მეთაურობით შეეცადა დაეწყო სადისკუსიო შეტევა პარტიის გადაწყვეტილებათა წინააღმდეგ პოდმოსკოვნაიაში, სადაც **უჯრედმა ერთსულოვნად უარყო ფრა[illegible] გამოსვლების ცდა და არ დაუშვა საპრონოვი სხდომაზე.**

იმავე რიცხვებში ცეკას წევრები **ტროცკი, ზინოვიევი, პიატაკოვი**, და **სმილგა**, აგრეთვე **რადეკი, საპრონოვი** და სხ. მთელი ჯგუფით მივიდენ „ავია-პრიბორის“ უჯრედში, სადაც ისინი პარტიის გადაწყვეტილებათა წინააღმდეგ გამოვიდენ და არაჩვეულებრივი სიმკაცრით გაილაშქრეს.

მიუხედავად იმისა, რომ ოპოზიციის ყველა ბელადები იყვნენ კრებაზე და ისინი აქტიურად გამოვიდნენ, მათ სასტიკი მარცხი განიცადეს პარტიის მუშა წევრების მხრივ. აღნიშნულმა პირებმა თავიანთი გამოსვლით უხეშად დაარღვიეს ცეკას და ცენტრ. საკონტროლო კომისიის პლენუმის დადგენილება, ისინი ფარისევლურად ლაპარაკობდენ მთლიანობის შესახებ, მაგრამ თავიანთი მოქმედებით გამოამჟღავნეს თავიანთი პოლიტიკა, როგორც გამთიშავი პოლიტიკა. ოპოზიციონური ლიდერების ჯგუფების მიერ ფაქტიურად მომზადებულ გათიშვას და პარტიულ საქმიანი მუშაობის ჩაშლის ცდას მოსკოვის კომიტეტის ბიურო სცნობს ბოროტმოქმედებად პარტიის წინააღმდეგ. მოსკოვის კომიტეტის ბიურო სცნობს, რომ ამგვარი მოქმედება პარტიის, მისი ყრილობისა, მისი ცეკას და ცენტრ. საკონტროლო კომისიის გადაწყვეტილებათა აბუჩად აგდებას წარმოადგენს. მოუწოდებს რა მოსკოვის ორგანიზაციის ყველა წევრებს გადაჭრით გაილაშქრონ დეზორგანიზატორების წინააღმდეგ, რომელნიც პარტიის მთლიანობას არღვევენ მძიმე მომენტში, მოსკოვის კომიტეტის ბიურო წინადადებით მიმართავს პარტიის ცეკას, რათა წესრიგისაკენ მოუწოდოს ცეკას წევრებს, რომელნიც პარტიის ნება-სურვილს არღვევენ.

პარტიის საქმიანი მუშაობა, განსაკუთრებით მძიმე საოპერაციო სამეურნეო წლის დასაწყისში, რომელიც საერთაშორისო მდგომარეობის გართულების პირობებში მიმდინარეობს, არ უნდა იქმნას ჩაშლილი რამოდენიმე პირის მიერ, რომელთაც ჰგონიათ, რომ წინანდელი დამსახურება და მდგომარეობა პარტიაში ნებას აძლევს მათ დაარღვიონ პარტიის კოლექტიური ნება.

პარტია სასტიკ პასუხს გასცემს ამგვარ ფრაქციულ მოქმედებებს, მიუხედავად იმისა, თუ ვინ იქნება დამნაშავე, როგორც ამას გვასწავლიდა ლენინი. მოსკოვის კომიტეტი მოუწოდებს ყველა პარტიულ უჯრედებს გაატარონ პარტიული გადაწყვეტილება დისკუსიის დაუშვებლობის შესახებ, რომელიც უკრძალავს ოპოზიციის ბელადებს, რომ პარტია ჩააბან სადისკუსიო ციებ-ცხელებაში. მოსკოვის კომიტეტი სცნობს, რომ უჯრედებმა მაგალითი უნდა აიღონ პოდმოსკოვნაიას მუშა- კომუნისტებისაგან, რომლებმაც ბოლშევიკური პასუხი გასცეს პარტიულ გადაწყვეტილებათა დამრღვევლებს.

საკავშირო კომპარტიის (ბ) მოსკოვის კომიტეტის მდივანი **უგლანოვი**

ლენინის ხაზით

მოსკოვი, 4 ოქტომბერი. კავშირთა სახლის დიდ დარბაზში შესდგა კომკავშირის მოსკოვის ორგანიზაციის აქტივის კრება. დაესწრო 1.500 კაცი. ვრცელი მოხსენებით საკავშირო კომპარტიის (ბ) მოსკოვის კომიტეტის მეშვიდე პლენუმის შედეგების შესახებ გამოვიდა ამხ. **მანდელშტამი**.

ყველა ხმების უმრავლესობით წინააღმდეგ 6 ხმისა, მიღებულ იქნა რეზოლიუცია, რომელშიაც ნათქვამია:

„კრება სავსებით და მთლიანად უერთდება პლენუმის ძირითად გადაწყვეტილებებს. კრება გადაჭრით ჰგმობს ოპოზიციის გამხრწნელ ფრაქციონურ არალეგალურ ბრძოლას და მის მეთოდებს, რომელიც დასაშვებად სცნობს პარტიის მოტყუილებას და შეცდომაში შეყვანას. კრება მოითხოვს ხელმძღვანელ პარტიული ცენტრებისაგან, რომ გადაჭრით იქნას აღმოფხვრილი ოპოზიციის გამთიშავი დამღუპველი მუშაობა. კრება გადაჭრით წინააღმდეგია ყოველგვარი დისკუსიისა და ჰკიცხავს ოპოზიციის ცდას, რომ დისკუსიაში ჩააბას პარტია. კომკავშირი პარტიასთან არის, მყვირალებისა და გამთიშველების წინააღმდეგ, იგი ლენინის ცეკასა და მოსკოვის კომიტეტს ემხრობა ოპოზიციის წინააღმდეგ.

აქტივის კრება მოუწოდებს კომკავშირის ყველა ორგანიზაციებს მხარი დაუჭირონ პარტიას ოპოზიციის წინააღმდეგ“.

საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას და ცენტ. საკონტროლო კომისიისადმი მისალმებაში აქტივის კრება ლენინური კომკავშირის მოსკოვის კომიტეტის სახელით აცხადებს, რომ მიუხედავად ყოველგვარ დაბრკოლებათა სოციალისტური აღმშენებლობის გზაზე, კომკავშირი პარტიის ხელმძღვანელობით სძლევს ამ სიძნელეთ პრაქტიკულ მუშაობაში.

ამასთან ერთად ყოველგვარი ცდას ოპოზიციის მხრით, რომელიც საკავშირო კომპარტიის ცეკას ლენინური ხაზისა და მთელი პარტიის წინააღმდეგ არის მიმართული, კომკავშირის მხრით შეხვდება მთლიანი და შეთანხმებული გალაშქრება. კომკავშირი უპასუხებს მტკიცე დარაზმვით ლენინის მოძღვრების საფუძვლების მიხედვით და მომავალშიაც ბოლშევიკურ პარტიის ხელმძღვანელობით მოამზადებს ლენინიზმის ერთგულ დამცველებს.

პარტიიდან გამორიცხვა ფრაქციული მოღვაწეობისათვის

მოსკოვი, 4 ოქტომბერი. საკავშირო კომპარტიის (ბ) მოსკოვის საკონტროლო კომისიამ განიხილა საკავშირო კომპარტიის (ბ) წევრის **გინზბურგის** საქმე, რომელსაც ბრალად ედებოდა ფრაქციული, ანტიპარტიული საქმიანობა. გინზბურგი—საკავშირო კომპარტიის (ბ) წევრია 1917 წლიდან, ტყის მრეწველის შვილი, უმაღლესი განათლებით, მთავარ საკონცესიო კომიტეტის მოსამსახურე.

მოსკოვის საკონტროლო კომისიამ გამოარკვია, რომ გინზბურგი ფრაქციული, გამთიშავი მიზნებით ავრცელებდა ცეკას საიდუმლო ცალმხრივათ შერჩეულ საბუთებს იმ მიზნით, რომ სახელი გაეტეხა მე-14-ტე პარტყრილობის მიერ არჩეულ ცენტრალურ კომიტეტის პოლიტიკისათვის. გარდა ამისა, გინზბურგი სცდილობდა, კავშირი დაეჭირა საკავშირო კომპარტიის (ბ) წევრებთან პროვინციაში ფრაქციული ჯგუფების შექმნის მიზნით. მოსკოვის საკონტროლო კომისიის პარტკოლეგიის სხდომაზე გინზბურგი იქცეოდა, როგორც საკავშირო კომპარტიის (ბ) წევრობის უღირსი პირი, იძლეოდა ყალბ განმარტებებს თავისი ფრაქციული მოქმედების შესახებ. იხელმძღვანელა რა ამ გარემოებით, მოსკოვის კომიტეტმა დაადგინა ლევ გრიგორის ძე **გინზბურგი** გამორიცხულ იქნას საკავშირო კომპარტიის (ბ) რიგებიდან.

მოსკოვი, 4 ოქტომბერი. სოკოლნიკის რაიონულმა საკონტროლო კომისიამ 21 აგვისტოს გაარჩია საკავშირო კომპარტიის წევრების **ბაბაშკინის, ცვეტკოვის** და **ვასილიევის** საქმე, რომლებსაც ბრალად ედებოდათ არალეგალური ფრაქციული საქმიანობა.

რაიონულმა საკონტროლო კომისიამ გამოარკვია, რომ ბაბაშკინმა, ცვეტკოვმა და ვასილიევმა საკავშირო კომპარტიის (ბ) რამოდენიმე წევრთან ერთად მოაწყვეს 11 კაცისაგან შემდგარი კრება, რომელზედაც ანტიპარტიული მოხსენებით გამოვიდა ვლადიმერ მიხეილის ძე **სმირნოვი** (სმირნოვი გამორიცხულია საკავშირო კომპარტიიდან მოსკოვის საკონტროლო კომისიის მიერ), როცა ვასილიევი გაწვეულ იქნა რაიონულ საკონტროლო კომისიაში ახსნა-განმარტებისათვის, მან თავი ეჭირა, როგორც საკავშირო კომპარტიის (ბ) წევრობის უღირს პირს და იძლეოდა ყალბ ჩვენებებს.

ვასილიევი, საკავშირო კომპარტიის (ბ) წევრი 1919 წლიდან, ინტელიგენტი, როგორც შემოხსენებულ კრების ორგანიზატორი გამორიცხულია საკავშირო კომპარტიის (ბ) რიგებიდან. **ბაბაშკინს**, საკავშირო კომპარტიის (ბ) წევრს 1917 წლიდან ოქტომბრის რკინის გზების სტალინის სახელობის მუშა და **ცვეტკოვს**—საკავშირო კომპარტიის (ბ) წევრს 1923 წლიდან იმავე სახელოსნოებში მომუშავეს, რაიონულმა საკონტროლო კომისიამ გამოუტანა სასტიკი საყვედური გაფრთხილებით.

ეს დადგენილება 25 აგვისტოს დასმულ იქნა საკავშირო კომპარტიის (ბ) ოქტომბრის რკინის გზების სტალინის სახელოსნოების (ბაბაშკინისა და ცვეტკოვის მუშაობის ადგილზე) საერთო კრებაზე, რომელმაც ერთხმად დაადასტურა სარაიონო საკონტროლო კომისიის დადგენილება.

მოსკოვი, 4 ოქტომბერი. მოსკოვის საკონტროლო კომისიის პლენუმზე 27 სექტემბერს მოსმენილ იქნა საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) წევრების—**ტკაჩევისა** და **ბალაშევის** საქმე, რომელთაც ბრალდებათ ფრაქციული მუშაობის წარმოება.

ბალაშევს, საკ. კომპ. (ბ) წევრი 1917 წლიდან, სადგ. ხოვრინოს ტექნიკური აგენტის თანაშემწეს, ბრალდება მონაწილეობა გაევსკის ბინაზე გამართულ არალეგალურ ფრაქციულ კრებაზე. ბალაშევი არ უარყოფს თავის მონაწილეობას არალეგალურ ფრაქციულ კრებაზე.

მოსკოვის საკონტროლო კომისიას შესაძლებლად მიაჩნია, რომ მომავალში ბალაშევი გამოასწორებს თავის პოლიტიკურ გეზს და შეიგნებს ფრაქციული მუშაობის მავნებლობას და ამიტომ იღებს რა მხედველობაში იმას რომ ბალაშევი დიდი ხანი არაა, რაც მოსწყდა დაზგასთან მუშაობას, უცხადებს მას სასტიკ საყვედურს გაფრთხილებით.

ტკაჩევი, ყოფილი მუშა, საკ. კომპ. (ბ) წევრი 1919 წლიდან რიაზან-ურალის რკინისგზის წევის სამსახურის უჯრედის მდივანი, საკ. კომპ. (ბ) „ზამოსკვორეცკი“-ს რაიკომის წევრი, რომლის საქმე მე-14-ტე პარტყრილობის მომენტიდან მოსკოვის საკონტროლო კომისიაშია, ჰგმობდა ახალ ოპოზიციას და მონაწილეობას იღებდა მის შეხედულებათა გაკიცხვაში. უფრო მეტი, ტკაჩევმა რაიკომში შეიტანა განცხადება ოპოზიციის მომხრეებთან მისი —ტკაჩევისა და რამოდენიმე სხვა ამხანაგების მიკუთვნების უსაფუძვლობისა და დაუშვებლობის შესახებ, რადგან ის ღრმად არის დარწმუნებული მე-14-ტე პარტყრილობის და ცენტრალურ კომიტეტის შემდეგი პლენუმების დადგენილებათა სისწორეში. რაიკომში მან თვითონვე მიუთითა მისი უჯრედის ზემოაღნიშნულ წევრის, ბალაშევის მიერ წარმოებულ ფრაქციულ მუშაობაზე. მისი წინადადებით რაიონულმა საკონტროლო კომისიამ მას დაავალა საკავ. კომპ. (ბ) წევრის—შესტოპალოვის გამოძახება კომისიაში, სადაც შესტოპალოვს ფაქტებით უნდა დაემტკიცებინა ბალაშევის გამთიშავი მუშაობა. ტკაჩევმა იმის მაგიერ, რომ გამოეძახებინა შესტოპალოვი და მასთან ერთად წარმდგარიყო რაიონული საკონტროლო კომისიის წინაშე, რაზედაც მან თვითონ შეიტანა წინადადება და, როგორც მას ჰქონდა ეს დავალებული, წაიყვანა შესტოპალოვი გაევსკისთან და იქ, გაევსკისთან ერთად არიგებდა მას, თუ როგორ შეეყვანა შეცდომაში რაიონული საკონტროლო კომისია. ყველაფერი ეს მან ჩაიდინა ბრალდების თავიდან აცილების მიზნით.

იღებს რა მხედველობაში იმას, რომ მსგავსი საქციელი არ ეკადრება საკ. კომ. პარტ. (ბ) წევრს, მოსკოვის საკონტროლო კომისია აღგენს გამორიცხოს ის საკავშირო კომპარტიის (ბ) რიგებიდან.

სამდივნოს სხდომაზე 29 სექტემბერს მოსმენილ იქნა საკ. კომ. (ბ) წევრის **გაევსკის** საქმე. გაევსკი, ყოფილი მენშევიკი, პარტიის წევრი 1917 წლიდან, მოსამსახურე, ამხ-ბა „დომოსცტროიტელი“-ს გამგეობის თავმჯდომარე, ფრაქციული მუშაობისათვის ჩელიაბინსკის (ურალი) ორგანიზაციაში გამორიცხულ იქნა პარტიიდან, მაგრამ შემდეგ აღდგენილ იქნა პარტიის წევრის უფლებებში ცენტრალურ საკონტროლო კომისიის მიერ. მიმდინარე წლის აგვისტოს გაევსკიმ თავის ბინაზე მოაწყო არალეგალური კრება, მის მიერ შეგროვილ ამხანაგებისაგან, რომლებიც შემჩნეული იყვენ ფრაქციულ მუშაობაში.

როცა ამ კრების შესახებ მის ერთ-ერთმა მონაწილემ აცნობა უჯრედს, მაშინ გაევსკიმ უჯრედში ცნობების მიმწოდებელ ამხანაგს, დაზგის მუშას, პარტიულს 1917 წლიდან, მისცა დარიგება, თუ როგორ გამოესწორებია მას მის მიერ დაშვებული „შეცდომა“. გაევსკიმ უბრძანა მას საკონტროლო კომისიისათვის მიეწოდებია ყალბი ცნობები და გამოეგონა ისეთი ფაქტები, რომლებიც დააბნევდენ საკონტროლო კომისიას და არ მისცემდენ შესაძლებლობას გამოერკვია, როგორც მისი, გაევსკისა, ისე სხვა დანარჩენ ამხანაგების მონაწილეობა არალეგალურ კრებაზე. მოსკოვის საკონტროლო კომისიის სამდივნოს სხდომაზე გაევსკი საკავ. კომპ. (ბ) წევრისათვის არასაკადრისად იჭერდა თავს და სცდილობდა ყოველმხრივი ჩირქი მოეცხო იმ ამხანაგისათვის, რომელმაც პატიოსნად, მუშურად შეასრულა თავისი მოვალეობა პარტიის წინაშე, მიაწოდა რა უჯრედს ცნობები ფრაქციული მუშაობის წარმოების შესახებ.

მოსკოვის საკონტროლო კომისიამ გაევსკი პარტიიდან გამორიცხა.

იმავე სხდომაზე გარჩეულ იქნა **მინკოვის** (არა ის მინკოვი, რომელიც წევრია ცენტრ. საკონტრ. კომისიისა) საქმე, რომელსაც ბრალდება დეზორგანიზატორული მუშაობა. მარკ ილიასძე მინკოვს, ყოფილ მუშას, საკ. კომ. პარტ. (ბ) წევრს 1912 წლიდან, რომელიც ეხლა რემედსში მუშაობს, ბრალდებოდა ცეკას ცალმხრივად შერჩეულ საიდუმლო დოკუმენტების გავრცელება და ამავე დროს დირექტივების მიცემა ფრაქციულ უჯრედების მოწყობის შესახებ.

მინკოვს ფრაქციულ გამთიშავი საქმიანობისათვის მოსკოვის საკონტროლო კომისიის სამდივნომ გამოუცხადა საყვედური გაფრთხილებით.

ლენინის პარტიასთან ერთად

ბაქო, 4 ოქტომბერი. აზერბეიჯანის კომპარტიის ცეკას, ბაქოს კომიტეტისა და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის პლენუმების გაერთიანებულმა სხდომამ სამაზრო კომიტეტებისა და აზერბეიჯანის ლენინურ კომკავშირის მდივნების თანდასწრებით ერთხმად მიიღო შემდეგი რეზოლიუცია:

„საკავშირო კომპარტიის მე-14 ყრილობამ გაჰკიცხა ოპოზიციის იდეური და ორგანიზაციული მერყეობა და განსაზღვრა პარტიის ხაზი სოციალიზმის აღმშენებლობის ყველა ძირითად საკითხებში. ოპოზიციამ განიცადა რა იდეური მარცხი ყრილობაზე, არ შესწყვიტა ფრაქციონულ-გამთიშავი მუშაობა, საიდუმლო არალეგალურ კრებების ტყეში მოწყობით და სხ.

საკავშირო კომპარტიის ცეკას და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის ივლისის პლენუმმა აღნიშნა სისტემატიური დარღვევა ოპოზიციის მხრით საკავშირო კომპარტიის მე-14 ყრილობის დადგენილებათა, გადაჭრით ერთხელ კიდევ გაჰკიცხა გაერთიანებული ოპოზიციონური ბლოკის (ტროცკისტები, შლიაპნიკოველები და ზინოვიეველები) დეზორგანიზატორული მუშაობა და გამოსთქვა რწმენა, რომ ოპოზიცია პრაქტიკული საქმიანი მუშაობის პროცესში შეიგნებს და გამოასწორებს თავის შეცდომებს. როგორც მე-14 ყრილობამ, ისე ცეკას და ცენტრ. საკონტროლო კომისიის ივლისის პლენუმმა ხაზი გაუსვეს პარტიის ფოლადისებურ დისციპლინის შენარჩუნების აუცილებლობას, ვინაიდან „ბოლშევიკური პარტიის ყველა წარმატებათა ძირითადი წინასწარი პირობა ყოველთვის იყო ფოლადისებური მთლიანობა, რკინის დისციპლინა და შეხედულებათა ერთიანობა ლენინიზმის საფუძვლების ნიადაგზე“.

მაგრამ როგორც უკანასკნელი დროის ამბებმა გვიჩვენეს, ოპოზიციამ დაარღვია პარტიული დისციპლინის ელემენტარული საფუძვლები და გვერდს უხვევს პარტყრილობის გადაწყვეტილებებს. პარტიის ყოველი წევრისათვის გასაგებია, რომ „მტკიცე პარტიული დისციპლინისა, უმცირესობის უმრავლესობისადმი დამორჩილების გარეშე, პარტიისათვის შეუძლებელი იქნებოდა იმ ისტორიული ამოცანების შესრულება, რომელნიც მას დააკისრა ოქტომბრის რევოლიუციამ, პროლეტარიატის დიქტატურის შენარჩუნება და განმტკიცება და ამით სოციალიზმის გამარჯვების უზრუნველყოფა“.

ცენტრალური კომიტეტის უმნიშვნელო უმცირესობის გამოსვლები ტროცკისა, ზინოვიევისა, პიატაკოვისა და კამენევის მეთაურობით, წინააღმდეგ ცენტრალურ პარტიულ ორგანოთა ყველა დადგენილებებისა, აფერხებს მთელ პრაქტიკულ მუშაობას სოციალისტური მეურნეობის აღმშენებლობისათვის“.

ეხლა, როცა პარტიამ აუცილებლად მთელი თავისი ყურადღება უნდა მიაქციოს პურის დამზადებას, ექსპორტს, მრეწველობის ზრდას, საცალო ფასების შემცირებას, გლეხურ მეურნეობას და სხ., ოპოზიციის გამოსვლა არ შეიძლება სხვანაირად დახასიათდეს, თუ არა როგორც ცდა, რომ დეზორგანიზაცია შეიტანოს და დაშალოს მძიმე შრომით მოგვარებული სოციალიზმის აღმშენებლობის მუშაობა.

მოსკოვის პროლეტარებმა სათანადოთ დააფასეს ოპოზიციის გამთიშველობის ცდა და გადაჭრით წინააღუდგნენ საპრონოვის, ტროცკის, ზინოვიევის და პიატაკოვის გამოსვლას, რომელიც მიმართული იყო უმაღლეს პარტიულ ორგანოების გადაწყვეტილებების წინააღმდეგ. ოპოზიციას სურს პარტიას თავს მოახვიოს ახალი დისკუსია, რომელიც რამდენიმე თვით მოაცილებს მთელი პარტიის ყურადღებას ყოველგვარ პრაქტიკულ გეგმიან მუშაობისაგან. არსებულ საერთაშორისო და სამეურნეო პირობებში ყოველი ახალი დისკუსია იქნებოდა უდიდესი და მიუტევებელი ფუფუნება პარტიისათვის. პლენუმი ფიქრობს, რომ ოპოზიციას შეუძლია დაიცვას თავისი შეხედულებები ნორმალური პარტიული გზით—სადაო საკითხების პარტიის უზენაეს ორგანოს—ყრილობაზე გადატანით და არ მიმართოს დეზორგანიზატორულ გამთიშველ მეთოდებს.

აზერბეიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, ბაქოს კომიტეტის წევრებთან ერთად, უერთდება რა მოსკოვის კომიტეტის გადაწყვეტილებებს, მოუწოდებს აზერბეიჯანის კომპარტიის ყველა წევრებს, განსაკუთრებით კი ბაქოს კომუნისტ-პროლეტარებს, კიდევ უფრო შეამჭიდროვონ პარტიული რიგები ნამდვილი ლენინიზმის ნიადაგზე მსოფლიოში პირველ პროლეტარულ რესპუბლიკის დასაცავად და სოციალიზმის მშენებლობისათვის.

გამთიშველების წინააღმდეგ, პარტიის ლენინურ მთლიანობისათვის!“

გადამჭრელი ბრძოლა ოპოზიციასთან

ოდესა, 4 ოქტომბერი. საკონტროლო კომისიის პლენუმი თავის რეზოლიუციაში სავსებით და მთლიანად უერთდება ივლისის გაერთიანებული პლენუმის ყველა დადგენილებებს. იღებს რა მხედველობაში პარტიის განხეთქილების საფრთხეს, და აგრეთვე ოდესაში აღმოჩენილ ოპოზიციის მომხრეთა არალეგალურ მუშაობის შემთხვევებს, პლენუმი ამბობს, რომ გადამჭრელი და დაუნდობელი ბრძოლა უნდა იქმნას წარმოებული ოპოზიციის წინააღმდეგ და პარტიიდან უნდა იქმნან გამორიცხულნი გათიშვის პოლიტიკის მომხრენი.

დნეპროპეტროვსკი, 4 ოქტომბერი. აქტივის გაფართოებულმა კრებამ მოისმინა რა ხარკოვიდან ჩამოსული ამხ. **პეტროვსკის** მოხსენება პარტიის მორიგი ამოცანების შესახებ, მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც ხაზს უსვამს, რომ მე-14 ყრილობისა და საკავშირო კომპარტიის ცეკას და ცენტრ. საკონტროლო კომისიის უკანასკნელი პლენუმის დადგენილებანი სავსებით უზრუნველყოფენ პარტიის საერთაშორისო და შინაურ პოლიტიკის სისწორით გატარებას და ლენინური რიგების სიმტკიცეს. კრება მთელი დნეპროპეტროვსკის ორგანიზაციის სახელით უცხადებს, რომ იგი გადამჭრელ ბრძოლას აწარმოებს პარტიისა და მუშათა კლასის დემორალიზაციის წინააღმდეგ ოპოზიციის მხრივ და მოუწოდებს ყველა პარტორგანიზაციებს დაადგენ ლენინურ ცეკას ფოლადისებურ რიგებში და მთელი ძალ-ღონით შეასრულონ ილიჩის ანდერძი სოციალიზმის აღმშენებლობის შესახებ.

ლენინგრადი, 4 ოქტომბერი. 4 ოქტომბერს შესდგა მთელი რიგი პარტიული კრებებისა, რომელზედაც განხილულ იქნა ოპოზიციონური ბელადების გამოსვლა მოსკოვში. კრებებზე გამოტანილ იქნა რეზოლიუციები, რომელნიც მოითხოვენ გადამჭრელი ზომების მიღებას ოპოზიციის ფრაქციონური მოქმედების წინააღმდეგ. ზოგიერთი რეზოლიუციები მოითხოვენ სასწრაფო ყრილობის მოწვევას, რომ დაისვას საკითხი გაუსწორებელი ოპოზიციონერების პარტიიდან გამორიცხვის შესახებ.

აზერბეიჯანის კომპარტიის ც. კ. პლენუმი

ამხ. თაიროვის მოხსენება

ბაქო, 4 ოქტომბერი. აზერბეიჯანის კომპარტიის (ბ) ცეკას პლენუმის დილის სხდომაზე 3 ოქტომბერს მოსმენილ იქნა ამხ. თაიროვის მოხსენება სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის შესახებ.

„1924 წელში აზერბეიჯანის სასოფლო ბანკმა მოაწყო 80 საკრედიტო ამხანაგობა. 1925 წ. 1 ოქტომბრისათვის კი უკვე იყო 184 ამხანაგობა.

სასოფლო სამეურნეო კოოპერაციის შემდგომი ზრდა ასეთივე ტემპით აღარ მიდის და 1926 წ. 1 ივლისისათვის გვაქვს 203 საკრედიტო ამხანაგობა.

1924 წლის 1 ოქტომბრისათვის კოოპერაციაში გაერთიანებული იყო 12.901 მეურნეობა. 1926 წ. 1 ივლისისათვის კი 41.077 მეურნეობა.

მასების კოოპერაციაში ჩაბმა უფრო ჩქარის ტემპით მიდის, ვიდრე თვით ამხანაგობათა ორგანიზაცია.

1924 წ. 1 ოქტომბრისათვის ანაბარი უდრიდა 20.000 მან., რომელთაგან 10.000 მან. გლეხის ანაბარი იყო. 1926 წ. 1 აგვისტოსათვის ეს თანხა უკვე 204.000 მან. უდრის, სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობათა აპარატი უმეტეს შემთხვევაში თვით გლეხობისაგან შესდგება.

აგრონომ-მომუშავეთა ნაკლებობის გამო სპეციალური სახის საკრედიტო ამხანაგობანი აზერბეიჯანში მეტად სუსტია. ამჟამად მათი რიცხვი 99 უდრის, მაგრამ განზრახულია მათი შემცირება 77-მდე. სუსტად არის განვითარებული სამანქანო ამხანაგობანი. მათი რიცხვი მთელ აზერბეიჯანში სულ 16-ს უდრის.

ამხ. თაიროვის მოხსენების შემდეგ მოსმენილ იქნა ამხ. ჰუსეინოვის მოხსენება პარტგანათლების შესახებ.

ამხ. ჰუსეინოვის მოხსენება

ბაქო, 4 ოქტომბერი. „უკანასკნელი ხანა—ამბობს ამხ. ჰუსეინოვი ხასიათდება იმით, რომ ჩვენი მრეწველობა და აგრეთვე საერთაშორისო მდგომარეობა გვიკარნახებს პარტიის უდიდესი ყურადღება მივაქციოთ ლენინიზმის და მარქსიზმის პროპაგანდის საკითხებს.

ჩვენ გვაკლია ხელმძღვანელთა კადრი. ჩვენ საკმაოდ არ ვართ თეორეტიულად მომზადებულნი. ჩვენი ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები ნაკლებ ყურადღებას აქცევენ პარტგანათლების საკითხს. მაზრებში ჩვენ გვყავს 6,2 პროც. წერა-კითხვის უცოდინარი. აქედან უპირველესი ჩვენი ამოცანა—წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია. შარშან პარტგანათლების უმთავრესი ბაზა სოფლად იყო მოძრავი სკოლები, რომელთა რიცხვი 40 უდრიდა. წელს ვფიქრობთ კიდევ მოვაწყოთ 80 სკოლა. ამას გარდა ჩვენ განზრახული გვაქვს 30 პროპაგანდისტის გაგზავნა სოფლად.

ჩვენი მაზრები თვითონაც აარსებდენ სკოლებს. ამ სკოლებში სწავლა დაამთავრა 4.769 კაცმა, რომელთაგან 2.303 პარტიული იყო, ხოლო 1.377 კაცი კი კომკავშირელი.

გარდა ამისა სოფლად არსებობდენ საბჭოთა პარტიული სკოლები. გამსადაგი შენობების უქონლობის და მთელ რიგ სხვა პირობების გამო ეს სკოლები მეტად ცუდ მდგომარეობაში არიან“.

შემდეგ შეეხო რა ამ სკოლების სისტემის და პროგრამის, მომხსენებელმა სთქვა: „ადგილობრივი ორგანიზაციები მთელი თავიანთი ძალღონით უნდა შეეცადონ, რომ ჩვენს წინაშე მდგარი ამოცანა პარტგანათლების დარგში შესრულებულ იქნას“.

საბჭოთა საქართველო

დეპეშები

სასოფლო-სამეურნეო სკოლა

ახალ-სენაკი, 4 ოქტომბერი. სოფ. ხორში გაიხსნა სასოფლო-სამეურნეო სკოლა.

გლეხურ ახალგაზრდობის სკოლა

ახალ-სენაკი, 4 ოქტომბერი. თამაკონში ასოფლო-სამეურნეო სკოლის მაგიერ გაიხსნა გლეხურ ახალგაზრდობის სკოლა.

გაწვეულები

ახალ-სენაკი, 4 ოქტომბერი. 1924 წელში დაბადებულთა გაწვევა წარმატებით მიმდინარეობს. დეზერტირობა და გამოუცხადებლობა ჯერ-ჯერობით შემჩნეული არ არის.

ნათესების მდგომარეობა

ზუგდიდი, 4 ოქტომბერი. ნათესების მდგომარეობა ზუგდიდის მაზრაში შემდეგი ნიშნებით გამოიხატება: სიმინდი—2,6, თამბაქო—2, ვენახი—3, ჩაის პლანტაციები—2.

ავანსი მეთამბაქოეებზე

ზუგდიდი, 4 ოქტომბერი. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი შეუდგა ავანსების გაცემას მეთამბაქოეებზე, დამზადებულ თამბაქოს ანგრიში. ახალი მოსავალის თუთუნის ხარისხი ჯერ-ჯერობით გამორკვეული არ არის.

ფასების აწევა

ზუგდიდი, 4 ოქტომბერი. ადგილობრივ ბაზარზე შემჩნეულია ფასების აწევა სიმინდზე, აგრეთვე—რძის პროდუქტებზეც.

აფხაზეთი

გერმანიის მუშა-ქალთა დელეგაციის დეკლარაცია

სოხუმი, 4 ოქტომბერი. გერმანიის მუშა-ქალთა პირველი დელეგაციის დეკლარაციაში აფხაზეთის მშრომელთა მიმართ ნათქვამია:

„გერმანიის მუშა-ქალთა პირველი დელეგაცია ესალმება გერმანიის პროლეტარიატის სახელით აფხაზეთის მუშებს და გლეხებს.

უკვე რამოდენიმე კვირაა, რაც ჩვენ საბჭოთა მიწა-წყალზე ვიმყოფებით და სულ უფრო და უფრო ვრწმუნდებით, რომ ვიმყოფებით ნამდვილად მუშურ სახელმწიფოში ყველგან, სადაც კი გავიარეთ ჩვენ დავინახეთ აღმშენებლობითი პროცესი. თვით მოსახლეობის სახეზე სჩანს, რომ აქ სცხოვრობს მართლაც თავისუფალი ხალხი. საბჭოთა კავშირის ყველა ნაციონალურ უმცირესობებს მიცემული აქვთ თვითგამორკვევის უფლება. მათ აქვთ უფლება ისწავლონ თავის სამშობლო ენაზე. მათ გზა აქვთ გახსნილი უნივერსიტეტებში და შეუძლიათ სრულიად თავისუფლად განვითარდენ. ძველ დროს ისინი მხოლოდ ჩაგვრისა და მონობის უღელს ეზიდებოდენ.

ჩვენ ჩვენს მოვალეობათ ვთვლით ხელი შევუწყოთ თქვენ მიერ დაწყებულ საქმეს საერთაშორისო პროლეტარიატის განთავისუფლების შესახებ. გაუმარჯოს საბჭოთა კავშირს! გაუმარჯოს საბჭოთა აფხაზეთს! გაუმარჯოს მსოფლიო რევოლიუციას.“

„ლუკა მოვიდა“

(ს. ხაშმი, გარე-კახეთი)

„ლუკა მოვიდა“ პირიდან მოუშორებელ სიტყვად გადაიქცა ამ ბოლო ხანს ხაშმში. დიდი და პატარა, როცა უნდათ ვისმე დასცინონ, ან ვინმე გაამასხარაონ, „მოვიდა ლუკას“ მიაძახებენ.

ლუკა ინაშვილი, რომელზედაც წარმოიშვა ეს დამამცირებელი გამოთქმა, არც ისე უცხო კაცია გარე-კახეთში. მას ბევრი იცნობს. მასთან ათიოდე ყარაჩოღელ ახალგაზრდას პური გაუტეხია და ყანწი დაუცლია.

22 სექტემბერს ლუკა ჩვეულებრივად ეწვია ხაშმს. ის მარტო არ იყო. ლუკას ამოლღალად ახლდა ყოფილი თავადი დადიანი. ძმა-ბიჭები გადაეყარნენ ერთ ახალგაზრდას, გ. მ-ძეს. ჩააცივდნენ: წამოდი, დრო გავატაროთ, მუცლის ქეი გავახაროთ, სხვა რა შეგრჩენია ამ ქვეყნათო.

ბევრი იუარა გ. მ—ძემ ძალათ მაცხონი ოაპატიეებაზე, მაგრამ თავად-აზნაურები არ ეშვებოდნენ. „კაცს შენს ზიდვაში მოეხმარებიან, შენ კი პურის ჭამაშიც არ გინდა ვიშველოთო“. როგორც იქნა, დაითანხმეს გულუბრყვილო ახალგაზრდა და ცოტა ხნის შემდეგ „სამნი ძმანი ხაშმელები“ სადღეგრძელოს-სადღეგრძელოზე გადადიოდენ.

როცა ქეიფს მორჩნენ, ლუკამ უთხრა გ. მ—ძეს: „მოდი, რაკი პატივი გვეცი, ბარემ მარილიც მოაყარე, გავაცილოთ თავადი სახლამდეო“. სამნი ძმანი მხარი-მხარს გადაკიდებული, სიმღერით და რამაინჭულით გაუდგნენ გზას იერისაკენ, სადაც ადამ..ანი სცხოვრობდა. მხიარული იყო მათი მოგზაურობა დადიანის სახლისაკენ, მაგრამ დოიცხვენილი და შეურაცყოფილი დაბრუნდა მეორე დღეს გ. მ—ძე სახლში.

დადიანი მართლაც მიაცილეს სახლამდე. ხაშმელმა ძმათ-ნაფიცებმა, უკან დაბრუნებისას, შუა გზას რომ მიუახლოვდნენ, ლუკა ალინთო არაჩვეულებრივი სიყვარულით თანამგზავრისადმი. ჰკოცნეს და პროშტეს ერთმანეთი თავდავიწყებით შეზარხოშებულმა ყმაწვილებმა. ლუკა იმდენად შევიდა აზარტში, რომ საყვარელ თანამგზავრს კოცნიდან კბენაც დაუწყო. შემდეგ ალეისი სქესობრივი ენით, მეგობარს ყელში ხელი წაავლო და შესძახა: „დამნებდი, შენისთანა არა ერთი დამიხრჩვიაო“...

მეორე დღეს გ. მ—ძე საშინელმა ტკივილებმა გამოაღვიძა. თვალები გააჭყიტა, მიიხედ-მოიხედა და ყელდა ეცა. შარვალ-ჩახილომა, ნაცემს და ნაწერტას, ტალახში ეძინა. მთელი სხეული დამტვრეული ჰქონდა. მართალია ღვინის ორთქლი ჯერ კიდევ არ გაქრობოდა თავიდან, მაგრამ იმდენი მაინც მოახერხა, რომ ზეზე წამოდგა და ფორთხვით მოვიდა სახლამდე.

შეურაცყოფილ გ. მ—ძემ საიდუმლოთ აცნობა საბჭოს თუ რა უბედურება შემთხვა. საბჭომ ზომები არ მიიღო, თუ ვერ მიიღო, არ ვიცით. ოღონდ ეს კია, რომ გ. მ-ძის ამბავი მთელ სოფელში მოეფინა და „ლუკა მოვიდა“ დღეს ყველას პირზე აკერია ხაშმში.

ასეთი ღმზგავსობა ჩაიდინა ინაშვილმა და მიიმალა. მაგრამ სანამდი უნდა დაიმალოს. ხელისუფლება მას სადაც იქნება ურმითაც დაიწევა და შესაფერის სასჯელს მიუზღავს.

შორეული.

წერილები

ქულურის წყარო

(წერილი ლეჩხუმიდან)

ქულურის მჟავე წყალზე წამსვლელმა წინდაწინ უნდა იცოდეს, რომ გზაზე მას ბევრი ვაი-გაგლახი გადასწყდება. ორბელამდი კარგად იმგზავრებ. ხოლო ორბელს იქით თავხედ გაწყვეტილებს მიკიბულ-მოკიბული გზები, რომლებიც ღელის პირს მიდის. მგზავრობა საშინელი წვიმის ქვეშ მოგვიხდა. უკან დაბრუნებაც შეუძლებელი შეიქნა, ვინაიდან კარგა მანძილი გვქონდა გავლილი. უცხენობის გამო ბარგი ერთ მარჯვე კაცს გავატანეთ. ჩვენ კი ფეხით წავედით. ახალ ჭალამდის ძალზე დავსველდით. იქ მისვლისას რამოდენიმეთ შევისვენეთ. ცოტა ხნის შემდეგ ისევ შეუდექით ჯოჯოხეთურ გზას. ბარგის წამღებმა გაიხადა თავისი დაბანდული ქალამნები და ფეხებ დაკაპიწებული გასწია წინ.

მდინარე ლაჯანურის მარცხენა მხარეს ვუდექით. ხან წყალში, ხან ხმელეთზე გვიხდებოდა სიარული. რამოდენიმე მანძილზე გზა გავრიანია, მაგრამ ზოგან გაბრაზებულ ლაჯანურის ტალღებს მისთვის გვერდები შეუმტვრევია და საცოდავათ გამოიყურება. იქვე წყალში გლეხები მუშაობდენ, შეშას ეზიდებოდენ წყლით. რამდენი წვალება სჭირია ორბელის თემის გლეხობას წყალ-და წყალ შეშის და სხვა ხე-ტყის გამოტანის დროს!

ჩვენ მივაღწიეთ სოფელ ტყიროს. არც ვიცოდით თუ იმ ადგილას კაცის ცხოვრება შეიძლებოდა. გამოირკვა, რომ გლეხები მიწის სივიწროვის გამო გადმოსახლებულან აქ. მოსავალი ტყიროსში კარგი იცის. თანაც მშვენიერი დობილოები*) აქვთ გამშენებული. სწავლა-განათლებით ტყიროელი გლეხის შვილები სარგებლობენ დაბა ლაილაშით. თუმცა დაღლილობა ძალიან გვაწუხებდა, მაგრამ მაინც განვაგრძეთ გზა და ჩავედით ქულურის ღელის პირად. ორჯერ—სამჯერ ფეხიც დაგვიცდა სპონტიოიან ქვაზე და ლაზათიანად ამოვიწუმპეთ წყალში. გზა და გზა ყურადღებას იპყრობს ასწლოვან წიფლის ხეები. ტყე ბევრგან გაჩეხილია და საცოდავ სურათს წარმოადგენს. ბევრს მოუჭრია უშველებელი ხე, უგზოობის გამო ვერ გამოუტანია და იქვე ლპება.

ქულურის ბინებთან, რომ მივედით, ხალხმა მოგვაძახა, „ხეირი-ხეირიო“. ეს სიტყვა იქ ჩვეულებრივია. ყველა ახალ მოსულთ ასე მიაძახებენ ხოლმე. ალბად იმიტომ, რომ ამ უდაბურ ტყეში რაიმე ხიფათს არ შეეყაროსო. დავბინავდით ერთ პატარა ოთახში (უფრო კი გომურს გავდა) რომლის კედლებში დათვი გძვრებოდა.

მოაგარაკეთათვის გლეხკომს მოუწყვია ბინები. დღე და ღამეში თითო სულს ქირად 5 შაურს ახდევინებს. გარდა ბინებისა შეიძლება იშოვო კაცმა ყველი მახლობელ მეჯოგეებიდან. აქ არ არის არც დუქანი და არც სხვა რაიმე სავაჭრო. უნდა წაიღო ოჯახიდან ფქვილი და აქეთო „ოკრიბულად“ ღომი. მოგეხსენებათ ღომით კვება მაინც და მაინც კარგი არ არის. ლეჩხუმელ ღომი არ უყვარს. ამიტომ იქ აქვთ თონე და აცხობენ პურს და მჭადს. ქულურის აგარაკზე, რომ ექიმი ან ფერშალი იყოს, ხომ კარგი იქნება. ვინ იცის იქნებ მჟავე წყალი ზოგიერთებს კიდევაც წყენს.

ბინებიდან დაშორებით, ხევში გამოდის ღელის პირად მჟავე წყალი. მისი აუზის ყურება კაცს არ მოსწყინდება. როდესაც წყალს მზე აჩერდება გეგონება მთლიანად დუღსო: დალევის დროს კარგი ბიჭობა გინდა რომ მოუსვენებლივ ერთი ჭიქა გამოსცალო. იმისთანა გაზი აქვს, რომ თავდაცულს ტეხავს. იქვე წყალთან მოწყობილია ქვის საჯდომები. მოაგარაკენი ჩამოსხდებოდენ იქ და დაიწყებდენ სმას. თამადა უწინ ადღეგრძელებდა მის აღმომჩენს, რომელიც მონადირე ყოფილა და დღესაც ცოცხალი უნდა იყოს.

ცოტა ზევით გამოდის რკინის წყალი, რომელიც ძალიან ცივია. მას ხმარობენ საბანაოდ. იქვე ვანებია. ვისაც სურს იბანავებს ცივშიაც და ბილშიაც.

ცივში მობანავენი ერთი-მეორეს ეჯიბრებიან თუ ვინ რამდენ ხანს გაძლებს. ქულურის მჟავე წყალი დიდათ მარგებელია, მაგრამ უგზოობით მისი მნიშვნელობა იკარგება. მომავლისათვის საჭიროა გზის გაყვანისათვის ვიზრუნოთ. თემის გლეხკომმა შემოსავლის უმთავრესი ნაწილი უნდა მოახმაროს გზის გაკეთებას. საჭიროა აგრეთვე დაიცვათ ახლო მდებარე ტყე.

ფრუიძე.

---

*) დობილო ხეზე შესული ვაზია.

ს. სიქთარვა (შორაპ. მაზრა)

რა გვაკლია. კოოპერატივი სოფელზე ძლიერ დაშორებულია. გლეხობა ამის გამო ხელში უვარდება კერძო ვაჭრებს. შენობა და ინვენტარი სიქთარვას მზათ აქვს, საჭიროა მხოლოდ საქონელი. ჩხარის ეპოს გამგეობამ უნდა მიაქციოს ამას ყურადღება და გახსნას სიქთარვაში განყოფილება, რომელიც ივაჭრებს არა ნაკლებ სხვა განყოფილებებისა.

მეორე საზრუნავი სოფლისა არის 4 წლედის შენობის გაფართოება. გლეხობა ძლიერ ეტანება სწავლას და ამის გამო 4 წლედის შენობები ვერ იტევს მოწაფეობას. მოითხოვეს სკოლის გაფართოება. გეგმა შედგენილია და განზრახულია აიგოს ახალი სკოლა.

სოფლის ახალგაზრდობა გლეხობას ანთავისუფლებს მუშაობისაგან და თვითონ ჰკრის აგურს, წევენ კირს და სხვა. აირჩიეს საამშენებლო და სარევიზიო კომისია, რომლებიც თავილის ამოჩრის შემდეგ (აგურისთვის) დაიწყებენ მუშაობას.

ვალ—ია.

სოც. დ[illegible] სიღნაღის მაზრაში

სოციალური დაზღვევის სამმართველოს მიერ მიღებულ ცნობებით, სიღნაღის დამზღვევმა სალარომ გასულ თვეში გასცა ერთდროული დახმარება შემდეგი სახით:

სიომის ინვალიდებს მიეცა 468 მანეთი, ქვრივ-ობლებს—498 მ., წელთა დამსახურებულ მუშა-მოსამსახურეებს—160 მ., რძის ფულად—1.183 მანეთი. მშობიარობის გამო—775 მ., სიკვდილიანობაზე—350 მანეთი, შრომის უნარის დროებით დაკარგვის გამო—876 მანეთი.

დამზღვევ სალაროში ირიცხება ამჟამად 83 პენსიონერები; მათ შორის 32 შრომის ინვალიდია, 40 ქვრივ-ობოლთა ოჯახი, 11 მასწავლებელი.

გ—ძე.

იღუპება ამდენი ნაოფლარი

(საჩინოს მხარე, ქუთ. მ.)

საჩინოს მხარეში. ამაღლების თემიდან, 1922 წელს დაიწყეს რიონიდან არხის გაყვანა, ამაღლება - ვანი - ტობანიერი - გომის მიმართულებით. მთავრობამ ამ საქმეზე თითქმის 50.000 მანეთამდე დახარჯა. ამ მხარის მცხოვრებლებმა უსასყიდლოთ იმუშავეს.

ბოლოს ეს ამოდენა შრომა მიტოვებული იქნა და ამოღებული თხრილები ისევ მიწით აივსო. წრეულს, აგვისტოში, ამ მხარეში მოვიდა ტეხნიკთა კომისია, რომელიც აწარმოებდა ახალ დაგეგმვას, გაყვანილ იქნა აღნიშნული ადგილიდან მთავარი მაგისტრალი, რომელსაც თითქმის ყოველ 50 საჟენში შტო გაუკეთეს რიონის მიმართულებით, სიგრძით 4—5—6 ვერსამდეც. მთელი ეს ადგილები დათესილია სიმინდით, რომელიც სიმწიფეშია.

ხაზების გაყვანის დროს სიმინდები უსაზღვროთ გაიჩეხა, ზოგიერთ ადგილზე ერთი ქცევა მიწაზე ორ ადგილას არის ხაზი გავლებული, რამაც გლეხობას დიდი ზარალი მიაყენა.

ეხლა წყალთა სამმართველოს 5 წლიან საგეგმო აღრიცხვაში ეს არხი არ აქვს შეტანილი, და თუ ამ დროულად მთავრობა ამის გაკეთებას არ ფიქრობდა რაღა საჭირო იყო ამდენი ხარჯების და ამდენი ნაოფლარის ვანადგურება? ეს ვეებერთელა მხარე საცდელ მინდორს ხომ არ წარმოადგენს.

ნოე სანიკიძე.

მუშათა ცხოვრება

შეგირდთა სამოსწავლო გუნდები და იარაღის საკითხი

(მთავარ სახელოსნოების ცხოვრებიდან)

რკ. გზის მთავარ სახელოსნოებში არსებული შეგირდთა სამოსწავლო გუნდები ერთ დიდ მნიშვნელოვან რაზმს წარმოადგენენ ჩვენი სახელმწიფოს წარმოების დარგში. თუ ჩვენ წარმოებაში ძველი ხელოსნები თხელდება სხვადასხვა მიზეზების გამო, სამაგიეროდ მათ მისდევს საუკეთესო ახალგაზრდა კადრი მომავალი ხელოსნებისა.

სახელოსნოებში თითქმის ყველა საამქროებში არსებობენ ასეთი სამოსწავლო გუნდები, რომელთაც მთლიანად ხელმძღვანელობს ძველი გამოცდილი ოსტატი და ამჟამად სახელოსნოების უფროსის თანაშემწე ამხ. დ. ვარლამოვი.

ყოველივე ცალკე გუნდს ხელმძღვანელობს გამოცდილი ოსტატი.

როგორია ეხლა ამ ხელმძღვანელთა მდგომარეობა? ჯერ ერთი, რომ სახელოსნოებში არ არის არავითარი ინსტრუქცია შეგირდთა გუნდების არსებობის შესახებ და თუ ასეთი არის, ის მხოლოდ მარტო ქაღალდზეა და არავინ არ იცის, თუ პირველად სახელოსნოებში, რომელ ხელობის შესასწავლად შემოსულმა შეგირდმა როგორი, რა და რამდენი იარაღი უნდა მიიღოს, რათა ასეთებით იხელმძღვანელონ ოსტატებმა.

ამას გარდა სრულ უწესრიგობას აქვს ადგილი შეგირდებში. ისინი არ ემორჩილებიან თავიანთ უფროსებს, და დროს უნაყოფოდ ატარებენ საიარაღოში რბენით ამა თუ იმ იარაღისათვის. ჯერ შეგირდს რომელიმე იარაღზე წარმოდგენაც არ აქვს და ის კი მის უფროსის ნებადაურთველად მიდის საიარაღოში და თხოულობს უკანასკნელს.

როგორც ვიცით, საიარაღო მარკებს წარმოებაში დიდი მნიშვნელობა აქვს. ისინი ხელოსნებისთვის მარგებელიც არის და მავნებელიც. ზოგი კარგი ხელოსანი კიდევაც გაურბის იარაღის მარკით წაღებას. შეგირდები კი, რომლებზეც ჯერ იარაღის მარკების მნიშვნელობა არც კი იციან, თავს აბეზრებენ მეიარაღეს; გინდა თუ არა, იარაღის მარკა მოგვეციო. ჩვენ ვიცით რომ იარაღის მარკა შეგირდს მხოლოდ 6 თვის შემდეგ ეკუთვნის და ისიც იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე მათგანი სწავლაში განსაკუთრებულ ნიჭს გამოიჩენს.

არის ასეთი შემთხვევა, რომ შეგირდი, რომელმაც ახლად გაათავა სწავლა და ანიჭებს ხელოსნის თანაშემწეობას, ის უშუალოდ გადაჰყავენ ხელოსანთა გუნდში ცალკე დაზგაზე. იგი არ იცნობს იმ დაზგას, რომელზედაც მან უნდა იმუშაოს და აუარებელ კარგ იარაღს ამტვრევს და აზარალებს წარმოებას.

სახარატო საამქროს შეგირდთა გუნდში, რომელსაც ხელმძღვანელობს ოსტატი ოდილავაძე, სრულ უმორჩილებას აქვს ალაგი. აქაური შეგირდები არავის ანგარიშს არ უწევენ და როგორც მათ მოეპრიანებათ, ისე იქცევიან. ისინი უფრო „თვითმწრთობ ფოლადზე“ ნადირობენ, რომელიც ძალზე ძვირი და ძნელი საშოვარია წარმოებისათვის.

კვალიფიციური ხელოსანი, რომელიც ნაყოფს ჰქმნის წარმოებაში, ძლიერ ფრთხილად ექცევა თვითმწრთობ ფოლადს და მინიმალურად ამუშავებს მას.

შეგირდებში საზოგადოთ არ არსებობს არავითარი წესმორჩილება მათი უფროსებისადმი, პირიქით, უზრდელობასაც ადგილი აქვს ქარხანაში.

საჭიროა სახელოსნოების ადმინისტრაცია დაინტერესდეს ამ საქმეზე და გამოასწოროს ეს დეფექტები.

მუშკორი **რიხტიგ.**

„არაზინდო“-ს სანატორიუმში

„არაზინდოში“ მესამე ჯგუფის ავადმყოფები უკვე ჩამოვიდენ. მათი საერთო რიცხვი 220-მდე აღწევს.

„არაზინდოს“ სანატორიუმი აშენებულია ტეხნიკის უკანასკნელ სიტყვის მიხედვით: ოთხსართულიანი სუფთა შენობა, ყოველი მხრიდან მზიანი, კარგა მოზრდილი ოთახები დერეფანითა და ვერანდებით გაკრიალებული კედლები და იატაკი; ირგვლივ ხშირი ნაძვნარ-ფიჭვნარი ტყე, სახლის გარშემო ბაღნარი ნაირ-ნაირ ყვავილებით და ბილიკებით. მისი გარეგნული სილამაზე და მორთულობა დიდ შთაბეჭდილებას ახდენს ახლად ჩასულ მგზავრ ავადმყოფებზე. სუფთა საწოლები, თავისუფალი მოსვენება. დილა ადრიან, შვიდ საათზე გაისმის ზარის ხმა. ავადმყოფები დგებიან.

9 ნახევარზე საერთო სასადილოში გროვდებიან ყველა ავადმყოფები და მადიანად შეექცევიან დილის საუზმეს (ორი კვერცხი, კარაქი, რძე და თაფლი); თორმეტ საათზე საუზმე, ორ საათზე სადილი სამი თავი ულუფით; 5 საათზე ჩაი ტკბილეულით, საღამოს კი ვახშამი. ასე რომ ავადმყოფები მთელი დღე ჭამა-სმაში არიან. საჭმელ-სასმელი ნოყიერი და სუფთაა. აქ უნდა აღინიშნოს მხოლოდ შაქრის სიმცირე. კარგი იქნებოდა, რომ შაქრის ულუფა გაუდიდდეს ავადმყოფებს, მით უმეტეს, რომ შაქარს დიდი საკვები მნიშვნელობა აქვს და ასეთი წვრილმანის დაზოგვა, იმ ვეებერთელა ხარჯებთან, რომელსაც თითეულ ავადმყოფზე სწევს საბჭოთა სახელმწიფო, არც კია საჭირო.

მოვლა-დარიგება და ავადმყოფების მიერ რეჟიმის დაცვა ნორმალურია და წარსულთან შედარებით სამაგალითოც. არ აქვს არავითარ გაუგებრობას ადგილი. მოპყრობა დამაკმაყოფილებელია.

სისტემატიურად იკითხება ლექციები ექიმ ლომაურის მიერ—ჭლექი და მისი წარმოშობა-გავრცელების შესახებ.

მუშა-მოსამსახურეთა რიცხვი სანატორიუმისა 123 კაცით განისაზღვრება; მათ შორის 33 სამედიცინო პერსონალია, დანარჩენი 82 შავი მუშები და მოსამსახურეები 9, წინა ორ ჯგუფში ყოფილა აგრეთვე დამკვრელთა გუნდი, რომელიც ამჟამად არ არის და ერთად ერთი გასართობი ავადმყოფებისა არის: ნარდი, ჭადრაკი და დომინო, რომელიც დიდ გასართობად ვერ ჩაითვლება სანატორიუმის სინამდვილეში. კარგი იქნებოდა, რომ მუსიკოსები არ მოეხსნათ.

საერთოდ სანატორიუმის მუშაობაში ყველაფერი ადგილობრივად ნორმალურ კალაპოტშია ჩაყენებული, და მიღებულია ზომები ყოველგვარ ნაკლის გამოსასწორებლად. მაგრამ დამზღვევ სალაროს მიმართ არ შეიძლება ერთი საყვედური არ გამოითქვას იმისათვის, რომ ავადმყოფები უნდა იგზავნებოდეს 15 რიცხვში და ხშირი შემთხვევებია, როდესაც ისინი იგზავნებიან 24 რიცხვში. აქ ზარალობს ავადმყოფი, რასაკვირველია.

საჭიროა ამ მდგომარეობის გამოსწორება. ამასთანავე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სანატორიუმში არიან I და II ჯგუფში ნამყოფი რამდენიმე ავადმყოფი. ასე რომ ერთი ავადმყოფი მთელ საზაფხულო სეზონს სანატორიუმში ატარებს და ზოგიერთი წარმოება-დაწესებულებების მუშა-მოსამსახურენი კი ერთხელაც ვერ იგზავნებიან კურორტზე. ესეც არანორმალურია და უნდა გამოსწორდეს.

აქ არის რენტგენის აპარატი და ვინაიდან ელექტრო-სადგურიც აქვეა მოწყობილი, ავადმყოფები ისინჯებიან აღნიშნულ აპარატით. ასე რომ საერთოდ 'არაზინდოს დიდი მიღწევები აქვს და უნდა ველოდეთ გაუმჯობესებასაც.

მუშკორი [illegible]იოკოლი.

მტკიცე ნაბიჯით წინ მივდივართ

ამას წინად მუშათა ახალ კლუბში შესდგა ქალაქის აღმასკომის ადმინისტრატიული განყოფილების, ცენტრალურ სამისამართო ბიუროს, „მმაჩის“ და სისხლის სამართლის მილიციის თანამშრომელთა, საუწყებო მილიციის და თბილისის მ/გ. მილიციის მილიციელთა საერთო კრება. დღის წესრიგში იდგა ადმინ. განყოფილების უფროსის ამხ. ხმალაძის მოხსენება თბილისის მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა საბჭოს ერთი წლის მუშაობა-მოღვაწეობის შესახებ.

მომხსენებელმა ციფრობრივი ანგარიში წარუდგინა კრებას, რომლიდან გამოირკვა საბჭოს მუშაობა-საქმიანობის ნაყოფიერი მიღწევები. მაგ. ქალაქში ძველი შენობების მაგიერ ახლების აშენება, ქუჩების გაფართოება-გალამაზება, ქვაფენილების დაგება, ტრამვაის მუშებისათვის უზარმაზარი საბინაო შენობის აშენების დაწყება, „ზაჰესის“ დამთავრება ამ მოკლე დროში, კლუბების მოწყობა, სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესება, აგრეთვე სოფლად ხიდებისა და გზების შეკეთება, საექიმო და საგრონომო პუნქტების მოწყობა, საცდელი მინდვრების მოწყობა და სხვა.

მომხსენებელი შეეხო აგრეთვე მილიციის მდგომარეობასაც და აღნიშნა, თუ როგორ უმჯობესდება წარსულ წლებთან შედარებით თანდათანობით მილიციელთა მდგომარეობა, როგორც მატერიალური მხრით, ისე ბინის მხრივადაც.

მოხსენება საინტერესო და შინაარსიანი იყო და ხალხიც დიდი ყურადღებით ისმენდა.

მოხსენების ირგვლივ გაიმართა კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს უმცროსმა მილიციონერებმა. მომხსენებელს მისცეს აუარებელი შეკითხვები წერილობითი და სიტყვიერი, რომელზედაც მომხსენებელმა გასცა ამომწურავი პასუხი.

შემდეგ საბჭოს მუშაობა-მოღვაწეობის შესახებ მიღებულ იქნა ერთხმად შემდეგი რეზოლიუცია: „მოისმინა რა მოხსენება ამხ. ხმალაძის თბილისის მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა საბჭოს მუშაობა - მოღვაწეობის შესახებ ,ქალაქის აღმასკომის ადმინისტრატიული განყოფილების, „მმაჩის“. ცენტრალურ სამისამართო ბიუროს და სისხლის სამართლის მილიციის თანამშრომელთა, საუწყებო და თბილისის მ/გ. მილიციის მილიციელთა საერთო კრება ერთხმად აღიარებს საბჭოს ნაყოფიერ მუშაობას და უსურვებს მომავალშიაც საბჭოს ისეთი ენერგიით და იმავე გზით აწარმოოს საქმე, როგორც უწარმოებია და აწარმოებს დღევანდლამდის.

გაუმარჯოს თბილისის მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა საბჭოს!“

მუშკორი **დ. გორდაძე.**

მთავარ სახელოსნოებში

რკინის გზის მთავარ სახელოსნოებში არსებობენ მრავალი კომისიები, როგორიც არის შრომის დაცვის, კულტ-კომისია, მომჭირნეობის და სხვა... მაგრამ აღნიშნულ კომისიებს შორის აღსანიშნავია საწარმოო კომისია. უკანასკნელი მიუდგომლად იცავს როგორც მუშათა, ისე წარმოების ინტერესებს.

საწარმოო კომისიის მუშაობა 6 თვის განმავლობაში გამოიხატება შემდეგში: კომისიას ჰქონდა 38 სხდომა. გადასინჯულია 14 ოქმი, გარჩეულია 41 საკითხი, აქედან 12 ორგანიზაციული, 1 რეორგანიზაციული, 19 მოწყობის, აგრეთვე გაირჩა 7 სხვადასხვა საკითხებიც.

დამუშავებულ საკითხებიდან ცხოვრებაში გატარებულია მხოლოდ 16 საკითხი, დანარჩენები კი მხოლოდ ქაღალდზე რჩება. აქედან ცხადია, რომ ნაკლები ყურადღება ექცევა კომისიის დადგენილებებს. ამიტომ კომისიამ უფრო მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს დადგენილ საკითხების ცხოვრებაში გატარებას.

უკანასკნელ ხანებში სახელოსნოებში შემჩნეულია უბედური შემთხვევები და ანტი-სანიტარული მდგომარეობაც, რაც მუშებში იწვევს უკმაყოფილებას. საჭიროა ყველა დეფექტებს მიაქციოს ყურადღება კომისიამ და მიიღოს ზომები მათ გამოსასწორებლად.

მუშკორი **რადიუმი.**

თბილისის საბჭოს პლენუმი

(ახალი საბინაო ტარიფის შესახებ)

გუშინ, საღამოს ექვს ნახევარ საათზე, წითელ თეატრში შესდგა თბილისის საბჭოს პლენუმის სხდომა.

უძრავ ქონებათა სამმართველოს უფროსმა—ამხ. **ბაბუნაიშვილმა** პლენუმს გააცნო ახალი საბინაო ტარიფი.

ტარიფის გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხ. მარიამ ორახელაშვილმა, ბაბოვმა, მალაშხიამ, ცერცვაძემ და სხვებმა.

მათ აღნიშნეს, რომ საბინაო ტარიფის გადიდება საერთოდ მიზანშეწონილია არსებული სახლების შეკეთების და ახალი აღმშენებლობის განვითარების მიზნით.

ამასთანავე მათ ხაზი გაუსვეს, რომ საბინაო ტარიფი ზოგიერთ კატეგორიის მუშა - მოსამსახურეთათვის ძალიან გადიდებულია.

ხანგრძლივი კამათის შემდეგ პლენუმმა მიიღო შემდეგი რეზოლიუცია:

„წარმოდგენილი ტარიფის ძირითადი პრინციპები მოწონებული იქნეს. ამასთანავე პლენუმი აღიარებს, რომ საბინაო ტარიფი ზოგიერთი კატეგორიის მუშა-მოსამსახურეთათვის ძალიან გადიდებულია. ამიტომ დაევალოს პრეზიდიუმს გადასინჯოს საბინაო ქირის დებულების მეოთხე მუხლი ამ კატეგორიების მუშა-მოსამსახურეთათვის საბინაო ტარიფის შემცირების მიზნით; მომქმედი ტარიფი გადიდებული იქნეს არა უმეტეს 100 პროცენტისა და ის ძალაში შევიდეს მიმდინარე წლის 1 ნოემბრიდან, რაზედაც აღძრული იქნეს სათანადო შუამდგომლობა საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს წინაშე.“

პროფსაბჭოს მესამე პლენუმი

ინჟ. ბ. ჭიჭინაძის მოხსენება

3 ოქტომბრის სხდომაზე მოსმენილი იქნა საქართველოს ს. მ. უ. ს. თავმჯდომარის ინჟ. **ბ. ჭიჭინაძის** მოხსენება საქართველოს მრეწველობის ეხლანდელი მდგომარეობისა და მისი განვითარების პერსპექტივების შესახებ.

მომხსენებელი ახასიათებს ჩვენი მრეწველობის სწრაფ განვითარებას სოფლის გლეხობასთან შედარებით და აღნიშნავს, რომ შარშან მრეწველობაში ჩაბმული იყო 16.645 მუშა, წელს კი ჩაბმულია 34.000-დე მუშა.

მთელი სახელმწიფო მრეწველობის საერთო პროდუქცია უდრის 28.000.000 მანეთს, აქედან მარტო ს. მ. უ. ს. წარმოებებზე მოდის 14.300.000 მანეთი. კერძო მრეწველობაზე —1.500.000 მანეთი.

ს. მ. უ. ს. ტრესტებიდან მტკიცე ფინანსიური ნიადაგი აქვთ ტყავის ტრესტს, თამბაქოს ტრესტს, სამთო-ქიმიურ კომბინატს, სახელმწიფო სათბობ მასალის სამმართველოს და აბრეშუმის ტრესტს.

ფინანსიურის მხრივ სუსტ ნიადაგზე სდგანან სატყეო მრეწველობის ტრესტი, ლითონის ტრესტი და პოლიგრაფიული ტრესტი.

ყველა ჩვენი წარმოებების ნაკლია მანქანების გაცვეთა და დაძველება; ზოგიერთ წარმოებებში გაცვეთილია მანქანების 60 პროც. შემდეგ, ჩვენი წარმოებების ნაკლათ უნდა ჩაითვალოს საბრუნავი თანხების ნაკლებობა, რომელიც განსაკუთრებით საგრძნობია ლითონის და სატყეო მრეწველობის ტრესტებში, და ის, რომ ზოგიერთ წარმოებებს არ აქვთ რეალური ბაზა.

1926—27 წლის სამრეწველო გეგმის მიხედვით განზრახულია რამოდენიმე ახალი ფაბრიკა-ქარხნის მოწყობა საქართველოში. აგებული იქნება ქაღალდის ფაბრიკა, ბარიტის ქარხანა, აბრეშუმის სახვევი ქარხანა, ხე-ტყის სახერხი ქარხანა მდ. ბზიბზე, მაუდის ფაბრიკა თბილისში და ცემენტის ქარხანა კავთისხევში.

ქაღალდის ფაბრიკა განზრახულია აგებული იქნეს ინგურის რაიონში; იქვე მოწყობილი იქნება ხე-ტყის სახერხი ქარხანა; ბარიტის ქარხანა ეწყობა ქუთაისში. ეს ქარხანა გადაამუშავებს ლეჩხუმის, ქუთაისის და რაჭის მაზრების ბარიტს.

აბრეშუმის სახვევი ქარხანა ეწყობა დასავლეთ საქართველოში.

გარდა აღნიშნული ქარხნებისა, უკვე შენდება და ახლო ხანში მუშაობას დაიწყებს ტყავის ქარხანა ბორჯომში, გრეხილ-ავეჯის ქარხანა მარელისში და ორი ხე-ტყის სახერხი ქარხანა.

ახალი წარმოებების მოწყობასთან ერთად გეგმაში დიდი ყურადღება აქვს მიქცეული ელექტროფიკაციის საკითხს.

უახლოეს ხანში, არა უგვიანეს მიმდინარე წლის ზამთარისა, დაიწყება მუშაობა ქუთაისის ჰიდროელექტრო სადგურის ასაგებად მდ. რიონზე, რომელიც ენერგიას მიაწოდებს ჭიათურის შავი-ქვის მრეწველობას, ქაღალდის ქარხანას, რკინის გზის და სხვა წარმოებებს.

ამას გარდა აგებული იქნება ახალი სადგურები ალაზნის არხზე და სოხუმში. ყველა ეს სამუშაოები დაიწყება 1926—27 წელში.

დიდი ყურადღება აქვს აგრეთვე მიქცეული მუშათა სახლების აღმშენებლობას და კვალიფიციური მუშათა კადრის მომზადებას.

ინჟ. ჭიჭინაძის მოხსენებამ დიდი ინტერესი გამოიწვია პლენუმის წევრებს შორის. მოხსენების გარშემო გაიმართა კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს ამხ. მახაიძემ, ავეტისოვმა, აივაზოვმა და მეშველიანმა.

სატარიფო თათბირი

სატარიფო თათბირის უკანასკნელ სხდომაზე მოსმენილი იქნა აჭარისტანის პროფსაბჭოს და ქიათურის სამთო პროფკავშირის მოხსენება სატარიფო-ეკონომიური მუშაობის შესახებ.

ამხ. **აბრამოვმა** აღნიშნა, რომ აჭარისტანში პროფკავშირებს 10.200 წევრიდან კოლექტიური ხელშეკრულება ეხება 7.200 კაცს და შრომის ხელშეკრულებები—541.

კოლექტიური ხელშეკრულებების დადება ხდება იმის შემდეგ, როდესაც ამ ხელშეკრულებების პროექტები განხილული იქნება მუშათა საერთო კრებებზე. 1925—26 წელში სახელფასო მინიმუმი გატარებული იქნა ყველა დაწესებულებებში. რამოდენიმეთ ჩამორჩენილი არიან ამ მხრივ მასწავლებლები, რომელთა პირველი განაკვეთის ხელფასი უდრიდა 8 მან. 40 კაპ.

პროფკავშირები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდენ ხელფასის ფონდებს და იღებდენ ზომებს, რომ ისინი არ დახარჯულიყო არა დანიშნულებისამებრ. ხელფასის ფონდის არადანიშნულებისამებრ ხარჯვას ჰქონდა ადგილი; იყო აგრეთვე შემთხვევები, როდესაც შტატის გარეშე იწვევდენ მუშაკებს. ამ მოვლენის წინააღმდეგ პროფკავშირები იღებდენ სათანადო ზომებს.

მოწესრიგებულია მტვირთავთა ხელფასის საკითხი. წინათ მტვირთავები კოლექტიურად მუშაობდენ, ე. ი. თვითეული მათგანის მუშაობა არ იყო ცალკე აღრიცხული, საერთო ხელფასი კი იყოფოდა თანასწორად. ასეთმა სისტემამ არ გაამართლა თავისი თავი, რადგან თანასწორი ხელფასის პირობებში ზოგს მეტი მუშაობის წარმოება უხდებოდა. ეხლა ეს საკითხი სავსებით მოწესრიგებულია და თვითეული მტვირთავი იღებს იმდენს, რამდენსაც გამოიმუშავებს.

ქიათურაში, ამხ. **ხვედელიძის** ცნობით, ცუდათ არის დაყენებული შრომის დაცვის საქმე. არის მხოლოდ ერთი უფროსი ინსპექტორი. დადგენილება მეორე ინსპექტორის მოწვევის შესახებ ამჟამად არ არის გატარებული ცხოვრებაში.

მწვავედ სდგას საბინაო საკითხი. მუშებს უხდებათ სამუშაოზე სიარული რამოდენიმე ვერსის მანძილზე.

საშუალო ხელფასი ყველა დარგებში უდრის 45 მანეთს. სამთამადნო წარმოებაში კი—65 მანეთს. უმუშევართა რიცხვი დიდია—3633 კაცი.

უმუშევართათვის დახმარების აღმოჩენის მიზნით ყოველთვიურად ირიცხება 1 პროცენტი (წინეთ იყო ნახევარი პროცენტი).

დასასრულ მომხსენებელი აღნიშნავს, რომ ქიათურის დამზღვევი სალარო დეფიციტიანია, რის გამო სოციალური დაზღვევის საქმე ძალიან მიიკოჭლებს.

სასოფლო-სამეურნეო გადასახადი 1926—27 წ.

კამპანია ერთიანი სასოფლო - სამეურნეო გადასახადის გასატარებლად წარმატებით მიმდინარეობს. თავდება გადასახადის გაწერა და გადამხდელთათვის საგადასახადო ფურცლების დარიგება. საქართველოს ფინსახკომმა ადგილებიდან მიიღო ცნობა, რომ ზოგიერთ რაიონებში უკვე დაიწყო გადასახადის აკრეფა.

წინასწარი ანგარიშით 1926-27 წელში ერთიანი სასოფლო - სამეურნეო გადასახადი უნდა შეადგენდეს 1.926.269 მანეთის რაოდენობით. აქედან აფხაზეთზე მოდის 193.144 მანეთი, აჭარისტანზე — 20.764 მანეთი და სამხრეთ-ოსეთზე — 15.005 მან. საქართველოს ყველა მაზრებში შეკრებილ უნდა იქნეს 1.697.366 მანეთი.

ცალკე მაზრებს შორის ეს თანხა განაწილებულია შემდეგნაირად: ახალქალაქი—130.971 მანეთი, ახალციხე — 59.321, ბორჩალოს —256.655, გორი — 158.826, დუშეთი — 50.664, სიღნაღი — 347.307, თელავი — 180.753, თბილისი — 289.856, ზუგდიდი — 45.447, ქუთაისი —62.752, ლეჩხუმი — 3.924, ოზურგეთი— 36.640, რაჭა — 19.423, სენაკი — 28.813 და შორაპანი — 26.000.

გასული საბიუჯეტო წლის გადასახადთან შედარებით, წელს სასოფლო - სამეურნეო გადასახადი გადიდებულია დაახლოებით 20 პროც. ეს აიხსნება ორი მიზეზით. პირველი—გლეხთა მეურნეობის განმტკიცება და აქედან მისი შემოსავლიანობის გადიდება. მეორე მიზეზია ჩვენი მეურნეობის მოცულობის სისწორით გამორკვევა.

ასე, მაგალითად, თუ შარშან საქართველოში აღრიცხული იქნა 903.466 დესეტინა სახნავი მიწა, წელს უკვე აღრიცხულია 963.526 დესეტინა, ე. ი. 60.060 დესეტინით მეტი. ასევე გადიდებულია მსხვილფეხა საქონლის რაოდენობა 134.690 სულით; წვრილფეხა საქონლის რიცხვი გადიდებულია 218.980 სულით. გადიდებულია აგრეთვე ბამბის ნათესების, ვენახების და ბაღების სივრცე.

საერთოდ სოფლის მეურნეობის ყველა დარგები შარშანდელთან შედარებით გაუმჯობესდა. და ამას, რასაკვირველია, არ შეეძლო გავლენა არ მოეხდინა სასოფლო-სამეურნეო გადასახადის საერთო თანხაზე.

ჩაი

ჩაის კულტურამ ჩვენში განვითარების უმაღლეს წერტილს მიაღწია ომის წინა ხანებში, მაგრამ საერთო ეკონომიური ნგრევის პროცესში ჩაის წარმოება შემცირდა; მისი აღდგენა-განვითარება დაიწყო 1922 წლიდან. ჩაის მეურნეობის აღდგენა ისე სწრაფი ტემპით მიმდინარეობდა, რომ 1924 წელში მისი პროდუქცია უკვე აღემატებოდა ომის წინა ხანების ნორმას.

ჩაის კულტურის კიდევ უფრო განვითარების მიზნით. გათვალისწინებულია არა მარტო ჩაის პლანტაციების გაფართოება, არამედ ჩაის ფაბრიკების ქსელის გაფართოება და არსებული ქარხნების მოწყობილობის გაუმჯობესება.

ამასთანავე, სააქციო საზ-ბა „საქართველოს ჩაი“ მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს ჩაის კულტურის განვითარებას გლეხთა მეურნეობაში, რისთვისაც იგი იძენს გლეხთა მეურნეობის პროდუქციას და ამუშავებს მას თავის ფაბრიკებში.

ამჟამად არსებული ჩაქვის და სალიბაურის ჩაის ფაბრიკები საკმარისი არ არის მახლობელი რაიონების ჩაის გადასამუშავებლად და ჩაის დიდი რაოდენობა მუშავდება კუსტარული წესით, რაც დაბალ ღირსების პროდუქტს იძლევა.

ეს ფაბრიკები მუშაობენ ომის დაწყების დროიდან და მათ საფუძვლიანი რემონტი ესაჭიროებათ.

ნორმალური მუშაობის დროს ორივე ფაბრიკა ამზადებს 300.000 გირ. ხმელ ჩაის, გაძლიერებული დატვირთვის დროს კი—631.000 გირ.; ამიტომ ჩაქვის ფაბრიკის მოწყობილობის გაუმჯობესება (188.650 მანეთი), ახალი ქარხნის მოწყობა სალიბაურში (146.305 მ.) და ოზურგეთის ქარხნის გაფართოება (6.000 მან.), როგორც ეს გათვალისწინებულია სააქციო საზ.-ბა „საქართველოს ჩაის 1926—27 წლის პერსპექტიულ გეგმაში, აუცილებელ საჭიროებას შეადგენს.

1926—27 წელში განზრახულია ჩაქვის და ოზურგეთის ქარხნების მოწყობილობის გაუმჯობესება და ჩაის პლანტაციების გაფართოება. სულ ამ საქმისათვის საჭირო იქნება 374.500 მანეთი.

დაწესებულებათა ხარჯები

ამ.-კავკ. სახ. საგეგმო კომისიამ თხოვნით მიმართა ამ.-კავკასიის სახ. კომ. საბჭოს და ამ.-კავკასიის ცაკს, რათა გამოსცეს დეკრეტი, რომლის ძალით სახელმწიფო, სამრეწველო, სავაჭრო და კოოპერატიულ ორგანიზაციებს აეკრძალება ისეთი ხარჯების გაწევა, რომლებსაც პირდაპირი დამოკიდებულება არ აქვთ მათ მოქმედებასთან.

ეს გამოწვეულია იმით, რომ შემჩნეულია მრავალი შემთხვევები სხვადასხვა გვარი ანარიცხებისა და შემოწირულებისა, რაიც ამძიმებს წარმოებების ბიუჯეტის გასავლის ნაწილს და ამით გავლენას ახდენს საქონლის ფასების გადიდებაზე, განსაკუთრებით კოოპერატივებში. ასეთი ანარიცხების პრაქტიკა ეწინააღმდეგება მომჭირნეობის რეჟიმის პრინციპებს და ხელს უშლის ფასების დაკლების პოლიტიკის გატარებას.

მეთამბაქოება

მიმდინარე საბიუჯეტო წელში ძვირფასი კულტურებისათვის კრედიტების მიწოდების მიზნით, განზრახულია საქართველოს მეთამბაქოებს მიეცეს გრძელვადიანი კრედიტის სახით 718.200 მანეთი.

ეს კრედიტი მოხმარდება თამბაქოს სახმობი ფარდულების და საწყობების მოწყობას, რადგან მათი ნაკლებობა აფხაზეთში და აღმოსავლეთ-საქართველოში უდრის 50 პროც., დასავლეთ საქართველოში კი ისინი სულ არ არის.

ფარდულები კი აუცილებელია იმისათვის, რომ მიღებული იქნეს კარგი ღირსების თამბაქო. 1927 წლის განმავლობაში თამბაქოს პლანტაციების სივრცე აფხაზეთში იქნება 7.000 დესიატინა, აღმოსავლეთ საქართველოში—1.200 დეს. და დასავლეთ საქართველოში—900 დეს.

თამბაქოს სახმობი ფარდულები მოწყობილი იქნება თამბაქოს პლანტაციების აღნიშნულ სივრცესთან შეფარდებით; ამას გარდა გაუმჯობესებული იქნება არსებული ფარდულები და საწყობები.

განზრახულია აფხაზეთში მოწყობილი იქნეს 550 ახალი ფარდული, აღმოსავლეთ საქართველოში—120 და დასავლეთ საქართველოში—128, სულ 798 ფარდული. თვითეული ფარდულის მოწყობა დაჯდება 900 მანეთი, ყველა ფარდულების მოწყობა კი—718.200 მანეთი.

ბეწვეულობა

ბეწვეულობის დამზადების შესახებ მომავალ წლისათვის ამას წინეთ მოწვეული იყო თათბირი ა.-კ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატში. თათბირმა აღნიშნა, რომ ბეწვეულების დასამზადებლად ბაზარზე საჭიროა დამმზადებლების შეთანხმებული გამოსვლა.

თათბირმა დაადგინა მოიწვიოს სპეციალური საკონვენციო ბიურო, რომელსაც დაევალება, როგორც დასამზადებელ რაიონების განსაზღვრა, ისე დამზადების წესების გამომუშავება. საზღვრითი ფასების დაწესება და საკომისიო პროცენტების სიდიდის განსაზღვრა. საკონვენციო ბიუროს სხდომა შესდგება 8 ოქტომბერს.

რკინისგზელთა კონფერენცია

რკინისგზელთა პროფკავშირის პრეზიდიუმის დადგენილებით ამ.-კავკ. რკინისგზელთა კონფერენცია, რომელიც დანიშნული იყო 6 ოქტომბრისათვის, გადაიდო 10 ოქტომბრისათვის.

რკინისგზელთა კონფერენციის პროგრამა შემდეგია: ამიერ-კავკ. რკინისგზების გამგეობის მოხსენება მომჭირნეობის რეჟიმის შესახებ, ინგლისელ მემაღაროეთათვის დახმარების აღმოჩენის საკითხი და დელეგატების არჩევა საბჭოთა კავშირის პროფკავშირთა ყრილობისათვის.

მოტო-გადარბენა

(საკუთარი კორესპონდენტისაგან)

გროზნო, 2 ოქტომბერი. კავკავიდან მანქანები გავიდენ შაბათს, დილის 10 საათზე. გროზნოში პირველი მოტოციკლი შევიდა 2 საათზე, უკანასკნელი—სამ ნახევარ საათზე.

გზაზე ერთი მოტოციკლი—„ხარლეი“ გადაბრუნდა. მანქანის მმართველი და მგზავრი არ დაშავებულან. გზაში რამოდენიმე მანქანა გაჩერდა, მიუხედავად ამისა საღამოსთვის ყველა მანქანები გროზნოში იყვენ.

მონაწილენი ყველანი კარგად არიან. ქალაქის შესავალში აღმართულია არკა. გადარბენის მონაწილეთ აუარებელი ხალხი შეეგება ორკესტრით.

კვირას ადგილობრივ ჯგუფთან იმართება შეჯიბრი. უკან დაბრუნდებიან ორშაბათს.

სურამ-ძირულის გზატკეცილი

სურამ-ძირულის გზატკეცილზე გასულ 1925—26 საოპერაციო წლის განმავლობაში შესრულდა 14.000 კუბ. საჟ. მიწის და კლდის სამუშაოები.

სამუშაოები ნაწილობრივ შესრულდა მოსახლეობის დაბეგვრით. გზატკეცილის გაკეთება განზრახულია დასრულდეს მიმდინარე წელში.

ამჟამად საბოლოოდ დასრულდა ძირულა-ამაშუკეთის გზატკეცილის მუშაობა. აღნიშნული გზატკეცილი 17 ვერსის სიგრძისაა და ზედ მოძრაობა სავსებით აღდგენილია.

ახალი ხიდები

საქართველოს გზა-ტკეცილების სამმართველომ დაამტკიცა ახალი ხიდების პროექტი, შედგენილი ინ. **ნ. გვარამაძის** მიერ. ახალი პროექტით გადაწყვეტილია ორი დიდი რკინის ხიდის აგება მდ. **გუბის წყალსა და საჯაურზე.** ხიდის ფერმები უკვე შეძენილია. გუბისწყლის ხიდის ფერმა 63 მეტრია, ხოლო საჯაურას ხიდის კი 45 მეტრი.

ხიდების აგება იწარმოებს თანამედროვე ტეხნიკის უახლოესი მიღწევების დაცვით. ხიდების აგება დაიწყება მიმდინარე საოპერაციო წელში.

აქციზი ნავთზე

ამ.-კავკ. სახ. საგეგმო კომისიამ გამოსთქვა აზრი ნავთზე აქციზის 60 კაპ.-დან 40 კაპ-მდე შემცირების შესახებ. ეს შემცირება უნდა მოხდეს ისე, რომ შეფარდება 3:2 საბჭოთა კავშირისა და ამ.-კავკ. სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის განაკვეთებს შორის დაცული იყოს.

გზების შეკეთება

ამჟამად დიდის წარმატებით სწარმოებს მუშაობა საქართველოს სამხედრო გზა-ტკეცილის შესაკეთებლად. კაპიტალური შეკეთება გზისა ახლო ხანში დასრულდება. ეხლა ხან სწარმოებს ნახევარ გვირაბების აღდგენა კობა - გუდაურს შორის.

გოგირდის სიმჟავე

ა.-კ. საგეგმო კომისიამ აუცილებლად სცნო გამოყოფილი იქნეს სპეციალური კომისია ამიერ-კავკასიაში გოგირდის სიმჟავის წარმოების საკითხის შესასწავლად; ამასთანავე კომისიამ უნდა შეადგინოს წინასწარი პროექტი იმ მოწყობილობისა, რომელიც საჭირო იქნება ამ წარმოების განსავითარებლად.

კომისიაში შევლენ აზერბეიჯანის ნავთის სამმართველოს, ავიაქიმის და აზერბეიჯანის ს. მ. უ. ს. და სომხეთის ს. მ. უ. ს. წარმომადგენლები.

ომამდე ამიერ-კავკასიაში მუშაობდა გოგირდის სიმჟავის რამოდენიმე ქარხანა. ამჟამად მუშაობს მხოლოდ ერთი ქარხანა, რომლის პროდუქცია ვერ აკმაყოფილებს მარტო ნავთის მრეწველობის საჭიროებას.

ამიერ-კავკასიაში კი არის ყველა პირობები გოგირდის სიმჟავის წარმოების განსავითარებლად. საბჭოთა კავშირის ბაზრებზე ერთი ფუთი გოგირდის სიმჟავე ღირს 1 მან. 50 კაპ., ადგილობრივ დამზადებული სიმჟავე კი დაჯდება 30 კაპ., ე. ი. ხუთჯერ უფრო იაფი.

ექიმბაშის აფთიაქი

სოციალური ჰიგიენის მუზეუმმა შეიძინა და მუზეუმში გამოფინა „სოფლის მკურნალის—ექიმბაშის აფთიაქი“.

გამოფენაზე ჩამოტანილია მრავალი საყურადღებო ექსპონატები, იმის დასახასიათებლად, თუ რა საშუალებებით და „წამლებით“ ექიმობენ ექიმბაშები ავადმყოფებს.

ექსპონატებს შორის არის ცხოველების გამხმარი და დავუშნილი ნაწლავები, სხვადასხვა კენჭები, გამხმარი ბალახების ფესვები და სხ.

გამოფენები ქუჩებში

ჯანმრთელობის კომისარიატის დადგენილებით სანიტარულ-ეპიდემიური განყოფილება ახლო ხანში მოაწყობს თბილისის მთავარ ქუჩებზე სოციალური ჰიგიენის გამოფენებს.

გამოფენები მოთავსდება შუშის ჩარჩოებში და ნაჩვენები იქნება ექსპონატები სოციალური სენების შესახებ, როგორც მაგალითად, ჭლექზე, ვენერიულ ავადმყოფებზე, მალარიაზე, სიდამბლეზე და სხ.

გამოფენის მოწყობას შეუდგებიან ამ დღეებში.

სამალარიო ყრილობა

15 ნოემბრისათვის თბილისში მოწვეულია ამიერ-კავკასიის სამალარიო ყრილობა.

ყრილობაზე გამოიმუშავებენ მალარიასთან ბრძოლის გეგმებს სხვადასხვა კუთხეების თავისებურობების კვალობაზე.

ყრილობაზე გაკეთებულ იქნება აგრეთვე სამეცნიერო ხასიათის მოხსენებები. ამის შესახებ მსურველებმა უნდა განაცხადონ საქართ. ჯანსაღკომის სანიტარულ-ეპიდემიურ განყოფილებაში არა უგვიანეს 20 ოქტომბრისა.

ყრილობის წინა დღეს, 14 ნოემბერს გაიხსნება ა.-კ. ჯანსაღკომთან არსებულ სანიტარულ-ეპიდემიური განყოფილებების უფროსების თათბირი.

უცხოელების აღრიცხვა

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებული უცხოელთა განყოფილება აწარმოებს საქართველოში მყოფ უცხოელ სახელმწიფოების ქვეშევრდომთა აღრიცხვას.

აღრიცხვის დამთავრება განზრახულია 10 ოქტომბრისათვის და ის უცხო სახელმწიფოთა მოქალაქენი, რომელნიც არ გამოცხადდებიან ამ დროისთვის აღრიცხვაზე იქნებიან დაჯარიმებულნი, თანახმად ა.-კ. ცაკის 12 აპრილის თარიღით გამოცემული დადგენილებისა.

პროვინციებში მყოფი უცხოელები უნდა გამოცხადდენ სამაზრო აღმასკომებთან არსებულ საადმინისტრაციო განყოფილებებში.

ბაგა

ფოსტა-ტელეგ. მუშაკ-ქალთა ბავშვებისათვის ბაგათა მოსაწყობად ამ.-კავკ. ფოსტა-ტელეგრაფის მუშაკთა კავშირის გამგეობამ გადასდო: საქართველოს ფოსტა-ტელეგრაფისათვის—3.200 მან., აზერბეიჯანის—1.900 მან., სომხეთისათვის—900 მან.

თბილისში ბაგები მოეწყობა ტელეგრაფის მთავარ სადგურთან და კანტორასთან, სადაც ბევრი ქალები მუშაობენ.

შეღავათები

გადასახადების აკრეფის დროს

ამიერ-კავკასიის სასოფლო-სამეურნეო ბანკმა ამიერ-კავკასიის ყველა რესპუბლიკების სასოფლო-სამეურნეო ბანკებს, მათ განყოფილებებს და სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობებს დაუგზავნა ცირკულიარი, რომელშიაც განმარტებულია, თუ როგორ უნდა იქნეს გამოყენებული ადგილებზე შეღავათები გადასახადების აკრეფის დროს.

გაზ. „ახალი სოფელი“-ს გლეხკორთა ყრილობა

პირველი სხდომა

კვირას გლეხთა სასახლეში გაიხსნა გაზ. „ახალი სოფელი“-ს გლეხკორთა მეორე ყრილობა.

ამხ. შალვა ელიავას მოხსენება

ყრილობამ პირველად მოისმინა საქართველოს მთავრობის თავმჯდომარის— ამხ. შალვა ელიავას მოხსენება საბჭოთა კავშირის საერთაშორისო და შინაურ მდგომარეობის შესახებ.

მომხსენებელმა დაახასიათა კაპიტალისტურ ქვეყნებში და ახალშენებში შექმნილი მდგომარეობა და აღნიშნა, რომ ამ ბოლო ხანებში კიდევ უფრო მწვავდება დამოკიდებულება კაპიტალისტურ სახელმწიფოებს შორის: საფრანგეთი და გერმანია უკავშირდებიან ერთმანეთს, რაც საფრთხეს უმზადებს ინგლისის ინტერესებს.

თავის მხრივ ინგლისი უახლოვდება იტალიას საფრანგეთის წინააღმდეგ. ამერიკა ფულს აძლევს საფრანგეთს და გერმანიას. ამ ნიადაგზე მოსალოდნელია ურთიერთობის გამწვავება ინგლისსა და ამერიკას შორის. იაპონიასა და ინგლისს შორისაც უთანხმოებას აქვს ადგილი, რაც გამოწვეულია ჩინეთში მომხდარ ამბებით. ერთი სიტყვით, მსოფლიოში ბატონობს ინტრიგა. ჩვენ უახლოვდებით ისეთ ხანას, როდესაც, როგორც იტყვიან „თოფი თავისით გავარდება“.

კაპიტალისტური სახელმწიფოების კინკლაობა საბჭოთა კავშირის მშრომელ ხალხს უკარნახებს ფრთხილად იყოს; ამავე დროს ჩვენ არ უნდა შევასუსტოთ აღმშენებლობითი მუშაობა.

შემდეგ მომხსენებელი გადადის ჩვენს შინაურ მდგომარეობაზე.

— ჩვენ შევქმენით მუშურ - გლეხური სახელმწიფო, — ამბობს მომხსენებელი, — რომელმაც ხელში ჩაიგდო ქვეყნის საწარმოო ძალები. ჩვენ დიდი ნაბიჯებით მივდივართ წინ; ჩვენი მრეწველობა და სოფლის მეურნეობა გაუსწორდა ომის წინა ხანების დონეს, მაგრამ ეს არ არის საკმარისი. ჩვენ უნდა განვავითაროთ სახალხო მეურნეობა იმდენად, რომ მეტოქეობა გაუწიოთ ევროპის სახელმწიფოების წარმოებას.

ჩვენი სახალხო მეურნეობა წინ მიდის, ეხლა გადაუდებელი ამოცანაა ნორმალური გაცვლა - გამოცვლის დამყარება ქალაქის და სოფლის ნაწარმოებს შორის. მხოლოდ ამ გზით შეიძლება ქალაქის და სოფლის მუშის შორის მტკიცე კავშირის დამყარება.

ჩვენი სოფლის მეურნეობა 97 პროცით დაუახლოვდა ომის წინა დროის დონეს, მრეწველობა კი—95 პროც-ით. ეს იმას ნიშნავს, რომ განადგურებულ საწარმოო ძალების აღდგენის ხანა უკვე დამთავრდა. მომავალშიაც, რასაკვირველია, სახალხო მეურნეობა წავა განვითარების გზით, მაგრამ ეხლა საჭიროა მეტი მოფიქრება, მეტი გეგმაშეწონილი მუშაობა. ჩვენ საშუალება გვაქვს შევახელოთ ნაბიჯი, მაგრამ მეტი სიმტკიცით წავიდეთ წინ.

შარშან საბჭოთა კავშირის ბიუჯეტი შედგენილი იყო 4 მილიარდი მანეთის რაოდენობით, მიმდინარე წელში კი არის 4.700.000.000 მანეთის ფარგლებში. ესე იგი ბიუჯეტი გაიზარდა 20 პროც-ით.

მრეწველობის განვითარებასთან მტკიცეთ არის დაკავშირებული მომჭირნეობის რეჟიმი: საჭიროა გეგმიანი მუშაობა; არც ერთი კაპეიკი არ უნდა დაიხარჯოს ტყუილ - უბრალოთ; უნდა გავაკეთოთ მხოლოთ ისეთი რამ, რის გაკეთებაც ამჟამად აუცილებელია. ეს არის ჩვენი ამოცანა სოფლად და ქალაქად.

ჩვენ უნდა ავაყვავოთ სოფლის მეურნეობა, მაგრამ არ უნდა დაუშვათ, რომ რომელიმე ელემენტს, რომელიმე ჯგუფს ისე გაძლიერება, რომ იგი პოლიტიკურად ჩვენთვის საშიში გახდეს.

ამხ. ელიავა შეეხო ბიუჯეტის საგასავლო ნაწილის განაწილების საკითხს:

— როგორ უნდა განაწილდეს ბიუჯეტი?

— უნდა შემცირდეს ადმინისტრატიული ხარჯები; ყურადღება უნდა მიექცეს სოფლის მეურნეობას და მრეწველობას, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მრეწველობის განვითარების საკითხს, რომ მან, დამუშავებულ საქონლით დააკმაყოფილოს გლეხობის გაფართოებული მოთხოვნილება. უნდა გავაძლიეროთ ლითონის მრეწველობა, გავაჯანსაღოთ ტრანსპორტი — რკინისგზა და ნაოსნობა.

ბოლოს მომხსენებელი შეეხო საბჭოთა არჩევნების შედეგებს, სახელმწიფო აპარატის გაჯანსაღების საკითხს და სთქვა:

როგორია ასეთ პირობებში გლეხკორის დანიშნულება?

გლეხკორის ვალია — თავისი მოღვაწეობით განახორციელოს პროლეტარულ სახელმწიფოს და რევოლიუციის ინტერესები. გლეხკორმა უნდა ამხილოს ჩვენი ნაკლი და გაიგოს რა სტკივა სოფელს, რა არის მისთვის საჭირო.

გლეხკორი არის ჩვენი საზოგადოების თვალი და ყური. იგი ყოველთვის უნდა ხელმძღვანელობდეს მშრომელი ხალხის ინტერესებით და მათ უნდა ემსახუროს.

მეორე სხდომა

მეორე სხდომაზე ამხ. ელიავას მისცეს მრავალი შეკითხვები, რომლებზედაც მან დაწვრილებითი პასუხი გასცა.

მისალმებები

საღამოს სხდომაზედვე მოსმენილ იქნა მისალმებები:

მისასალმებელი სიტყვები წარმოსთქვეს: გაზ. „მუშა“-ს სახელით ამხ. **ერასტი ტორთაძემ,** პროლეტარულ მწერალთა კავშირიდან ამხ. **ნოე ზომლეთელმა,** წითელი ჯარიდან ამხ. **მამალაძემ,** გლეხკორებიდან ამხ. **გიო კანანელმა** და სხვებმა.

მესამე სხდომა

ამხ. მუშიშვილის მოხსენება

გუშინ დილით, მესამე სხდომაზე გლეხკორთა მოძრაობის და ამოცანების შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. **გ. მუშიშვილმა.** მან დაახასიათა მუშა და გლეხკორესპონდენტების მნიშვნელობა და აღნიშნა ის მიზეზები, რომელთა გამო ჩვენში ასე შეუჩერებლად იზრდება გლეხკორთა მოძრაობა.

ამხ. მუშიშვილმა აღნიშნა, რომ გლეხკორების მოძრაობას ესაჭიროება ხელმძღვანელობა; მართალია, პარტია და ხელისუფლება აწარმოებს მუშაობას ამ დარგში, მაგრამ ეს არ არის საკმარისი: საჭიროა შესაფერი ხელმძღვანელობის გაწევა რედაქციების მხრივ, საჭიროა შესაფერი ლიტერატურის გამოცემა და სხვ.

მომხსენებელმა დაწვრილებით დაახასიათა გლეხკორის დანიშნულება საზოგადოებრივობის განვითარების და საბჭოთა აღმშენებლობის საქმეში.

ამხ. ვარძიელის მოხსენება

შემდეგი მოხსენება გააკეთა ამხ. ვარძიელმა, რომელმაც ილაპარაკა პროკურატურის და გლეხკორების შესახებ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სოფლად რევოლიუციონური კანონიერების საქმეში გლეხკორები უდიდეს დახმარებას უწევენ პროკურატურას და სასამართლო ორგანოებს; ამიტომ გლეხკორების და პროკურატურის შორის უნდა დამყარდეს მტკიცე კავშირი.

წითელი ჯარი

მოხალისენი წითელ ჯარში

მშრომელი ახალგაზრდები, რომელნიც გამოსთქვამენ სურვილს ნებაყოფლობითი სამსახურის შესახებ მუშურ-გლეხური წითელ არმიის ნაწილების კადრის (ძირედ) შემადგენლობაში, და სამხედრო მოსამსახურეები, რომელთაც დასრულებით სამსახურის ვადა, შეიძლება მიღებულ იქნან სამსახურში ან დატოვებულ იქნან სამსახურის გაგრძელებისათვის წითელი არმიის ნაწილების რიგის შემადგენლობაში.

ნებაყოფლობითი სამსახურში მიიღებიან მოქალაქეები არა უახალგაზრდეს 18 წლისა და არა უხნეს 34 წლისა.

მოხალისეთ წითელ ჯარში არ მიიღებიან მოქალაქენი: 1) რომელთაც ნამდვილ გაწვევამდე დარჩენიათ 6 თვეზე ნაკლები, 2) რომლებიც იმყოფებიან სასამართლოს და გამოძიების ქვეშ; 3) რომელთაც სასამართლოს განაჩენით მისჯილი აქვთ უფლებათა ჩამორთმევა და 4) სამსახურისათვის უვარგისები ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო.

მოხალისენი ვალდებული არიან იმსახურონ მუშურ-გლეხური წითელი არმიის ნაწილების კადრის შემადგენლობაში არა ნაკლებ ერთი წლისა და დაითხოვიან სამსახურიდან მორიგ განთავისუფლებასთან ერთად.

ნებაყოფლობითი სამსახური ნამდვილ სამხედრო სამსახურის ვადაში არ ჩაითვლება. სამხედრო და საზღვაო სახალხო კომისარიატის განსაკუთრებულ შემთხვევაში შეუძლია ნებაყოფლობითი სამსახურის ჩათვლა ნამდვილ სამსახურის ვადაში.

მოქალაქენი, რომელნიც მიღებულ იქნებიან მოხალისეებათ წითელი ჯარის რიგებში, მიღების დღიდან ჩაითვლებიან სამხედრო მოსამსახურეებად და ისარგებლებენ ყოველივე უპირატესობით და შეღავათებით, რომლებიც აქვს მიკუთვნილი კანონის მიერ ამ უკანასკნელებს.

ტერიტორიალურ სისტემის ორი წლის თავი

ორი წელიწადი შესრულდა დღიდან საქართველოს წითელი ჯარის გადასვლისა ტერიტორიალურ წყობილებაზე.

1924 წლის 20 სექტემბერს ჩაეყარა საძირკველი პირველს საქართველოში ტერიტორიალურ ლეგიონს, რომელსაც დღეს ეწოდება მე-4-ე ქართული ლეგიონი.

ძნელი იყო პირველ ხანებში მუშაობა ტერიტორიალურ ნაწილების შესაქმნელად. ამ დარგში ქართველ ამხანაგებს, რომლებსაც უხდებოდათ ორგანიზაციული მუშაობის წარმოება არ ჰქონდათ საკმაო გამოცდილება; ლიტერატურა ძალიან ნაკლები იყო.

თვით ის ხანაც, როდესაც ქართული ჯარი გადადიოდა ტერიტორიალურ სისტემაზე, არ იყო ხელსაყრელი: საქართველოში სწარმოებდა ბრძოლა მენშევიკურ ბანდებთან, რომელნიც თავშეფარებულნი იყვნენ სხვადასხვა კუთხეებში და აწიოკებდნენ მშვიდობიან მოსახლეობას. ქართული ჯარის ნაწილები ახდენდენ ამ ბანდების ლიკვიდაციას. აი სწორედ ამ დროს ხდება ტერიტორიალურ სისტემის საძირკვლის ჩაყრა.

მოსახლეობაც, რომელსაც ახლო ეხებოდა ტერიტორიალური სისტემა, სრულიად არ იყო გარკვეული წითელი ჯარის ამ ახალ წყობილებაში და უნდობლად უყურებდა ახალი ნაწილების შექმნას. ადგილობრივი ხელისუფლება, სოფლად და ქალაქად, რომლის დახმარებაზე და ხელის შეწყობაზე ბევრი რამე იყო დამოკიდებული, ვერ იჩენდა საკმაო უნარს და გამჭრიახობას.

მიუხედავათ მრავალი დაბრკოლებებისა, რომლებიც ელობებოდენ წინ ტერიტორ. სისტემის ცხოვრებაში გატარებას. წითელი ჯარის ხელმძღვანელთა შრომით, დაძლეულ იქნა ყოველივე სიძნელე. მოკლე დროში მომზადებულ იქნა საჭირო კადრი მეთაურების და პოლიტიკურ ხელმძღვანელების და ჩატარებულ იქნა პირველად საქართველოში ტერიტორიალურ არმიელთა შეკრება.

პირველში შეკრებამ დაგვანახვა, რომ ტერიტორიულ სისტემისათვის საქართველოში არის ნიადაგი და ჯარს ჰყავს ამისათვის მომუშავენი, რომელნიც მომზადების შემდეგ გაუძღვებიან ახალ საქმეს. აგრეთვე შეკრებამ დაგვანახვა, რომ საქართველოს მშრომელი მასა შეგნებულად შეხვდა ტერიტორიალურ სისტემაზე გადასვლას.

შემდეგში წარმოებულ მუშაობით, სამხედრო კუთხეების გახსნით, საჭირო ლიტერატურის გამოცემით, მიღწეულ იქნა საგრძნობი შედეგები. მოსახლეობა სავსებით გაერკვია ახალ სისტემაში; ადგილობრივმა ხელისუფლებამ შეიგნო თავისი მოვალეობა ტერსისტემის წინაშე. ამისი დამამტკიცებელი იყო საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში ჩატარებული მოკლე და გრძელ ვადიანი შეკრებები, რომლებზედაც ცვალებადი წითელ არმიელები ცხადდებოდენ უკლებლივ.

მიმდინარე საერთო შეკრება, რომელიც ტარდება ქ. გორში, მაჩვენებელია იმის, რომ ტერიტორიალური სისტემა უკვე განმტკიცებულია და ტერიტორიალური ნაწილები წარმოადგენენ შეგნებულ და მომზადებულ საბრძოლო ერთეულებს.

ტერსისტემასთან ერთად მე-4-ე ქართული ლეგიონი დღესასწაულობს არსებობის ორი წლის თავს. ორი წლის განმავლობაში მან მოამზადა და გაწვრთნა მრავალი მეომარი, რომელთაც კარგათ აქვთ შეგნებული თავისი მოვალეობა მუშურ-გლეხურ სახელმწიფოს წინაშე და მზად არიან იარაღით ხელში დაიცვან იგი.

ორი წლის განმავლობაში, მძიმე პირობებში, ლეგიონი აწარმოებდა დაუღალავ მუშაობას როგორც ყაზარმაში ისე ყაზარმის გარედ—გლეხობაში და მუშებში.

ლეგიონის მიერ თავის შეკრების რაიონში—ქვემო და ზემო ქართლში, იმერეთში და სამხრეთ ოსეთში—გახსნილია 40 სამხედრო კუთხე, სადაც მოსახლეობა სწავლობს სამხედრო საქმეს.

ორი წლის განმავლობაში ლეგიონმა შეასწავლა წერა-კითხვა 1855 ცვალებად წითელ არმიელს; მის მიერ მომზადებულია 165 ქოხ-სამკითხველოს და 130 სამხედრო კუთხეების გამგეები, რომლებიც დღეს ეწევიან მუშაობას სოფლებში.

მრავალი ეროვნებები არიან თავმოყრილი მე-4-ე ქართ. ლეგიონში. ყველანი იძენენ აქ როგორც სამხედრო, ისე პოლიტიკურ ცოდნას თავის სამშობლო ენაზე და სახლში დაბრუნებისას შეაქვთ განათლება და შეგნება გლეხობაში.

მე-4-ე ქართული ლეგიონი მტკიცე და ურყევი ძალაა მუშურ-გლეხურ საქართველოს დასაცავად როგორც შინაურ, ისე გარეშე მტრებისაგან; ამასთან ერთად იგი სინათლის, განათლების და კულტურის შემტანია სოფლად—გლეხობაში.

ი. ხუციშვილი.

გამოვიდა
და
იყიდება
ჟურნალი
„სოფლის
კომუნისტი“
№ 8—9
შინაარსი:
ფ. მახარაძე ჯგუფების და ფრაქციების საკითხი კომუნისტურ პარტიაში
ალ. პაპავა პარტიის მთლიანობა და ოპოზიცია.
აკ. ჭუონია პარტია და ახალი ოპოზიცია.
ლ. ჩ—ძე მორიგი გაწვევა წითელ ჯარში.
ი. ბუაჩიძე სასოფლო-სამეურნეო კოლექტივები.
შ. ანდღულაძე კომკავშირის მორიგი ამოცანები სოფლად.
საერთაშორისო მიმოხილვა
ნ. ჟ. საერთაშორისო მდგომარეობის საკითხები.
ადგილობრივი ცხოვრება
ვლ. ცაგარელი ღია პარტიული კრებები სოფლად.
ქრ. კოხტაშვილი მუშაობა ღარიბ გლეხებს შორის.
დ. კომახიძე პარტიული მუშაობა სოფლად.
ი. ორაგველიძე პოლიტმუშაობა სოფლად.
ბიბლიოგრაფია
ს. ალიანი—ნ. ბუხარინი. პარტია და ოპოზიცია. კ. ლ.—კომინტერნის თეზისები.
კ. დ.—ძე რეზოლიუციები და დადგენილებანი.
ბ. ბ—ლი ქართული ემიგრაცია.
დ. ო—ნი გ. გიორგაძე—ფეოდალიზმი საქართველოში.
ჟურნალი დაურიგდება ხელის მომწერლებს და
გაიყიდება ყველგან
2—1 ნ. 2

პროფკავშირებში

სურსათ-გემოვნების მუშაკთა კავშირში

რამოდენიმე ხნის წინად დათვალიერებულ და გამოკვლეულ იქნა სურსათ-გემოვნების მუშაკთა კავშირის ორგანიზაციები თბილისში და ბათომში.

დათვალიერებამ გამოამჟღავნა საკავშირო მუშაობის ზოგიერთი მტკივნეული მხარეები, რომელთა გამოსწორებისათვისაც გამომუშავებულია ღონისძიებები.

კავშირის საორგანიზაციო მუშაობა

კავშირი რესპუბლიკის მასშტაბით აერთიანებს დაახლოებით 5.230 წევრს, რომელთაგან 800 კაცი უმუშევარია.

საორგანიზაციო დარგში უნდა აღინიშნოს შემდეგი ნაკლი. თამბაქოს წარმოებებში, კოლოფის ფაბრიკებში და სასაკლაოზე დაარსებული იყო სადელეგატო კრებები, მაგრამ ასეთებს კრება უკანასკნელი 5-6 თვის განმავლობაში არ მოუწვევიათ.

კერძო წარმოებებში ადგილი ჰქონდა ხშირად კონფლიქტებს, რომლებიც უმთავრესად ეხებოდენ დათხოვნას, სპეც-ტანსაცმელთა მიუცემლობას, შეღავათებით თითქმის რამოდენიმე წლის განმავლობაში უსარგებლობას და სხვა საკითხებს. გარდა ამისა, კერძო წარმოებათა მუშებს შორის არ სწარმოებდა შესაფერი მუშაობა სატარიფო შეთანხმებათა მათთვის გასაცნობად.

ც. გამგეობას შესაფერი ცოცხალი კავშირი არ ჰქონია ფაბქარხკომებთან, რის გამოც ალაგ-ალაგ ისეთ შეცდომებსაც აქვს ადგილი, როგორც მაგ. ერთი-ერთი დამხმარე სალაროს წევრების ადგილკომების წევრებისაგან გამოყოფა და სხვა. საგრძნობლად მოისუსტებდა სარევიზიო კომისიების მუშაობაც ფაბქარხკომებთან, რაც აგრეთვე უნდა მიეწეროს ც. გამგეობის უყურადღებობას.

მუშაობა სატარიფო-საეკონომიო დარგში

სატარიფო მუშაობაში თვალსაჩინო ნაკლად უნდა ჩაითვალოს მუშებისათვის გასაგებ ენებზე კოლექტიური ხელშეკრულებების და სატარიფო შეთანხმებების წინასწარ გაუცნობლობა. ხშირად ასეთები ისე იდებოდა, რომ მუშებმა არც კი იცოდენ მის შესახებ რამე. შესამჩნევად მოიკოჭლებდენ შრომის დაცვის კომისიებიც. რაც შეეხება საწარმოო კომისიებს, მათ მუშაობაში არ იყო დაცული გეგმიანობა, რაც აგრეთვე უნდა მიეწეროს ც. გამგეობას. კომისიების მუშაობა გაცხოველებულად და ნორმალურად არ ხდებოდა.

უმუშევართა დახმარებაში კავშირს არ გამოუჩენია საკმაო უნარი. გარდა ჩვეულებრივი ფულადი დახმარებისა, კავშირმა ვერ დაარსა რამე კოლექტივი და სხვა ორგანიზაციები უმუშევართა ჩასაბმელად.

კულტ-განმანათ. მუშაობა

კულტ-მუშაობაშიც კავშირს აღმოაჩნდა ზოგიერთი ნაკლი. კავშირი მუშებისათვის გასაგებ ენებზე არ აწარმოებდა საჭირო მუშაობას. 14 პროფწრიდან სომხურ ენაზე დაარსებული იყო 3 წრე, ქართულზე 4 და დანარჩენი რუსულზე. საერთოდ კავშირს ეტყობოდა ტენდენცია რუსულ ენაზე მეტ ნაწილად მუშაობის.

კულტმუშაობა განსაკუთრებით მიდის მუშათა ცენტ. კლუბში, მაგრამ აქაც ვერ არიან წევრები საკმაო რაოდენობით ჩაბმული კულტმუშაობაში. ბიბლიოთეკები მასას ვერ უწევდა საჭირო დახმარებას. წიგნები საკმაოდ ვერ იყო მიწოდებული მუშებისთვის და არც ლიტერატურა აკმაყოფილებდა მას.

ამჟამად კავშირი შესაფერ მუშაობას აწარმოებს ყველა შემჩნეულ ნაკლთა გამოსასწორებლად.

პროფკორი მიშა.

საკავშირო დირექტივების ცხოვრებაში გაუტარებლობის შესახებ

ჩვენი პროფუჯრედების საქმიანობაში ხშირია ისეთი შემთხვევები, როდესაც მაღალ საფეხურის პროფორგანოების დირექტივები დროზე ცხოვრებაში არ ტარდება და ხშირად გადახრებიც გვაქვს. ეს დადასტურდა უმთავრესად მის შემდეგ, რაც საბჭოთა და სავაჭრო მუშაკების პროფკავშირის ც. გამ. მოახდინა ჩვენი კავშირის საოლქო და სამაზრო განყოფილებების და აგრეთვე რაიონულ და თბილისის ადგილკომების მუშაობის დეტალური გამოკვლევა.

რა აღმოაჩინა ჩ.-კავშირის 12 საოლქო და სამაზრო განყოფილებების სამი რაიონული და 35 ქალაქის ადგილკომის მუშაობის ჩატარებულმა გამოკვლევებმა?

— აი რა აღმოაჩინა:

ჩვენ არა ერთხელ მიგვითითებია როგორც ჩვენ პლენუმებზე, კონფერენციებზე, აგრეთვე სპეციალურად საფინანსო ანგარიშების საკითხის ირგვლივ ცირკულიარების დაგზავნით, რომ მდაბალ საფეხურის პროფორგანიზაციებმა უნდა მიაქციონ მაქსიმუმი ყურადღება საფინანსო ანგარიშიანობის საკითხის როგორც ფინანსიურ საქმის წარმოებისას, აგრეთვე მასის წინაშე თავის დროზე ანგარიშიანობას.

არა ერთხელ მიგვცია აგრეთვე წინადადებები და მიგვითითებია სარევიზიო კომისიების თვის ფხიზელ მუშაობის წარმოების შესახებ მათ მიერ ფინანსიური საქმის წარმოების ყოველთვიური რეგულიარული რევიზიების ჩატარებაზე, და სხვა.

გამოირკვა, რომ ზოგიერთ მაზრებში ამ საკითხს ამხანაგები სრულიად არავითარ ყურადღებას არ აქცევენ, არ არის ანგარიშიანობა თავის წესზე დაყენებული; არ აქვთ წიგნები ფინანსიურ საქმის წარმოებისათვის, ც. გ-ბის მითითების თანახმად. სარევიზიო კომისიები სრულიად არ აწარმოებენ დაკისრებულ მუშაობას და მათი ასეთი „გულგრილი მუშაობის წყალობით“ საკავშირო თანხების ფლანგვა არ სწყდება.

სასამართლო

რკინისგზელთა საქმე

გუშინ სასამართლოს სხდომა არ შემდგარა, ვინაიდან ჯერ არ დამთავრებულა ექსპერტების მიერ დასკვნის გამომუშავება სასამართლოს მიერ მიცემულ შეკითხვებზე.

ამბერკი კაციტაძის და გიორგი ისაკაძის საქმე

გუშინ აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს სისხლის სამართლის განყოფილებამ ამხ. გლადკოვის თავმჯდომარეობით გაარჩია ამბერკი კაციტაძის და გიორგი ისაკაძის საქმე; მათ ბრალათ ედებათ რკინისგზის ვაგონის გატეხა და იქიდან საქონლის გატაცება.

სასამართლომ წაყენებული ბრალდება დამტკიცებულად სცნო და მიუსაჯა მათ თავისუფლების აღკვეთა ხუთ-ხუთი წლით, მაგრამ თანახმად 1924 წლის 7 ნოემბრის და 1925 წლის 7 მარტის ამნისტიისა ბრალდებულები გაანთავისუფლა შეფარდებული ღონისძიებისაგან.

ლადო ხახანაშვილის საქმე.

აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს გამსვლელმა სესიამ სოფ. ახალ გავაზში (თელავის მაზრა) გაარჩია მოქ. ლადო ნინიას ძე ხახანაშვილის საქმე; მას ბრალათ ედება მძინარე სანდრო ბათუკაშვილის მოკვლა.

სასამართლომ წაყენებული ბრალდება დამტკიცებულად სცნო და ხახანაშვილს მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა 10 წლით წინასწარი დაპატიმრების ჩათვლით, განაჩენი საბოლოოა.

რატომ არ იყო წყალი

გუშინ დილას წითელი თეატრის მახლობლად გასკდა წყალსადენის მაგისტრალის მილი, რომელიც აწოდებს წყალს ქალაქის გაღმა ნაწილს.

ერთი საათის განმავლობაში წითელი თეატრის ახლო დადგა დიდი ტბა, რამაც დააბრკოლა დილის მოძრაობა.

წყალსადენისა და ტრამვაის სამმართველოები მყისვე შეუდგენ მუშაობას ტრამვაის სათადარიგო ხაზის მოსაწყობათ და ახალი მილის ჩასადებათ. მუშაობა გაგრძელდა ღამის 12 საათამდე.

მილი უკვე შეაკეთეს და ტრამვაის მოძრაობაც ნორმალურათ სწარმოებს. წყლის მიწოდება გაღმა უბნებისათვის დაბრკოლდა ერთი დღით.

ნაწლავების დამზადება

ამ დღეებში ა.-კ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატმა მოიწვია დაინტერესებულ ორგანიზაციათა თათბირი, ნაწლავების დამზადებისა და ფასების გამომუშავების შესახებ. აღნიშნულმა თათბირმა გაანაწილა დამმზადებელთა შორის ნაწლავების დასამზადებელი რაიონები, მანვე გამოიმუშავა დამზადების ფასები მსხვილფეხა და ცხვრის ნაწლავების როგორც ნედლის ისე გადამუშავებულ სახის პროდუქტზე. აღნიშნული ფასები დასამტკიცებლად წარედგინა ა.-კ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარს.

თათბირის დადგენილების თანახმად ნაწლავების მთელი რაოდენობა უნდა გადაეცეს „ზაკუტილსირიოს“, თანახმად წინასწარ ხელშეკრულებისა, იმ ფასებში, რომელიც დამტკიცებულია შინა-ვაჭრობის კომისარიატის მიერ.

მეტეხის ხიდი

მეტეხის ხიდზე ამჟამად სწარმოებს დიდი მუშაობა დროებითი და მუდმივი დამბების ასაგებათ. მუდმივი დამბის სიგრძე 90 საჟენი არის, ხოლო დროებითისა — 220 საჟენი.

დანარჩენი სამუშაოები უკვე შესრულებულია ახლო ხანში გზა-ტკეცილების სამმართველო შეუდგება ხიდის თაღების გატინობებას. თანამედროვე ხიდების ტეხნიკით თაღების გატინობება აუცილებლად დიდ ხიდებისათვის. ამ მოსაზრებით მოხდება მეტეხის ხიდის ორი თაღის გატინობება. თვითეული თაღის სიგრძე 33 მეტრს უდრის.

ხიდის აგება უნდა დასრულდეს მიმდ. წლის ნოემბრის თვეში.

ლიბანის სანატორიუმი

საბჭოთა კავშირის სახელმწ. დაზღვევის სამმართველოს მიერ ლიბანის სანატორიუმის აგების გამოკვლევისათვის გაგზავნილმა ინჟინერმა ოსტროუმოვმა გააკეთა მოხსენება თავისი გამოკვლევის შესახებ.

ინჟინერი ოსტროუმოვი სცნობს, რომ სანატორიუმის აგების საქმიდან საამშენებლო კონტორას „სტანდარტის“ ჩამოშორების შემდეგ მუშაობის პირობები გაუმჯობესდა. 1 ნახევ. საამშენებლო სეზონის განმავლობაში საამშენებლო სამეურნეო კომიტეტმა მუშაობის საერთო გეგმის 70 პროც. შეასრულა.

კერძო გამომცემლობები

განათლების სახალხო კომისარიატთან არსებულმა მთავარლიტმა გამოაცხადა 1-ლ ოქტომბრიდან კერძო გამომცემლობათა ხელახალი აღრიცხვა.

აღრიცხვაში ვესატარებლად კერძო გამომცემლებმა უნდა წარადგინონ: წესდება, ცნობები გამომცემლობის ფინანსიური მდგომარეობის შესახებ და გამომცემლობის დამფუძნებელთა სია.

აღრიცხვა გაგრძელდება 15 ოქტომბრამდე და ის გამომცემლობა, რომელიც არ გატარდება აღრიცხვაში ჩაითვლება გაუქმებულად.

ხილი

ქართლი ხილის მთავარი მიმწოდებელია საბჭოთა კავშირის ბაზრებზე.

რკინის გზით ვატანილ ხილის 41,2 პროც. მოდის ქართლზე.

იმისათვის, რომ ქართლში კიდევ უფრო განვითარებული იქნეს მეხილეობა, საქართველოს საგეგმო კომისიამ აუცილებლად სცნო მოწყობილი იქნეს გორის მაზრაში 2 ხილის საწყობი, 2 ხილის საშრობი ფარდული და ერთი საკონსერვო ქარხანა.

ყველაფერი ეს კაკლის საწმენდ ქარხანასთან ერთად (ოზურგეთში) დაჯდება 308.749 მანეთი.

ქრონიკა

თბილისის აღმასკომში

— **მონადირეთა კავშირმა** აღძრა შუამდგომლობა თბ. აღმასკომის წინაშე მონადირე ძაღლების მოსაშენებლად თბილისის ახლოს ერთ-ერთი ბაღის გადაცემის შესახებ.

— **ტყის გაშენება.** ოქტომბრის შუა რიცხვებიდან აღმასკომი შეუდგება ტყის გაშენებას ვაკეზე და სუნენის ხევში.

— **ვაკეზე** ეწყობა ცეცხლის მქრობელ რაზმის ვერის განყოფილება.

— **საბინაო გადასახადი.** 1 ოქტომბრამდე აღმასკომმა შეაგროვა 79,493 მანეთი საბინაო გადასახადი.

— **უპატენტო ვაჭრობისათვის** გასულ საანგარიშო წელში აღმასკომს ჯარიმის სახით შემოუვიდა 59,342 მ.

სახალხო განათლება

— **მოწაფეები.** პროვინციებში არსებულ ტეხნიკუმების გამგეებს წინადადება მიეცათ წარმოადგინონ ცნობები მიღებულ მოწაფეთა რაოდენობისა და სოც. მდგომარეობის შესახებ.

— **ინდუსტრიალურ და სახ.-სამ. ტეხნიკუმებთან** არსებულ სახელოსნოების სავსებით მოსაწყობათ განათ. კომისარიატმა შეიმუშავა ცალკე ხარჯთ-აღრიცხვა.

— **უცხო ენები.** ინდუსტრიალურ და სამრ. ეკონ. ტეხნიკუმებში უცხო ენებიდან დატოვებულია მხოლოდ გერმანული ენა.

— **სახ.-სამ. და საპედაგოგიო ტეხნიკუმებში** უცხო ენების სწავლება სავსებით მოხსნილია.

მზადება აღწერისათვის

— **მთელ თბილისში** ამჟამად ათასამდე უნომრო სახლია, კეთილ-მოწყობის განყოფილება შეუდგა მათ დანომვრას.

— **მცხეთის გეგმა.** აღწერის ჩამტარებელმა საორგანიზაციო კომისიამ მცხეთის აღმასკომს მისცა წინადადება ყველა ქუჩებს დაარქვას სახელები.

— **თბილისის გეგმის** გადასინჯვა და შევსება დამთავრდება ამ დღეებში.

— **აღწერის ჩასატარებლად** სულ ქალაქში იმუშავებს 1000 კაცი.

სამეურნეო დაწესებულებებში

— **მაუდი.** ქუთაისის მაუდის ქარხანამ გასულ თვეში დაამზადა 26 ათასი მეტრი შალეული.

— **აბრეშუმის თესლის დამამზადებელი ქარხანა** ქუთაისში, წელს დაამზადებს 16.000 კოლოფს აბრეშუმის თესლს.

სხვადასხვა

— **მონადირეთა კავშირის** დადგენილებით 1926— 27 წ. სეზონში აკრძალულია ნადირობა დომბებზე, ირმებზე, ჯეირანებზე, დედალ შველებზე და ნუკრებზე და აგრეთვე თეთრ ბაყაყჭამიაზე და დურაჯებზე მთელი წლის განმავლობაში.

— **საზამთრო საკურორტო სეზონი** სოხუმსა და აბასთუმანში გაიხსნება 1 ნოემბერს.

— **საკომისიო მაღაზია.** კომინტერნის ქუჩაზე მაღაზია „უნივერსალმა“ დაიწყო საკომისიო ნივთების მიღება გასაყიდათ.

— **საზ-ბა „იმერეთმა“** გადასდო ხუთი ათასი მანეთი შორაპნის მაზრაში მეღვინეობა-მევენახეობის სკოლის მოსაწყობად.

— **საქარხნო-საფაბრიკო სკოლებთან** ეწყობა ფეხბურთელთა გუნდები.

შემთხვევები

აფერისტი სკარჟევსკი

თბილისის აღმასკომის საშემოსავლო-საგასავლო სალაროში ეს ერთი ხანია მსახურობდა ვინმე ლეონიდ სკარჟევსკი, კაცი რომელსაც ყოველთვის ჰქონდა სადომოსთვის საქეიფო ფული.

ამ ორი კვირის წინეთ სალაროსთან ჩამდგარ „კუდში“ სკარჟევსკიმ შეამჩნია ვერა პორტნოვა, რომელსაც იგი მორცხვად გაეცნო და ურჩია გამოსულიყო რიგიდან, ვინაიდან „ჯენტლმენი“ სკარჟევსკი მას მოუხერხებდა ფულის შინაურულად შეტანას.

ნაივი პორტნოვამ გადასცა სკარჟევსკის 80 მანეთი, მაგრამ ქვითარი არ მიუღია. ორი კვირის შემდეგ, როგორც იქნა პორტნოვამ მიიღო ფულის მიღების ქვითარი და იმ დღისვე სარევიზიო კომისიაც ესტუმრა სკარჟევსკს. სალაროს გასინჯვის შემდეგ აღმოჩნდა, რომ აღნიშნული 80 მანეთი არ იყო სალაროს წიგნებში გატარებული და სალაროს აკლდა სხვა თანხებიც. საქმე გადაეცა სისხლის სამართლის მილიციას, ხოლო ამ უკანასკნელმა აღმოაჩინა სკარჟევსკი სცხოვრობდა ექვს ადგილას და არსად გაწერილი არ ყოფილა.

კვირა დილას სკარჟევსკი დააპატიმრეს ქუჩაში. კვლევა-ძიება სწარმოებს.

— **ქურდი მოსამსახურე.** 3 ოქტომბ. მაჩაბლის ქ. № 20 სეით იაშვილის ბინა გაქურდა მისივე მოსამსახურე ქალმა, პელო გულიაშვილმა და მიიმალა.

— **თავის დაჭრა.** 3 ოქტომბ. კომუნ. ქ. № 3 ლურსმანით თავი დაიჭრა არაქსი გასპაროვამ. მიზეზი გამოურკვეველია.

— **გაძარცვა.** 3 ოქტომბ. არდაგანის ქუჩაზე ღამით გაძარცვეს აკაკი დოლიძე.

— **ავტომობილის ქვეშ.** 2 ოქტომბ. ფეირვეკერის ქ. ავტომობილმა (№ 384) გაიტანა იოსებ ბურძენიძე. შოფერმა მოასწრო მიმალვა.

— **თვითმკვლელობა.** 3 ოქტომბ. ტატიანის ქ. № 2 მობერგ გაიდერმა რევოლვერით მოიკლა თავი ცხოვრებისადმი უკმაყოფილების გამო.

— **შეპყრობა.** 2 ოქტ. ქურდობისათვის შეიპყრეს იოსებ მუჯაიძე.

— ამავე დღეს ქურდობისათვის შეიპყრეს ხაჩატურ ოსკანოვი.

— **ქურდობა.** 3 ოქტომბ. საპიორის ქ. № 3 გაქურდეს ბიქტორ სანიკიძის ბინა.

— 2 ოქტომბ. ბებუთოვის ქ. № 7 გაქურდეს ისაკ ფარსეგოვის ბინა.

— ამავე დღეს გორის შესახ. № 3 გაქურდეს თამარა კაშიას ბინა.

— ამავე დღეს წითელი მთის შესახ. № 6 გაქურდეს სოფიო ოგანოვის ბინა.

ხელოვნება

სამხატვრო აკადემიის გამოფენის გამო

სულ რაღაც ხუთიოდე წელიწადია, რაც თბილისის სამხატვრო აკადემია არსებობს; ამ ხნის განმავლობაში მას დიდი წარმატებისთვის მიუღწევია. ამას მოწმობს მოწაფეების ნაშრომების გამოფენა, რომელიც კვირას, 3 ოქტომბერს, გაიხსნა აკადემიის დარბაზებში. აკადემიაში დღეს ორას ახალგაზრდაზე მეტი სწავლობს. გამოფენაში, ადგილის უქონლობის გამო, მხოლოდ მცირე ნაწილი იღებს მონაწილეობას, მაგრამ მნახველს მაინც შეუძლია ნაფლეთ საერთო შთაბეჭდილება მიიღოს სამხატვრო აკადემიის წინსვლასა და მიღწევებზე. ისეთი სურათები, ეტიუდები და ესკიზები, როგორიც მხატვრულ განყოფილებაში დ. გველესიანს, ირ. თოიძეს, გრძელიშვილს, ვარლამაშვილს, ბრაილოვსკის ქალს, ლემანჟავას, მაყაშვილს, ცაგარელს, წერეთელს, ყაზბეგს გამოუფენიათ, არქიტექტურულში—წილოსანს, ჩხიკვაძეს, ლეჟავას, სარქისოვს, ერისთავის ქალს, გრაფიულში ტიმოფეევს, ჩერნიშკოვს, ქობულაძეს, წილოსანს, შმერლინგის ქალს, ხოლო სკულპტურულში—წერეთლის ქალს, რ. თავაძეს, ვ. კოტეტიშვილს, პატარიძეს, არუტჯამოვს, აბაკელიას, დადეშკელიანს, ბონდარჩუკს, მოწმობს, რომ ჩვენს სამხატვრო აკადემიაში მრავალი ნიჭიერი მოსწავლეა. მაგრამ დღეს ჩვენ იმდენით ინდივიდუალური ტალანტების მრავალფეროვნება არ გვაინტერესებს, რამდენადაც ის ძლიერი კოლექტიური სული, რომელიც ამ გამოფენაზე სჩანს და ურომლისოდაც შეუძლებელია ჭეშმარიტი მხატვრული შემოქმედება.

უნდა ითქვას, რომ ამ მხრივ, როგორც გამოფენიდანაც სჩანს, მხატვრობასა და სკულპტურას უფრო დიდი სიძნელეების გადალახვა უხდება, ვიდრე სხვა დარგებს. მხატვრობა და ქანდაკება უშუალოდ იმდენად დაკავშირებული არ არის პრაქტიკული ცხოვრების მოთხოვნილებასთან. ხუროთმოძღვარი, წიგნის ილუსტრატორი, თიხის ოსტატი კი, პირიქით, ესთეტიურ მოთხოვნილებასთან ერთად პრაქტიკული ცხოვრების მოთხოვნილებასაც აკმაყოფილებს. ჩვენ კი დღეს ისეთ ხანაში ვცხოვრობთ, როცა ყოველდღიური ცხოვრების გარდაქმნა ჰხდება, როცა ძნელია განყენებულ მხატვრულ სტილზე ოცნება. სხვა არა იყოს რა, მხატვრის და მოქანდაკის მასალა, ფერადები, ალებასტრი, მარმარილო, ბრინჯაო იმდენად იშვიათი და ძვირია, რომ მათი შეძენა ხშირად გარდაუვალ სიძნელეს წარმოადგენს ახალგაზრდა ხელოვანისთვის.

შემდეგ ანგარიში უნდა გაეწიოს ჩვენი ხელოვნების ტრადიციებსაც, რომელიც შეუცნობლად მოქმედობს თანამედროვე თაობაზე. ჩვენ არასოდეს არ გვყოლია ძლიერი ბურჟუაზია, მდიდარი და ხელოვნების მოყვარული მეცენატები. ხელოვნებას წარსულშიც, ისევე როგორც დღეს, სახელმწიფო ან რომელიმე დიდი კოლექტივი ხელმძღვანელობდა. ამიტომ ჩვენში არ განვითარდა ჩარჩოიანი სურათების მხატვრობა, რომელიც ევროპაში, არსებითად, ბურჟუაზიული ინდივიდუალიზმის ნაყოფს წარმოადგენს. საქართველოში ცენტრალურ ხელოვნებას ყოველთვის ხუროთმოძღვრება წარმოადგენდა, ხოლო მხატვრობა და ქანდაკება დეკორატიულ მიზნებს ემსახურებოდა, ე. ი. კედლისა და ფასადის სამკაულისთვის მუშაობდა. დიდათ განვითარებული იყო აგრეთვე კერამიკა, რომელიც სუფრებსა, თასებსა, ლარნაკებსა და ჯამებს ჰქმნიდა სუფრისა და თახჩის შესამკობათ. ამას ამტკიცებს ის ძვირფასი აღმოჩენანი, რომელნიც მკლევარებმა მრავალ ადგილას იპოვეს ძველი ნაქალაქევებისა და სასაფლაოების ადგილას, განსაკუთრებით შუ ქართლში, და რომელთა მიხედვით მრავალი საუცხოვო ნიმუში გაუკეთებიათ სამხატვრო აკადემიის კერამიკულ განყოფილებაში.

თუ ჩვენს სამხატვრო აკადემიას სურს, რომ მონაწილეობა მიიღოს ცხოვრების გადახალისებასა და ახალი კულტურული სტილის შექმნაში, მან უნდა გადალახოს ვიწრო აკადემიური ზღუდეები: ის უნდა შეუკავშირდეს ხალხურ მხატვრულ შემოქმედებას, რომელიც დღემდე არ დაშრეტილა საქართველოში. ჩვენი აკადემიის ხელმძღვანელებს, როგორც სჩანს, ეს კარგად ესმით. ამას მოწმობს, სხვათა შორის, მათი ინტერესი ქართლური დარბაზისადმი, რომელიც ჩვენი ხალხური არქიტექტურის ძირითად ფორმას წარმოადგენს. სამხატვრო აკადემიამ ორი ალბომი გამოსცა კიდეც, ერთი დღიმის, მეორე ერთაწმინდის დარბაზის შესახებ, ეს უკანასკნელი განსაკუთრებით საყურადღებოა ჩვენი ახალგაზრდა ხუროთმოძღვრებისთვის, როგორც მდიდრი მასალა ახალი ეროვნული არქიტექტურული სტილის შესაქმნელად.

ვ.

ფეხბურთი

„არსრაიონი“—„წ. ა. ფ. ს.“

კვირას, ლენინის სახელობის სტადიონზე გაიმართა „არსრაიონის“ და წითელი არმიის და ფლოტის სახლის გუნდის ამხანგური შეჯიბრი. მატჩს სჯიდა ამხ. იოსავა.

„არსრაიონი“ ამ შეჯიბრში შესუსტებული შემადგენლობით გამოვიდა. არ თამაშობდენ ის მოთამაშეები, რომლებსაც მოსკოველებთან შეჯიბრის დროს ფეხები დაუშავდათ. ისინი შესცვალა „არსრაიონის“ მეორე გუნდის მოთამაშეებმა.

„წ. ა. ფ. ს.“ შერეული შემადგენლობით გამოვიდა.

პირველ ტაიმში უპირატესობა უმეტეს შემთხვევაში „წ. ა. ფ. ს.“ მხარეზე იყო. მიუხედავათ „არსრაიონის“ ძლიერი წინააღმდეგობისა, წითელი არმიის და ფლოტის სახლის გუნდის მოთამაშეებმა ტაიმის ბოლომდე შესძლეს ორი ბურთის გატარება მოპირდაპირის ბადეში და თამაშის პირველი თავის სასარგებლოდ განყოფილება დაამთავრეს 2:0.

მეორე ტაიმი იწყება „არსრაიონელების“ ძლიერი შეტევით. მათი ფორვარდები მრავალ საინტერესო მომენტებს ქმნიან მოპირდაპირის კარებთან. ერთ-ერთ ასეთი მომენტის დროს მარჯვენა ინსაიდი—**მალალაშვილი** ლამაზათ გაიტაცებს ბურთს და ძლიერი დარტყმით „წ. ა. ფ. ს.“ ბადეში მოაქცევს.

ჩქარა არმიის გუნდი მეორე ბურთს მიიღებს თავის კარებში და, ამრიგად, ანგარიში გაქვითებულია.

შემდეგში გუნდები თანაბრად უტევენ ერთმანეთს. მე-30 წუთზე წითელი არმიის და ფლოტის სახლის გუნდის მარცხენა ინსაიდი—**არაბინსკი** მესამე ბურთს გაატარებს „არსრაიონის“ კარში, რომელსაც ჩქარა აქვითებენ არსრაიონელები და, ამგვარად, წონასწორობა ისევ აღდგენილია.

ტაიმის ბოლოს არმია კიდევ ახერხებს ერთი ბურთის გატანას. „არსრაიონი“ ყოველ ღონეს ხმარობს, რომ ეს ანგარიშიც გაუქვითოს, მაგრამ შედეგს ვერ აღწევს.

შეჯიბრი დამთავრდა 4:3 „წ. ა. ფ. ს.“ სასარგებლოდ.

მეცნიერება და ტეხნიკა

სიმაღლის ახალი რეკორდი

როგორც გაზეთები „მატენ“ და „ფრანკფურტერ ცაიტუნგ“ იუწყებიან, ფრანგმა მფრინავმა კალიზომ, რომელმაც 1924 წ. დამყარა სიმაღლის მსოფლიო რეკორდი—12.066 მეტრი, ამ დღეებში სიმაღლის ახალი რეკორდი დაამყარა.

გახვეულმა ბეწვეულში, ნიღაბით პირზე, კალლიზომ დასტოვა ბუკის აეროდრომი. აეროპლანზე კალლიზოს დადგმული ჰქონდა ელექტრონის ფეჩი. ორი საათისა და 24 წუთის შემდეგ კალლიზო სრულიად დაუძლურებული დაეშვა ბურჟში სიმაღლის ერთ-ერთი საზომი აპარატი უჩვენებდა 12.500 მეტრს, მეორე— 12.800 მეტრს.

უკანასკნელი 500 მეტრი განსაკუთრებით ძნელი იყო მფრინავისათვის. ის საშინელ წვალებას განიცდიდა სიცივეს გამო და უგრძნობით იყო, ვინაიდან ჰაერი არ ჰყოფნიდა დიდ სიმაღლეზე.

მიკრომანიპულიატორი

ასე იწოდება გერმანელ პროფესორ იაფფეს მიერ გამოგონებულ მოწყობილობას, რომელიც შესაძლებლად ხდის ურთულეს ქირურგიულ ოპერაციების წარმოებას მიკრო-ორგანიზმებზე —ბაცილებზე, ინფუზორიებზე და სხვა. „კელნის გაზეთი“ იუწყება, რომ ამ აპარატის საშუალებით, რომელიც წარმოადგენს მიკროსკოპისა და უპატარავეს ხელსაწყოების შეერთებას, ამ რამდენიმე ხნის წინეთ მოახდინეს ურთულესი ოპერაცია ყელჭირვებისა და ტუბერკულიოზის ბაცილებზე.

ახალი გადაფრენა დედამიწის გარშემო

იტალიელი მფრინავების — ფრანჩესკო დე-პინედოს და კაპიტან კარლო დელ-პრეტეს—მიმდინარე თვის დამლევს განზრახული აქვს დაიწყონ გადაფრენა დედამიწის გარშემო გიდროპლანზე „დორნიე მარინა“, რომელზეც იქნება ორი მგზავრი. გიდროპლანს მართავს პოლკოვნიკი პინედო.

მთელი გადაფრენის შესრულება განზრახულია 8 თვის განმავლობაში. გიდროპლანი გადაფრინდება 5 მატერიკზე და 7 ზღვაზე და ოკეანეზე. ექსპედიციის მარშრუტი (გზა) ასეთია: ჯორჯტაუნი (ინგლისის გვინეა), კლონსესტონ (იამაიკა), ნიუფაუნდლენდი-ამერიკა და წყნარი ოკეანეთი ფიჯის კუნძულებზე, მელბურნი (ავსტრალია), სიდნეი, ბრისბან, ახალი ზელანდია, სინგაპური, სარაუსკ, გონკონგ (ჩინეთი) და უკან ინდოეთის ოკეანეთი— მომბაზუში და იქიდან ეგვიპტეში, არაბეთში გავლით.

უზარმაზარი ავტობუსები

საავტობუსო ტრანსპორტი შეერთებულ შტატებში უკანასკნელი დროის განმავლობაში არაჩვეულებრივი სისწრაფით ვითარდება. 1925 წ. პირველ იანვრისათვის რეგისტრაციაში იყო გატარებული 47.500 ავტობუსი, 1926 წ. პირველ იანვრისათვის კი ეს რიცხვი გაიზარდა 60.000-დი.

საავტობუსო ხაზების საერთო სიგრძე უდრის 375.000 კილომეტრს.

იმ კარგი მოწყობილ გზატკეცილების სიგრძე, სადაც შესაძლებელია საავტობუსო მიმოსვლის მოწყობა უდრის 675.000 კილომეტრს და ამრიგად საავტობუსო ტრანსპორტის წინაშე განვითარების ფართო პერსპექტივები იშლება.

ავტობუსების მოძრაობის სისწრაფე კარგ ბეტონის გზებზე უდრის 60 კილომეტრს საათში. ამ სისწრაფის მისაღწევად საუკეთესო ავტობუსებისათვის საკმაო არის 43-50 წამი.

ყველაზე უფრო გავრცელებულია ბრაუნის, ბუფფალის, ლანგის და კულმანის სისტემის ავტობუსები, რომლებიც 45-50 მგზავრს იტევენ. მუშაობენ უფრო დიდი ავტობუსებიც, რომლებსაც 100-დი მგზავრს იტევენ.

ერთ-ერთი ასეთი უზარმაზარი ავტობუსის ტიპს წარმოადგენს ფირმა „Satemay“-ს ექვსბორბლიანი ავტობუსები, რომლებზედაც დადგმულია „კონტინენტალ“-ის სისტემის ასძალიანი მოტორები.

კიდევ უფრო დიდი ზომის არის „ვერსერ“-ის ფირმის ავტობუსები—96 კაცისათვის (44 ადგილი საჯდომით და 52 სადგომით). ამ ავტობუსების სიგრძე უდრის 11,6 მეტრს, სიმაღლე— 2,64 მეტრს, წონა — 8,25 ტონას (500 ფუთზე მეტს). ავტობუსი 8 ბორბლიანია.

საჰაერო მიმოსვლა ლამანშით.

25 აგვისტოს „ლამანშის არხით საჰაერო მიმოსვლათა საზოგადოებამ“ იდღესასწაულა არსებობის 7 წლის თავი. ამ ხნის განმავლობაში ინგლისის აეროპლანებმა ლამანშის არხით გაიარეს 10.500 ვერსზე მეტი. ლამანშზე გადაყვანილია 100.000 მგზავრი და გადატანილია 17.000.000 გირვ. სტერლინგის საქონელი. პირველი სამგზავრო აეროპლანი, რომელიც 1919 წ. 25 აგვისტოს გაფრინდა ხოუნოულოუდან და მასზე დადგმული იყო მხოლოდ როლს-როისის სისტემის 360 ცხ. ძალიანი ერთი მოტორი. საჰაერო მიმოსვლათა განვითარებასთან ერთად ამ ხაზზე შემოღებული იქნა 14 ადგილიანი აეროპლანები, რომლებიც დადგმულია როლს-როისის სისტემის 2 მოტორი. მიმდინარე წელს ამ ხაზზე უკვე ფრინენ 20 ადგილიანი აეროპლ. არმსტრონგის სისტემის), რომლებზეც დადგმულია 3 (თითო) 400 ძალიანი მოტორი. ამ აეროპლანებს შეუძლიათ განაგრძონ ფრენა იმ შემთხვევაშიც თუგინდ მათზე რომელიმე მოტორი სრულიად გაჩერდეს.

ამ ზემოთან დაკავშირებით ინგლისის პრესა იუწყება, რომ მომავალი წლის პირველი იანვრიდან მოეწყობა რეგულიარული საჰაერო მიმოსვლა ლონდონი-კაირო-ინდოეთი.

პრესა აღნიშნავს აგრეთვე, რომ 1924 წლიდან დაწყებული ევროპის საჰაერო ხაზზე არც ერთი უბედური შემთხვევა არ მოსვლიათ ინგლისის აეროპლანებს.

ნარევი

იურიდიული რჩევა-დახმარება

მეკუთვნის თუ ხელფასის მომატება

კითხვა

ამა წლის 1 იანვრიდან 1 აპრილამდე ვმსახურობდი შორაპნის რკინისგზის სასწავლებელში შევხუვლებაში მყოფ მასწავლებლის ადგილზე. იანვრიდან მასწავლებლების ჯამაგირებს მოუმატეს. მომატებები კი მოვიდა იმ დროს, როდესაც მე იქ არ ვიყავი. ამ სამი თვის მომატება მიაკუთვნეს ჩემ წინა მოადგილეს, მე როგორც დროებით მასწავლებელს არ მომცეს.

გთხოვთ მომცეთ განმარტება, მეკუთვნის თუ არა მე ეს მომატება. მ. დევდარიანი.

პასუხი

როგორც თქვენი შეკითხვიდან სჩანს, ხელფასის მომატებები გატარებული იქნა იმის შემდეგ, როდესაც თქვენ უკვე არ იმყოფებოდით მასწავლებლად და პირადად თქვენთან უკვე გასწორებული იყო ყოველგვარი ანგარიშები, ამიტომ აღნიშნული მომატებები თქვენზე არ ვრცელდება.

მე ვარ დაზღვეული ჩემი ცოლის ნათესავებს ეკუთვნის თუ არა უფასო ექიმობა—წამლობა

კითხვა

მე ვარ ჩასიძებული დედის ერთა ქალზე, რომელსაც ყავს დედა და ბიძა ორივე მოხუცებულები და შრომის უნარს მოკლებულნი და რომელთა ერთად ერთი მარჩენალი ვარ მე. მოხუცებულები ითხოვენ საექიმო დახმარებას ხშირად, რომლისათვის მე მიხდება ნაღდი ჩემი ფულის დახარჯვა, რასაც მე ვერ უძლებ ჩემი მცირე ჯამაგირით. ადმინისტრაცია მოწმობას არ მაძლევს ჩემი სიდედრზე, რომელიც ჩემ კმაყოფაზეა და მეუბნება ქალის ნათესავებს არ მიეცემაო არავითარი უფასო საექიმო დახმარებაო.

გთხოვთ რამდენად კანონიერია ადმინისტრაციის მოქმედება და რაკი ის მხოლოდ ჩემ კმაყოფაზეა და არავინ მას არ ჰყავს მზრუნველი. აქვს თუ არა მას უფლება ისარგებლოს დაზღვეულის ოჯახის წევრთა უფლებებით.

კავშირის წევრი, რკ. გზის წიგნაკი № 440686.

პასუხი

საერთო წესით ცოლის ახლობელი ნათესავები არ სარგებლობენ დაზღვეული სიძის ოჯახის წევრთა უფლებებით უფასო ექიმობა-წამლობის მიღებაში, მაგრამ თუ კი დამტკიცდება, რომ დაზღვეულის ცოლის (ამ შემთხვევაში თქვენი ცოლის) ახლობელი ნათესავები დედ-მამა და მცირე წლოვანი და-ძმა ცხოვრობენ დაზღვეულთან ერთად და იმყოფებიან მხოლოდ და მხოლოდ ოჯახის დაზღვეული წევრის (ამ შემთხვევაში თქვენი) კმაყოფაზე, მაშინ ისინიც სარგებლობენ დაზღვეულის ოჯახის ნამდვილ წევრთა ყველა უფლებებით. თუ კი ადგილობრივი ხელისუფლება ამაში დარწმუნებულია, იგი ვალდებულია მოგცეთ სათანადო მოწმობა.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

დღეს, 5 ოქტომბერს, საღამოს სრულ 6 საათზე, აღმასკომის დარბაზში მოწვეულია

საქ. კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტის პლენუმი

რაიკომების პლენუმებსა და საქართველოს კომპ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის მსხვილ უჯრედების მდივნებთან ერთად.

დღის წესრიგი:

1. თბილისის კომიტეტის ბიუჯეტი.
2. მიმდინარე საქმეები.

სავალდებულოა თბილისის კომიტეტის, რაიკომების პლენუმების წევრებისა და კანდიდატების და, აგრეთვე, საქ. კომპარტიის (ბ) თბილისის ორგანიზაციის მსხვილ უჯრედების მდივნების დასწრება დაუგვიანებლად.

თბ. კომ. პრეზიდიუმი.

— სახელმწიფო უნივერსიტეტის ა. ლ. კ. კ. უჯრედის ბიურო აქეთ აცხადებს უჯრედის წევრთა და კანდიდატთა საყურადღებოდ, რომ დღეს, 5 ოქტომბერს, საღამოს 5 საათზე მოწვეულია უჯრედის მორიგი კრება. სავალდებულოა პედაგოგიური ინსტიტუტის უჯრედისა და სახელმწ. უნივერსიტეტის უჯრედის წევრებისა და კანდიდატების დასწრება დაუგვიანებლად.

უჯრედის ბიურო.

— ა. ლ. კ. კ. თბილისის კომიტეტის სააგიტ.-საპროპაგანდო განყოფილება იუწყება, რომ ა. ლ. კ. კ. თბილისის ორგანიზაციის აქტივის კრებას გამო, ხვალ ჯგუფური კრებები და უჯრედების კრებები, მოწვეული ა.-წ. 5 ოქტომბრისათვის, გარდა სახ. უნივერსიტეტისა, ქართულ მუზეუმისა და პედაგოგიური ინსტიტუტის უჯრედებისა (სადაც კეთდება მოხსენებები ც. კ. და საქ. კომ. პლენუმის შედეგებზე), უქმდება.

— ა. ლ. კ. კ. თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომი იუწყება, რომ ოთხშაბათს, 6 ოქტომბერს, საღამოს სრულ 5 საათზე ქალაქის აღმასკომის შენობაში შესდგება რაიკომის გაფართოებული პლენუმი.

სავალდებულოა რაიკომის ყველა წევრებისა და კანდიდატების და, აგრეთვე, უჯრედთა ყველა მდივნების დასწრება დაუგვიანებლად.

დღის წესრიგი: 1. მოხსენება უჯრედთა ბიუროების მომავალი ხელ-ახალი გადარჩევის შესახებ; 2. ახალგაზრდა პიონერთა რაიბიუროს მოხსენება პიონერთა ორგანიზაციების მდგომარეობის შესახებ; 3. საგიტაციო - საპროპაგანდო განყოფილების მოხსენება პოლიტ-განმანათლებელ ქალის მოსამზადებელი მუშაობის შესახებ.

პ.-მგ. მდივანი — ჭანკვეტაძე.

— დღეს, 5 ოქტომბერს, საღამოს 5 საათზე, საქ. კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომის საგიტაციო - საპროპაგანდო განყოფილებაში შესდგება სააგიტ.-საპროპ. კოლეგიის სხდომა.

სავალდებულოა ყველა წევრთა დასწრება დაუგვიანებლათ.

რაიკომის საგ.-საპრ. განყ. გამგე—ფუნტიკოვი.

— საქ. კომპარტიის (ბ) თბილისის ორგანიზაციის პროპაგანდისტთა კურსების მორიგი მეცადინეობა გაიმართება დღეს, 5 ოქტომბერს.

1. სომხური ჯგუფი — მესამე რაიონის პარტკლუბში საღამოს 6 საათზე, 2. რუსული ჯგუფი —განათლების მუშაკთა სახლში, საღამოს 7 საათზე.

თბილ. კომ. საგ.-საპრ. განყოფ.

სოფლისა და ქალაქის კავშირის საზოგადოების თბილისის საბჭოს გაფართოებული პლენუმი სოფ. და ქალ. კავშ. საზოგ. რაისაბჭოებთან ერთად შესდგება ხვალ, 6 ოქტომბერს, საღამოს სრულ 6 საათზე ცენტრალურ მუშათა კლუბში.

დღის წესრიგი:

1) მოხსენება საშეფო მუშაობის გამოცოცხლების შესახებ (მომხსენებელი ასრიბეკოვი).

2) მე-2 რაისაბჭოს მოხსენება (კანდელაკი) და გამომკვლევი კომისიის თანამოხსენება (გვეთაძე).

სოფ. და ქალ. კავშ. საზ-ბის თბილისის საბჭოს პ.-მგ. მდივანი—ს. კანდელაკი.

გულდათუთქულნი და თავზარდაცემულნი მშობლები: დესპინე ვუტის ასული, ვარლამ კოწიასძე კუბეციები, დეიდა ბაბილინა და ბიძია ვასილი, დეიდაშვილი გრიშა დომენიები, ბიძა თადეოზ გ. არზიანი, აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობებს მათთვის საყვარელი და მუდამ დაუვიწყარი

ალიოშა ვარლამისძე კუბეციას

უეცრად გარდაცვალებას, რომლის დასაფლავება მოხდება 7 ოქტომბერს, 6 საათ. სოფ. მოხაზი—სენაკის მაზ. ქ. 31

დეიდა ეკატერინე აბრამის ასული მაჭარაშვილისა, დეიდაშვილები: ელენე, ვასო, კოტე და ლეო მაჭარაშვილები, თამარ სულიკაშვილისა, გიორგი თხინვალელი და ნინა თხინვალელი-კარიჭაშვილისა, აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და თანამოსამსახურეთ, რომ სამშაბათს, ოქტომბრის 5-ს, გადახდილ იქნება პანაშვიდი მათთვის ძვირფას და დაუვიწყარ

თამარ ესტატეს ასული
ფეიქრიშვილის

გარდაცვალებიდან წლის თავის აღსანიშნავად ვერის წმ. ნიკოლოზის სასაფლაოზე, პანაშვიდი დაიწყება საღამოს 5 საათზე. 28

ღრმად დამწუხრებულნი: მეუღლე ფატუ ლევანის ასული, შვილები: აგრაფინა, თამარ, სიძეები: ბაგრატ სხირტლაძე და ლადო გერმისაშვილი, ქვისლი პავლე მეტრეველი მეუღლით—შვილიშვილები ალექსანდრე და მიხეილ მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებს, რომ 4 ოქტომბერს დილის 11 საათზე გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი

ვასილ თეკუმის-ძე მარკოზიშვილი

რომლის გამოსვენება მოხდება ოთხშაბათს 6 ოქტომბერს დღის 3 საათზე თავის ბინიდან, მალაკნის ქ. № 56, დასაფლავება წმინდა ნინოს სასაფლაოზე. 37

აპოლო
არფასტო
სოლეი

სამი დღის განმავლობაში 14.505 კაცმა ნახა სურათი
„ხანუმა“
(ქეთო და კოტე)
რეჟისორი—ა. რ. წუწუნავა
ოპერატორი—ს. პ. ზაბოზლაევი.
უმთავრეს როლებში: ე. ჩერქეზიშვილი, ტ. აბაშიძე, თ. ბოლქვაძე, ც. წუწუნავა, ნ. ნაზარაშვილი, ვ. აბაშიძე, ვ. გუნია. კ. მიქაბერიძე, ლ. კავსაძე, მ. ჭიაურელი, ი. ტრაპაიძე,
სიმფონიური ორკესტრი და [illegible]. სალარო ღიაა დღის 5 საათ. და 30 წ. 1833 0—5.

მუშათა ახალი კლუბი. დღეს, სამშაბათს, 5 ოქტომბერს, საღ. 6 საათზე.
შესდგება, მ. ა. კლუბის წევრთა

„სადელეგატო კონფერენცია“

დღის წესრიგში:
1) მ. ა. კლუბის გამგეობის და სარევიზიო კომისიის ანგარიში.
2) გამგეობის არჩევნები.
დელეგატების დასწრება დაუგვიანებლივ სავალდებულოა.
ნ. 11. მ. ა. კ. გამგეობა.

მოწაფეთა საყურადღებოთ
გამოვიდა და იყიდება
ფ. ი. მიხალევსკის
„პოლიტიკური ეკონომიის დაწყებითი კურსი“
(ქართულ ენაზე)
მისამართი: გაზ. „კომუნისტის“-ს მთავარი კანტორა, რუსთაველის პროსპექტი № 34
0—1

ა.ვ. მიქაბერიძე
პარიზში 1923 წელს დაამთავრა
„სილამაზის ინსტიტუტი“
მასაჟი სახის, კისრის, ხელების და სხვ ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ.
ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19 იღება დილით 10-დან 2-დე და საღამოს 5—8-დე. შესასვლელი შესახვევიდან 25—1

ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელექტრო სადგურის სამუშაოთა სამმართველო

ამით აცხადებს, რომ „ზაჰესის“ საამშენებლო მუშაობათა დამთავრების გამო იყიდება მუშაობიდან თანდათან განთავისუფლებული დროებითი მექანიკური მოწყობილებანი, რომელნიც შესდგებიან ვიწროლიანდაგიანი ორთქმავლებისაგან, საამშენებლო, ამწევი, წყლის გადამსხმელი და სხვ. მანქანებისა და სხვადასხვა ძალის მუდმივი დენის 440 | 470 ვოლტის ელექტრო-მოტორისაგან.

იმ დაწესებულებებს და პირებს, რომელთაც სურთ ასეთების შეძენა, ცნობებისათვის უნდა მიმართონ „ზაჰესის“ სამმართველოს მატერიალურ განყოფილებას, ლ. დუმბაძის ქ. № 30.

ნ. 9. 2—1. „ზაჰესის“ სამუშაოთა სამმართველო.

ქ. თბილისის შრომის სასამართლოს აღმასრულებელი
გ. ბალდასაროვი

ამით აცხადებს, რომ ის 8 ოქტომბერს 1926 წ. დღის 2 საათზე სახლში № 28 რიყის ქუჩაზე, **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის „არმაზი“-ს მეპატრონე ბალდასაროვის მოძრავ ქონებას: გაზის აპარატი, ტირაჟის უკუპორკას, კასრები კვასის, კუბი სპილენძის, ავტო-მანქანა „ფორდი“ შეფასებულს 512 მანეთად, სურსათ გემოვნების კავშირის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის შრომის სახალხო სასამართლოსაგან 21 ივლისს 1926 წ. თარიღით, № 3009 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. 40

ექიმი ჯალალოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შეშხაპუნება „914“. ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა.
ავადმყოფ. მიიღება დილ. 6 ნახ.— 7 ნახ. საათ., საღამოს 5-დან—8 საათამდე. ქალების მიღება 12—2 საათ. მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ყოფ. ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. 25—16

ექიმი
ლ. ა. სარალიძე
დაბრუნდა და განაახლა შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფების მიღება დილის 9—12 ს. საღამოს 5—7 ს აბქოთა ქ. (ჩერქეზიშვილის) № 87 25—

კბილის ექიმი
ა. გ. სოლოლაშვილი
დაბრუნდა და იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 4—6 ს. რუსთაველის პროსპექტი № 121

ელექტრონით და სინათლით სამკურნალო
საწოლებით
მიხეილ გედევანიშვილის
სახელობის
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორანოვის ქ., № 20 5485 —1

ექიმი
ე. მ. მძინარიშვილი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი
ავადმყოფების მიღება 12—2 ს. და საღამოთი 6—8 ს. ქალების და ბავშვების 5—6 ს.
რუსთაველის პროსპექტი № 18 (შესავალი წულუკიძეს ქუჩიდან ყოფ. კრუზენშტერნის ქ.) 25—1

ექიმი მ. ა. ლუკოვეცკი
სიფილისი, კანის და ვენერიული ავადმყოფობანი.
ავადმყოფების მიღება დილის 9 საათიდან—11 საათამდე და საღამოს 5 საათიდან—7 საათამდე, ქალების მიღება 11 საათიდან 12 საათამდე საპიორის ქუჩა, № 35 ყოფილი კადეტ. კორპ. უკან. 25—9

ექიმი ა. ს. ფონ-ირტელი
პლეხანოვის პროსპექტი, № 10, (ვორონცოვის ხიდის მახლობლად, ყოფ. „ბო-მონდი“).
გარდა საექიმო, სიფილისის და ქირურგიულ ავადმყოფობათა (სიმსივნეების ბუასილის, სქესობრივი სისუსტე, ტრიპერის) სპეციალისტი. ავადმყოფობის მიღება დილის 8 საათიდან 12 საათამდე და 4—7 საათამდე. 13—2

ექიმი მ. ო. ზანდუკელი
დაბრუნდა და განაახლა მიღება შინაგან და ნერვიულ ავადმყოფობის, ელექტრონით და სხივებით მკურნალობა ავადმყ. მიღება საღ. 6—7 საათამდე ლენინის ქ. (ოლღის) № 49.
3574 ტელეფ. № 4—82

ექიმი ზ. ა. ტარუმოვი
დაბრუნდა და განაახლა შინაგან და ბავშვთა სნეულების ავადმყოფთა მიღება საღ. 5—7 საათამდე. ტრიბუნალის ქ. (ყოფ. სასამართლოს) 12 ტელ. 22—59, ნ. ღ.

პროფესორი
მ. წინამძღვრიშვილი
დაბრუნდა თბილისში
და განაგრძობს შინაგან ავადმყოფების მიღებას საღამოს 5 საათიდან 8 ს-მდე კვირა დღის გარდა. კლ. ცეტკინის (ყოფ. ელისაბედის ქ. № 7). 3755 13—1

ექიმი შუხმანი
სიფილისი, ვენერიული სნეულებანი და მათი შედეგები.
მიღება დილის 7—8 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე. კ. ცეტკინის (ყოფ. ელისაბედის) ქ.№ 89 25—1

ექიმი
გ. ნ. ონანოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულობანი, სქესობრივი სისუსტის ექიმობა
ავადმყოფების მიღება დილით 9 საათიდან 12 საათამდე, საღამოთ 5—8 ს-დე. ქალების 7—8 ს-დე. განყოფ. ელისაბედის ქუჩა, № 3. 25—1

ექიმი
ა. დ. კეკელია
სიფილისი, ვენერიულ და კანის სნეულება.
მიღება 9—11 დილ. 6—8 საღამ. პლეხანოვის პრ. № 116. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ 3484 25—1

ექიმი
ნ. პ. ფალიაშვილი
დაბრუნდა და განაახლა მიღება ყოველგვარ მედიკურ გამოკვლევების ანალიზები მიიღება მთელი დღე. პირადათ დილის 9 საათამდის და 5—7 საათამდე ბელინსკის ქ. ბაქრაძეს შესახვ. (ყოფ. აგურის) № 10. 25—1

ექიმი
ი. ვ. ახმეტელი
იღებს ქირურგიულ ავადმყოფებს ერთი თვის განმავლობაში (20 სექტემბრიდან 20 ოქტ-დე) ქ. სიღნაღში. 3768 25—1

ექიმი-ქალი
თოფურიძე-ფანიევა
იღებს ქალთა და საზებიო სნეულებით დაავადებულთ. საღამოს 5-დან 7 საათამდე.
მისამართი: ლადო დუმბაძის ქ. 10 (ყოფ. ველიამინოვის ქ. ერევნის მოედნის ახლოს) ტელ. 19—12. 25—1

ექიმი
არსენ ვადაჭკორია
დაბრუნდა აგარაკიდან და ღებულობს ქალთა ავადმყოფთ. და უწევს აგრეთვე სამეანო დახმარებას დღის 9—12 ს. საღამოს 4—6 საათამდე ლენინის ქ. № 35 3824 13—

ექიმი
ნ. მელიქიშვილი
დაბრუნდა და განაგრძობს ავადმყოფების მიღებას ქალების სნეულება და სამშობიარო ამის (ყოფილი ქსენიევის) ქუჩა № 7 თვალის საავადმყოფოს ზემოთა სართულში დილით 1—2. საღამოზე 4—6 საათამდე. 3896 25—1

სათვალეების მორგება
უფასოდ
ექიმ სპეციალისტის მიერ „სახმედ ვაჭრობის“ ოპტიკურ განყოფილებაში დღის 1—4-დე. პლეხანოვის გამზირი № (ყოფ. მიხეილის პროსპექტი) ტელ. 3—63. 25—

დაიკარგა მოწმობა მე-14-ე შრომის სკოლის დამთავრებისა № 809, ვლადიმერ ერასტის-ძე ბაქრაძეს სახელზე, ჩ. გ. 39

დაიკარგა ხონის ინდუსტრიალურ ტეხნიკუმის მე-2 კურსიდან გამოსვლის მოწმობა № 677, გამყრელიძის სახელზე, ჩ. გ. 38

დაიკარგა ახ. კ. კავშირის მანდატი № 6483, ანტონ ანდროს-ძე პანტურიას სახელზე, ჩ. გ. 36

დაიკარგა პირადობის მოწმობა № 173, მოცემული ჩიბათის თემ-აღმ. მიერ ახ.ლ.კ.კ. მანდატი № 973, ჯარში სამხ. ნუსხა № 88, მოცემული ლანჩხუთის სამხედრო მაგიდის გამგის მიერ, მოსე ჯამულეთის-ძე პატარიას სახელზე, ჩ. გ. 35

დაიკარგა კავშირის წიგნაკი № 3014, ელენე გამყრელიძეს სახელზე, ჩ. გ. 34

დაიკარგა პირადობის მოწმობა № 2756, სიღარიბის № 2755 და მეტრიკული მოწმობა № 2757, ავთანდილ ცინცაძეს სახელზე, ჩ. გ. 41

დაიკარგა სამხედრო საალრიცხვო ფურცელი № 2054, გალაქტიონ გიორგის-ძე ჭოხონელიძის სახელზე, ჩ. გ. 33

დაიკარგა პირადობის მოწმობა და ნუსხა—კაპიტონ ივანეს-ძე ასათიანის სახელზე, ჩ. გ. 29

დაიკარგა მატრიკული, გაცემული სახ. უნივერსიტეტიდან, ქსენია პალიძე—წიფურიას სახელზე, ჩ. გ. 27

დაიკარგა საბჭოთა კავშირის წიგნაკი № 11926, საბჭოთა კავშირის კლუბის წიგნაკი, სამხედრო საალრიცხვო ბარათი ფორმა № 4, კირიონ ივანეს-ძე ჩემიას სახელზე, ჩ. გ. 32

დაიკარგა რკ. გზის საწევრო წიგნაკი № 426550, მიხეილ ბარისოვის-ძე გოცირიძის სახელზე, ჩ. გ. 25

დაიკარგა კავშირის წიგ. № 17937, პირადობის მოწ. № 17937, ლავრენტი ძიძიგურის სახელზე, ჩ. გ. 26

სენაკის სამაზრო აღმასკომის მმაჩის ბიურო ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ ლეხაინდრაო-ონოლიის თემის, სენაკის მაზრის, მცხოვრები მოქ. ნიკოლოზ სიგარევმა შემოიტანა განცხადება მისი გვარი „სიგარევი“-ს „დანელია“-ს გვარზე გამოცვლის შესახებ.

სენაკის სამაზრო მმაჩის
31 ბიუროს გამგე ცხადაია.

სტამბა „კომუნისტი“, კამოს ქ. 68